ISSN 2298-0954

1134
2022

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

ალილო

ფასი 3 ლარი

2022
8 (308)

ანი ერნო
სანობელი ლექცია

სარჩევი

სანობელე ლექცია	1	ანი ერნო: მე დავწერ, რათა შური ვიძიო ჩემი რასისთვის ნობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმული სიტყვა *ფრანგულიდან თარგმნა ვალერი ოთხოზორიამ*
პერსონა	5	ანტონიო გამონედა - პოეზია ასატანს ხდის ჩვენს ცხოვრებას *ესპანურიდან თარგმნა ქეთი ჯიშიაშვილმა*
	6	ინტერვიუ ანტონიო გამონედასთან: ჩვენ ხელახლა უნდა ჩამოვიყალიბოთ სიღარიბის ცნობიერება
	10	ანტონიო გამონედა | ლექსები
პროზა	12	მარი ბექაური | ადამიანი, რომელმაც წელებზე ფეხი დაიდგა
	15	ძარცვა ქუთაისურად
	19	სოფიო კუბლაშვილი | ნარინჯისფერი ავტობუსი
ინტერვიუ	23	ინტერვიუ რემზი კემბელთან: "წერის დროს საკუთარი თავის შეშინებას უნდა ცდილობდე და არა მკითხველის" *ესაუბრა ზაზა კოშკაძე*
თარგმანი	26	ლარს სობი ქრისტიანსენი | მკვლელები *ნორვეგიულიდან თარგმნა გიორგი ბერიძემ*
პოეზია	34	დიანა ანფიმიადი
	36	ლევან ზარიძე
	39	ბელა ჩეკურიშვილი | ჩემი პატარა ინსექტარიუმი
ესე	42	ქეთევან კოკოზაშვილი | ფრანგულის გაკვეთილები
რეცენზია	47	გუგა მგელაძე | "თოვლის ტენორის" სუსხი

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია,
ლექსო დორეული,
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი
ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge
AriliMagazine

გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

გამოცემულია ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ღია საზოგადოების ფონდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანი ერნო: მე დავწერ, რათა შური ვიძიო ჩემი რასისთვის

ნობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმული სიტყვა

ფრანგულიდან თარგმნა ვალერი ოთხოზორიამ

საიდან დავიწყო? - ცარიელი ფურცლის წინაშე უამრავჯერ მიკითხავს საკუთარი თავისთვის. თითქოს უნდა მეპოვა ის ერთადერთი ფრაზა, რომელიც მთელს წიგნს დამაწერინებდა და ყველა ეჭვს გამიქარწყლებდა. ფრაზა-გასაღები. დღესაც, სიტუაცია, რომელშიც აღმოვჩნდი, მოვლენა, რომლის წინაშეც გაოგნებული ვარ - "ნუთუ, ეს ჩემს თავს ხდება?" - იმავე აუცილებლობით მომიცავს - ვიპოვო ფრაზა, რომელიც მომანიჭებს თავისუფლებას და სიმტკიცეს, საუბრისას არ ავკანკალდე, აქ, ამ საღამოს, თქვენ წინაშე.

შორს წასვლა არ დამჭირდება ამ ფრაზის საპოვნელად. ის გამოტყვრება თავისით; მთელი თავისი სიწმინდით, მთელი თავისი ძალმოსილებით. ბრუტა-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური. დაუძლეველი. სამოცი წლის წინ ჩავიწერე დღიურში. ***მე დავწერ, რათა შური ვიძიო ჩემი რასისთვის.*** ის ეხმიანებოდა რემბოს კიციოს: "მე ვეკუთვნი უმდაბლეს რასას მთელს მარადისობაში". ოცდაორი წლის ვიყავი. ენასა და ლიტერატურას ვსწავლობდი პროვინციის სასწავლებელში, უმეტესად, ადგილობრივი ბურჟუაზიის გოგო-ბიჭებთან ერთად. ქედმაღლურად და გულუბრყვილოდ ვფიქრობდი, დავწერდი წიგნებს და გავხდებოდი მწერალი უმინო გლეხების, მუშებისა და წვრილ-ვაჭრების; უხეში მანერების, აქცენტის, უკულტურობის გამო მოძულებული ხალხის, და დავძლევდი იმ სოციალურ უსამართლობას, დაბადებით რომ ერგოთ. მეგონა, პირადი გამარჯვებით დავამარცხებდი საუკუნეების მანძილზე გამყარებულ ჩაგვრას და სიღატაკეს. ჩემი აკადემიური მიღწევები კიდევ უფრო აძლიერებდა ამ ილუზიას. ჩემი პირადი ნარმატება როგორ გაუმკლავდებოდა მათ დამცირებას და შეურაცხყოფას? ამას არ ვკითხულობდი. მქონდა გარკვეული მიზეზებიც.

მას შემდეგ, რაც კითხვა ვისწავლე, წიგნები ჩემს თანამგზავრად იქცა, კლასგარეშე საკითხავი ჩემი ჩვეული საქმიანობა გახდა. ეს ჩვევა გამიმყარა დედამ, რომელიც თავად იყო რომანების დიდი მკითხველი, კლიენტების ვიზიტებს შორის გამოთავისუფლებული დრო კითხვაში გაჰყავდა. ჭრაკერვის სწავლას ერჩიგნა, მეკითხა. სიძვირე და ეჭვის თვალი, რომლითაც ჩემი რელიგიური სკოლიდან უცქერდნენ, კიდევ უფრო სასურველს ხდიდა წიგნებს. *დონ კიხოტი, გულივერის მოგზაურობა, ჯეინ ეარი,* ანდერსენის და გრიმების ზღაპრები, *დევიდ კოპერფილდი, ქარწაღებულნი,* მოგვიანებით *საბრალონი, მრისხანების მტევნები,* გულზიდვა, *უცხო:* მიმდევრობას შემთხვევა უფრო განაპირობებდა, ვიდრე სასკოლო სია.

ენისა და ლიტერატურის შესწავლის სურვილი აღმიძრა ლიტერატურაში დარჩენის ვნებამ. ლიტერატურა იქცა ჩემს უმაღლეს ღირებულებად და ცხოვრების წესად. ფლობერისა და ვირჯინია ვულფის რომანებში ვჭვრეტდი საკუთარ თავს და მათში ვცხოვრობდი. ლიტერატურის კონტინენტს გაუცნობიერებლად ჩემს სოციალურ გარემოს ვუპირისპირებდი, წერას კი რეალობის გარდაქმნის საშუალებად ვსახავდი.

ჩემი პირველი რომანის უარყოფას ორი-სამი გამომცემლის მიერ - რომანის, რომლის ერთადერთი დამსახურება ახალი ფორმის ძიება იყო - არც ჩემი სურვილი და არც ქედმაღლობა არ გაუბნელებია. გამაწბილეს იმ ცხოვრებისეულმა ვითარებებმა, საზოგადოებამ, სადაც ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავება მთელს თავის სიმძიმეს სქესის მიხედვით განსაზღვრული როლების გამო იძენს... სადაც კონტრაცეფცია აკრძალულია, ორსულობის შეწყვეტა კი დანაშაულია. ოჯახური ცხოვრებით, ორი ბავშვით, მასწავლებლობით, ცალკე საოჯახო საქმეებით დღითიდღე ვშორდებოდი წერას და ვღალატობდი აღთქმას, შური მეძია ჩემი რასისთვის. "იგავს კანონის კარიბჭესთან" კაფკას *პროცესი*დან ვერ ვკითხულობდი ისე, რომ მასში ჩემი ბედი არ განმეჭვრიტა: ისე მოვკვდე, ვერ მოვახერხო კარში გავლა, რომელიც მხოლოდ ჩემთვის იყო და წიგნის დაწერა, რომელიც მხოლოდ მე შემეძლო დამეწერა.

მაგრამ კერძო თუ ისტორიულ შემთხვევაზე გათვლა არ მქონია. მამაჩემის გარდაცვალება - არდადეგებზე მასთან ჩასვლიდან მესამე დღეს; იმ კლასების მასწავლებლად განწესება, სადაც ჩემი სოციალური წრის ბავშვები სწავლობდნენ; საპროტესტო მოძრაობები მსოფლიოში... ეს ელემენტები მოულოდნელი და მგრძნობიარე გზებით მაბრუნებდნენ ჩემს საწყისებთან, ჩემს "რასასთან" და წერის სურვილს საიდუმლო და აბსოლუტურ საჭიროებას სძენდნენ. ახლა უკვე, როგორც ოცი წლის ასაკში, ის კი აღარ განმეზრახა, მოჩვენებითად "მეწერა არაფერზე", არამედ ჩამეყვინთა განდევნილი მეხსიერების გამოუთქმელ შრეებში, გამომემეზეურებინა ცხოვრების ჩემეული წესები. მეწერა იმ მიზეზთა, ჩემში და ჩემ გარეთ, შესაცნობად, საკუთარ საწყისებთან რომ დამამშრეს.

წერის არჩევანი არასდროსაა საკმარისად ცხადი. არიან იმიგრანტები, რომლებიც აღარ საუბრობენ თავიანთი მშობლების ენაზე, და არიან სოციალურკლასგამცვლილები, რომელთაც ასევე აღარ შემორჩათ თავიანთი ენა, სხვა სიტყვებით ფიქრობენ და მეტყველებენ; ისინი, ყველანი, დამატებითი ბარიერების წინაშე აღმოჩნდნენ. დილემა. ერთი მხრივ, ისინი გრძნობენ შეუძლებლობას, წერონ შეძენილ ენაზე, რომელზე დაწერილ ნაწარმოებებსაც აღმერთებენ, შეძენილი ენა დომინირებს მათი დაბადების სამყაროს ენაზე, რომელსაც ეკუთვნის პირველი შეგრძნებები, პირველი სიტყვები, ყოველდღიურობა, სამსახური, სოციალური გარემო. ერთი მხრივ, არსებობს ენა, რომელზეც მათ ისწავლეს საგანთა სახელები, მათი ბრუტალურობა და სიჩუმე, როგორიცაა, მაგალითად, დედა-შვილს შორის ალბერ კამიუს შესანიშნავ ტექსტში "კი და არა". მეორე მხრივ, არსებობს შედეგრები - შეძენილ ენაზე გაშინაგანებულნი, პირველი სამყარო რომ გაუხსნეს, ისინი მათ თავიანთი აღდგომას უმადლიან და ხშირად თავიანთ ნამდვილ სამშობლოდ მიიჩნევენ. ჩემს შემთხვევაში: ფლობერი, პრუსტი, ვირჯინია ვულფი. როდესაც წერა დავიწყე, ისინი ვერაფრით დამეხმარნენ. უნდა დამემსხვრია "ლამაზად წერის" სტილი, ლამაზი ფრაზები, სკოლიდანვე რომ მასწავლიდნენ; იმ იარების გასაგებად, მე რომ მმსჭვალავდა, მათი ძირფესვიანად ამოგლეჯა და გამომზეურება მჭირდებოდა. სპონტანურად, ბრაზმორეული ბრდღვინვით, გესლიანად და უხამსად, ამბოხის, დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა ენით. ეს იყო, რაც ჩემს ხელთ აღმოჩნდა, როგორც ერთადერთი იარაღი, მეპასუხა სიძულვილის მეხსიერებისთვის, სირცხვილისთვის და სირცხვილის გამო სირცხვილისთვის.

მალევე, რამდენადაც შეუძლებელი იყო, მეპოვა სხვა საწყისი, მივხვდი, რომ ჩემი თხრობა ჩემსავე სოციალურ ნაპრალში უნდა ჩამეძირა, იმ ვითარებიდან უნდა დამეწყო, როცა სტუდენტი ვიყავი, მეამბოხე, ვიკეთებდი აბორტს მიწისქვეშა ანგელოზთა შემოქმედის ხელით, ფრანგული სახელმწიფო კი მხოლოდ ქალებს ადანაშაულებდა. მინდოდა, დამეწერა ყველაფერი, რაც გადახდა ჩემს ქალწულ სხეულს, სიამოვნების აღმოჩენა, წესები... ამგვარად, პირველ წიგნში, რომელიც 1974 წელს გამოიცა, ჯერ კიდევ

გაუცნობიერებლად, უკვე იყო ის პლატფორმა, რომელზეც ჩემი მწერლობა განვითარდა, სოციალური და ფემინისტური პლატფორმა. შურისძიება ჩემი რასისთვის და სქესისთვის სწორედ აქედან დაიწყო.

როგორ უნდა დაფიქრდე ცხოვრებაზე ისე, რომ არ იფიქრო წერაზე? თუკი არ ჰკითხავ საკუთარ თავს, შენი მწერლობა ეთანხმება თუ ენინააღმდეგება დამკვიდრებულ შეხედულებებს არსებათა და საგანთა შესახებ? მეამბოხე მწერლობა თავად ხომ არ ირეკლავს პრივილეგირებულთა მდგომარეობას? როცა მკითხველი კულტურულად პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყო, ის წიგნის პერსონაჟის მიმართაც ისეთივე ზედმეტად და ქედმაღლურ პოზიციას იჭერდა, როგორც რეალური ადამიანების მიმართ. მინდოდა, მომეშორებინა ეს პოზიცია მამის მიმართ, როცა მისი ცხოვრების მოყოლას ვცდილობდი, ეს იყო აუტანელი, მე ამას ვგრძნობდი, ღალატს; მაგრამ ჩემი მეოთხე წიგნიდან, გამოვიმუშავე ნეიტრალური წერის სტილი, ობიექტური, "ბრტყელი" იმ აზრით, რომ დავცალე მეტაფორებისა და ემოციებისგან. ძალმომრეობა ექსგიბიციის საგანი აღარ იყო, ის თავად ფაქტებიდან ჩანდა და არა ნაწერიდან. ვეძებდი სიტყვებს, რომლებიც დაიტევდა რეალობას და მისგან გამოწვეულ შეგრძნებასაც, რა საგანზეც არ უნდა მეწერა. ვცდილობდი, და დღემდე ასეა, მივმხვდარიყავი, რომელ უცვლელ მიზანს ვემსახურებოდი, როდესაც ვწერდი.

მჭირდებოდა, ისევ და ისევ გამეგრძელებინა, მეთქვა "მე". პირველი პირი - ის, როგორც ვარსებობთ ენათა უმრავლესობაში ჩვენი ალაპარაკებიდან სიკვდილამდე, - ლიტერატურაში მიჩნეულია ნარცისულად, რამდენადაც გამოხატავს ავტორს და არა ფიქციურ "მე"-ს. მაგრამ გავიხსენოთ, როგორ ჩნდება ასეთი "მე" ლიტერატურაში: იმის პარალელურად, რომ პრივილეგირებული დიდგვაროვნები თავიანთ სამხედრო მიღწევებზე მემუარებში ჰყვებიან, ამგვარი "მე" XVIII საუკუნის საფრანგეთის დემოკრატიული მონაპოვარი ხდება, როგორც ინდივიდთა თანასწორობის დასტური, ჰქონდეთ უფლება, მოყვნენ თავიანთ ამბავს პირველ პირში; ჟან-ჟაკ რუსო აცხადებს *აღსარებანის* პირველ წინასიტყვაობაში: "ნუ გამკიცხავენ, თუკი უბრალო კაცი მკითხველთა ყურადღების ღირსს ვერაფერს ვამბობ. [...] იმ სიბნელეში, რომელშიც შევძელი, მეცხოვრა, მე ვიფიქრე იმაზე მეტი და იმაზე უკეთ, ვიდრე მეფეებმა და ჩემი სულის თავგადასავალი მათზე უფრო საინტერესოა."

მოტივაციას მძენდა არა ეს პლებეური სიამაყე (თუმცა კი...), არამედ სურვილი, გამომეყენებინა "მე" ხელსაწყოსავით - მდედრობითისა და მამრობითისთვის საერთო - იმ შეგრძნებების დასაჭერად, სამყარო უშურველად რომ გვაძლევს ყველგან და ყოველთვის და მეხსიერებამ რომ განიდევნა. შეგრძნებათა ეს წინამძღოლი ჩემთვის იქცა ჩემი კვლევის ავთენტურობის გარანტად. საბოლოოდ რისთვის? მე არ ვცდილობ, ჩემი ცხოვრება მოვყვე ან ჩემი საიდუმლოებანი გავაცხადო; ჩემი მიზანია, გავშიფრო ის, რაც განვიცადე, მოვლენა, ვითარება, სასიყვარულო ურთიერთობა; გავაცხადო ის, რაც მხოლოდ წერის საშუალებით ეზიარება არსებობას და შესაძლოა, ასევე, სხვათა ცნობიერებასა და მეხსიერებასაც მსჭვალავს. ვის შეუძლია, თქვას, რომ სიყვარული, ტკივილი, გლოვა, სირცხვილი საყოველთაო არ არის? ვიქტორ ჰიუგოს უწერია: "ჩვენ შორის არავისა აქვს პატივი, თავისი ცხოვრება ჰქონდეს." მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი მხოლოდ ინდივიდუალურად განიცდება - "ეს მხოლოდ მე მემართება" - "მე" წიგნში გარკვეულწილად გამჭვირვალე ხდება და მას მკითხველი (მდედრობითი თუ მამრობითი) საკუთარი თავით ანაცვლებს. საბოლოოდ, ეს *მე* ტრანსპერსონალურია, სინგულარული კი უნივერსალურად იქცევა.

ამგვარად გავითავისე ჩემი შეკავშირება წერასთან, წერასთან არა რომელიმე კატეგორიის მკითხველის-"თვის", არამედ გამოცდილები-"დან", რომელიც დაკავშირებულია ჩემს ქალად ყოფნასთან და შინაგან იმიგრაციასთან, მეხსიერებასთან წლების გამჭოლ, აწმყოსთან, დაუღალავად რომ მანვდის სხვათა სახებასა და მეტყველებას. ეს შე-კავ-შირება, როგორც მო-კავ-ება საკუთარი თავისა ნაწერში, რწმენიდან მექცა დარწმუნებულობად, რომ წიგნს ძალუძს, პირადი ცხოვრება შეცვალოს, დაამსხვრიოს ზაგარისა და განდევნილობის სიმარტოვე, გადახარშოს, გადაიაზროს. როცა გამოუთქმელი გამომზეურდება, ის პოლიტიკური ხდება.

დღეს ამას ვხედავთ ამბოხებულ ქალებთან, რომლებმაც იპოვეს სიტყვა მამაკაცის ძალმომრეობის შესარყევად და აღდგნენ, მაგალითად ირანში, ყველაზე ძალადობრივი და არქაული ფორმების ნინაალმდეგ. მე კი მწერალი - დემოკრატიულ ქვეყანაში, ვაგრძელებ კვლევას იმისა, რა ადგილი ეკუთვნით ქალებს, მათ შორის ლიტერატურაში. მათი შემოქმედების ლეგიტიმურობა ჯერ კიდევ მიუღებელია. საფრანგეთსა და დანარჩენ მსოფლიოში არსებობენ მასკულინური ინტელექტუალები, ვისთვისაც ქალების დაწერილი წიგნები უბრალოდ არ არსებობს, ისინი მათ არასოდეს ციტირებენ. ჩემი შრომის აღიარება შვედეთის აკადემიის მიერ წარმოადგენს სამართლიანობისა და იმედის სიგნალს ყველა მწერლისთვის.

გაიტანო დღის შუქზე სოციალურად გამოუთქმელი, ინტერნალიზებული კლასობრივი ან/და რასობრივი, და თანაბრად სქესობრივი, დომინანტური დამოკიდებულებები, რომელთაც თავის ტყავზე მხოლოდ მათ ობიექტად მყოფი თუ გამოცდის, ქმნის შესაძლებლობას ინდივიდუალური და, მაშასადამე, კოლექტიური ემანსიპაციისა. რეალური სამყაროს გაშიფვრა და იმ ხედვათა და ღირებულებათა გაშიშვლება, რომლებითაც ენა, მთელი ენა გაჟღენთილია, ინსტიტუირებული წესრიგის მოშლასა და იერარქიების მორღვევას ემსახურება.

მაგრამ მე არ მერევა ერთმანეთში ამგვარი პოლიტიკური აქტი და ლიტერატურული წერა, მკითხველმა (ქალმა თუ კაცმა) რომ უნდა აღიქვას იმ პოზიციიდან, რომელშიც მე განვიცდი ჩემს მიმართებებს მოვლენებთან, კონფლიქტებთან და იდეებთან. მე იმ ომის შემდგომ თაობაში გავიზარდე, სადაც მწერლობა და ინტელექტუალობა თავისთავად მოიაზრებდა პოზიციონირებას ფრანგული პოლიტიკის მიმართ და ჩართულობას სოციალურ ბრძოლაში. დღეს ვერავინ იტყვის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები მათი სიტყვისა და აქტივობის გარეშე. აქტუალური სამყაროს ინფორმაციულ წყარო-

თა სიმრავლეში, სადაც იმიჯები საოცარი სისწრაფით ენაცვლებიან ერთმანეთს, ინდიფერენტული ფორმის მორგება და საკუთარ ხელოვნებაზე კონცენტრირება ცდუნებას წარმოადგენს. მაგრამ, ამავე დროს, ევროპაში - ჯერ კიდევ იმპერიალისტური ომების ძალადობის ნიღბით, რუსული დიქტატურა რომ მეთაურობს - შეიმჩნევა განკერძოებისა და ჩაკეტვის იდეოლოგიური აღზევება, სულ უფრო რომ ვრცელდება და იპყრობს ჯერაც დემოკრატიული ქვეყნების მიწებს. დაფუძნებული უცხოელთა და ემიგრანტთა გარიყვაზე, ეკონომიკურად უძლურთა მიტოვებაზე, ქალის სხეულის კონტროლზე, ის მავიწროებს მე ისევე, როგორც ნებისმიერს, ვისთვისაც ადამიანად ყოფნის ღირებულება, ყველგან და ყოველთვის, სიფხიზლის ვალდებულებას გულისხმობს. იმ პლანეტის გადარჩენაში, რომელიც დიდწილად ეკონომიკური გაუმაძღრობით დაინგრა, საუბედუროდ არ იგულისხმებიან ისინი, ვინც რესურსებს მოკლებულნი არიან. სიჩუმის სიმძიმე ისტორიის გარკვეულ მომენტებში ანონილი არ არის.

უმაღლესი ლიტერატურული პატივის მონიჭებით სამზეოს ეზიარება სიმარტოვითა და ეჭვით წარმოებული ჩემი ლიტერატურული კვლევები. ეს ჯილდო არ მაბრმავებს. ნობელის პრემიის მიღებას ინდივიდუალურ გამარჯვებად არ აღვიქვამ. არც ამპარტავნება და არც თავმდაბლობა არ არის მიზეზი იმისა, რომ ამ ჯილდოს კოლექტიურ გამარჯვებად მივიჩნევ. მე ამაყი ვარ მათთან ერთად (ქალებთან და კაცებთან), ვინც ამა თუ იმ სახით ელტვოდა უფრო მეტ თავისუფლებას, თანასწორობასა და ღირსებას ადამიანთათვის, მათი სქესის, გენდერის, კანის ფერისა თუ კულტურული კუთვნილების განურჩევლად. მათთან ერთად, ვინც ფიქრობს მომავალი თაობებისთვის დედამიწის შენარჩუნებაზე, მცირეთა მადამ სულ უფრო და უფრო უსიცოცხლო რომ გახადა კაცობრიობისთვის.

ისევ რომ მივუბრუნდე ჩემს აღთქმას, ოცი წლის ასაკში რომ დავდე საკუთარ თავთან, არ ვიცი, შევასრულე თუ არა ის. მომეცა ამდენი ძალა და სიბრაზე ამ აღთქმისგან, წინაპრებისგან, მძიმე ჭაპანს რომ ეწეოდნენ და ნაადრევად იხოცებოდნენ, მათ გამო აღმეძრა სურვილი და ამბიცია, დამემკვიდრებინა მათთვის ადგილი ლიტერატურაში, ლიტერატურის იმ მრავალხმიანობაში, ადრეული ბავშვობიდანვე რომ თან მდევდა და მიხსნიდა კარს სხვა სამყაროებისკენ და სხვა ფიქრებისკენ, მათ შორის ლიტერატურის წინააღმდეგ და მის შესაცვლელად. ჩამეწერა ჩემი ქალიხმა (სოციალურკლასგამოცვლილისა) იმაში, რაც მუდამ იყო ემანსიპაციის ადგილი: ლიტერატურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტონიო გამონედა - პოეზია ასატანს ხდის ჩვენს ცხოვრებას

პუბლიკაცია მოამზადა და ესპანურიდან თარგმნა ქეთი ჯიშიაშვილმა



ანტონიო გამონედა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ესპანური პოეზიის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. იგი არაერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელია. 2006 წელს გამონედას ესპანურენოვან სამყაროში ყველაზე პრესტიჟული - სერვანტესის პრემია მიენიჭა. მანამდე, 1988 წელს გახდა პოეზიის ეროვნული ჯილდოს მფლობელი, 2006 წელს დაჯილდოვდა რეინა სოფიას იბეროამერიკული პოეზიის პრემიით და სხვ.

ანტონიო გამონედა 1931 წელს დაიბადა ქალაქ ოვიედოში. მისი მამა, მოდერნისტი პოეტი, სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა და მხოლოდ ერთი კრებულის გამოქვეყნება მოასწრო. მამის სიკვდილის შემდეგ ანტონიო დედასთან ერთად მშობლიური ოვიედოდან ქალაქ ლეონში გაემგზავრა, სადაც საბოლოოდ დასახლდა კიდეც.

პოეტის ბავშვობამ სიღარიბისა და ფრანკოს რეპრესიების ფონზე ჩაიარა. თოთხმეტი წლისამ ერთ-ერთი ბანკის ოფისში დაიწყო მუშაობა. მომდევნო ოცდათოხი წლის განმავლობაში სამსახური არ შეუცვლია, იცვლებოდა მხოლოდ თანამდებობები.

მომავალმა პოეტმა განათლება კულტურისა და ლიტერატურის სფეროში მიიღო. სწავლის საფასურის გადახდა საკუთარი ძალისხმევით უნევდა. ახალგაზრდობიდან მოყოლებული, ინტენსიურად აქვეყნებდა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში.

1969 წელს გამონედა რეგიონულ განყოფილებაში გადავიდა სამუშაოდ და კულტურული პროექტების განხორციელებას შეუდგა. ამას მოჰყვა სიერა პამბლეის ფონდის ხელმძღვანელის თანამდებობა. ფონდი მუშებისა და გლეხების განათლების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ცენზურასთან პრობლემების გამო გამონედა ხანგრძლივი დროის განმავლობაში იძულებული იყო, უარი ეთქვა გამოქვეყნებაზე, თუმცა წერა არ შეუწყვეტია. ლექსების დაბეჭდვა მხოლოდ ფრანკოს სიკვდილის შემდეგ, 80-იანი წლებიდან შეძლო. მისი წიგნები გამოსცლისთანავე კასტილია და ლეონის პრემიითა (1985) და პოეზიის ეროვნული ჯილდოთი (1987) აღინიშნა.

გამონედას შემოქმედებით ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მხატვრებთან თანამშრომლობას, რომლის დროსაც პოეტი და მხატვარი ერთად ცდილობდნენ, შეექმნათ პოეტური სახის ადეკვატური ვიზუალური ხატი. ამ მხრივ წარმატებული გამოდგა თანაშემოქმედება ცნობილ აბსტრაქციონისტ ანტონიო ტაპიესთან, ალვარო დელგადოსთან, ამალია ბოსალთან, ხუან კარლოს მესტრესა და ლუის მოროსთან.

გამონედას განსაკუთრებული ინტერესი სხვა შემოქმედების მიმართ ასახვას პოულობს ესეების კრებულში, სადაც იგი ცნობილი პოეტების, ხორხე გილენის, ლუის სერნუდას, ბერნარდ ნოელის, ბლანკა ვალერას, ნაზიმ ჰიკმეტის, ხოსე ანხელ ვალენტესა და სხვათა შემოქმედების ღრმა ლიტერატურული რეფლექსიებს გვთავაზობს.

ანტონიო გამონედას 50-ანელთა თაობას აკუთვნებენ, თუმცა თავად პოეტი ამ მოსაზრებას არ იზიარებს, რადგან მისი შემოქმედება დამოუკიდებლად ვითარდებოდა და რეალურად არასოდეს გადაკვეთილა ამ შემოქმედებით ჯგუფთან. ამას ემატება ისიც, რომ გამონედას სრულიად განსხვავებული, საკუთარი სტილი აქვს, რომლის წყალობითაც მან გვიან, მაგრამ მაინც მოიპოვა აღიარება. როცა სერვანტესის პრემიის მიღების შემდეგ 50-ანელთა შესახებ დაუსვეს კითხვა, გულწრფელობის შემოტევისას პოეტმა უპასუხა, რომ სახელწოდება "50-ანელთა თაობა", მისი აზრით, მხოლოდ მარკეტინგული ხრიკია: "ჩემთვის რომ ეკითხათ, ალბათ, უფრო დაუნდობელი ვიქნებოდი და ვიტყოდი, რომ ეს თაობა არ არსებობს, ის მოიგონეს, რათა რამდენიმე მეგობარს თავის თანამედროვეებს შორის უპირატესობა მოეპოვებინა, პოპულარული გამხდარიყო და საკუთარი სახელი სახელმძღვანელოებში მოეხვედრებინა. რაც შემეხება მე, ჩემი მიმართულებით მათ არც ერთი ნაბიჯი არ გადმოუდგამთ, ეს არც მე გამიკვირებია."

ახლა უკვე ოთხმოცდაათი წლის გამონედა ხშირად საუბრობს პოეზიის როლზე ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამბობს, რომ "გული წყდება იმის გამო, რომ თანამედროვე საზოგადოებამ არ დატოვა ადგილი პოეზიისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მილიონობით ადამიანი მის გარეშე უბრალოდ ვერ ცხოვრობს. მათ ნამდვილად აქვთ საჭიროება და სურვილი, რომ პოეზიას საკუთარი სივრცე ჰქონდეს დეჰუმანიზებულ საზოგადოებაში. პოეზია ხომ ასატანს ხდის ჩვენ ცხოვრებას, რომელიც, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, ობიექტური სახით ავლენს თავს, უფრო ხშირად კი ბოროტია."

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ ᲒᲐᲛᲝᲜᲔᲓᲐᲡᲗᲐᲜ: ᲩᲕᲔᲜ ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲧᲐᲚᲘᲑᲝᲗ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐ

- მოდით, პოეზიით დავიწყოთ. თქვენი წიგნი - "ეს შუქი" - უკვე ორ ტომად გამოვიდა. ნუთუ თხუთმეტი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც თქვენი პოეზია პირველად გამოჩნდა, ამდენი რამ დაგროვდა. იქნებ უჯრაში უფრო მეტიც დარჩა?

- "ეს შუქი" პირველად 2004 წელს გამოიცა. თხუთმეტი წელია, ტექსტები გროვდება. მართალი გითხრათ, რაოდენობას უნდობლად ვუყურებ. ამას ისიც ემატება, რომ თავის დროზე გადავწყვიტე, "ზხამის წიგნი" არ გამომეცა. ახლა კი საჭიროდ ჩავთვალე, ისიც შემეტანა კრებულში. დანარჩენი ლექსები ამ უკანასკნელი თხუთმეტი წლის შრომის შედეგია. მე მგონი, საკმაოდ ბევრი გამოვიდა, ზედმეტიც კი.

- როდის შეგიძლია თქვა, რომ ზედმეტი დაიწერა?

- როცა ერთსა და იმავეს უბრუნდები და იმეორებ. ეს იმას ნიშნავს, რომ ესა თუ ის საკითხი - თუმცა, ეჭვი მეპარება, პოეზიაში საკითხები არსებობდეს - შენთვის ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. ამიტომ ისევ უბრუნდები და აქ იწყება გამეორება და გადამუშავება. ცვდილობდი, რაღაცები დამეხვეწა, თუმცა ამ საქმეში დამარცხება თავის პირობებს გვკარნახობს.

- თქვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს უსასრულო დამუშავებასთან. თქვენი ახალი გამოცემის შემთხვევაშიც ასეა. ჩემი აზრით, ქსოვისა და დაშლის ამგვარი მონაცვლეობა არის კიდეც ნამდვილი შემოქმედება.

- არ უარვყოფ, არიან ავტორები, რომლებსაც ლექსი პირველივე ჯერზე აქვთ მზად, იმასაც ვაღიარებ, რომ ჩემთვის ძნელია, უცებ აღმოვაჩინო ეს მოუხელთებელი ნაყოფი, ეს ნაპერწკალი ტექსტში. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ, თვით გენიოსების შემთხვევაშიც კი, პოეზიის კონსტრუირება (არქიტექტონიკა) მხოლოდ დამუშავების შედეგად ხდება შესაძლებელი. ნახეთ, თუნდაც სესარ ვალეხო, გინდაც სხვები, ისინი ხომ გამუდმებით სრულქმნიდნენ ტექსტებს. ჩვენ კი, დანარჩენები, იმას ვაკეთებთ, რისი ძალაც შეგვწევს.

- სტილის არჩევას თქვენ სავალდებულოდ არ მიიჩნევთ, ალბათ, იმიტომ, რომ თქვენი სტილი უკვე ზუსტად მონიშნეთ "ტყუილის აღწერაში", რომელიც 1977 წელს გამოვიდა და ესპანურენოვან ლიტერატურაში სრულიად ახალი სათქმელი მოიტანა.



- არ ვიცი, რა არის სტილი და არც არასოდეს მივისწრაფოდი მისკენ. მე სხვა რამ უფრო მაინტერესებს, მაგალითად, ლექსის კონსტრუირება. პოეზია სივრცეში კი არ იქმნება, არამედ დროში. ამით ის ცეკვას ან მწერლობას უფრო წაგავს. უცნაურია, არსებობს გარკვეული ნება კონსტრუირებისა, ნება იმისა, რომ პოეზია უფრო გამძლე გახდეს. ხელახალი გადამუშავების მიზანი სწორედ ეს არის. ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, ჩვენ პოეტური არქიტექტურის შექმნას ვცდილობთ.

- პოეზიის მისია ჭეშმარიტების წარმოჩენაშია?

- არ ვიცი, რა არის ჭეშმარიტება. ფიზიკური რეალობა უმნიშვნელო და აღწერითი კატეგორიაა. მაგალითად, წვიმს. კი, ნამდვილად ასეა, მაგრამ ყველაფერი აქ მთავრდება. რა არის ჭეშმარიტება? ამას შფოთიან ამოძახილად ნუ ჩამითვლით, ჩემთვის ეს უპასუხო კითხვაა. პოეტური ტექსტი ნუგეში და თავისუფლებაა, ამბოხია, როგორც ეს ხოსე ლუის პარდომ, ჩვენმა გამოჩენილმა ფილოსოფოსმა აღნიშნა. ჭეშმარიტად ასეა!

- მიგელ კასადო თქვენი წიგნის ეპილოგში, რომელიც ერთმნიშვნელოვანი სახელწოდებით, "დრო კითხულობს ლექსებს", დაასათაურა, აღნიშნავს, რომ 2003 წელს გამოქვეყნებული "იწვიან დანაკარგების" ბოლო ნაწილი უკვე შეიცავს იმ "ხელშესახებ ემბრიონს", რომელიც მომდევნო თხუთმეტი წლის განმავლობაში თქვენს პოეზიაში იკითხება.

- ეს მიგელ კასადოს შეფასებაა, რაც, ვფიქრობ, უფრო შეესაბამება 1977 წლის კრებულს, სახელწოდებით "ტყუილის აღწერა", რომელიც იმ დროს არ გახმაურებულა, ალბათ, იმიტომ, რომ ცოტა დაბნეულობა გამოიწვია საზოგადოებაში. მაგრამ დრო დაეხმარა ამ წიგნს უკეთ ყოფილიყო გაგებული და გაცხადებული. ითქვა და, ალბათ, მეც იმავეს ვიტყოდი, რომ "ტყუილის აღწერა" ჩემი მომდევნო პოეზიის წყაროა, თუმცა შემდეგ ეს პერსპექტივა დავკარგე. ამ უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში სულ სხვა რამ მოხდა: სიბერისა და დაღლილობის გამო ჩემი პოეზია არარსებობის ცნების ირგვლივ აიგო.

- თქვენ დაწერეთ: "ეს სიბერეა. (...) / შეკითხვები უნდა შეწყდეს". უკვე აღარ გაქვთ შეკითხვები?

- შეუძლებელია შეკითხვები ამოწურო, მაგრამ იმ შეკითხვებმა თხუთმეტი, ოცი წლის წინ რომ მწვავედ მეჩვენებოდა, ახლა სიმძაფრე დაკარგეს. შეიძლება იმიტომ, რომ რაღაც შეკითხვებს უკვე გავეცი პასუხი, მეტ-ნაკლები სიცხადით, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც ამოვწურე. ამიტომ ახლა ამ შეკითხვებს ძიების მუხტი აღარ ახლავს.

- იქნებ სიკვდილის სიახლოვის, არარსებობაში დაბრუნების გამო მოხდა ასე?

- სიკვდილის გარდაუვალობა ყოველთვის არსებობდა ჩემს პოეზიაში და ახლაც ასეა: სიკვდილთან შეგუება შეუძლებელია, მის მოსვლამდე შესაძლებელია მხოლოდ მშვიდი ინსცენირება. ამიტომ ვერ ვიტყოდი, რომ ეს აზრი ბოლო წლებში მომეძალა. სიკვდილის პერსპექტივა ბავშვობიდან თან მდევს. ჯერ კიდევ ძალიან პატარას, მშვენივრად მესმოდა სამოქალაქო ომის რეპრესიების მთელი სიმძიმე, რომელმაც საბოლოოდ დაანგრია ან იქნებ შექმნა კიდეც ჩემი ბავშვობა და არა მხოლოდ ბავშვობა. ისეთი ძლიერი კვალი დატოვა ჩემში, რომ, ალბათ, ამით აიხსნება სიკვდილის მუდმივი მყოფობა ჩემს ცხოვრებაში. შეიძლება ზედმეტად პირდაპირი ნათქვამია, მაგრამ ასეა.

- სიკვდილთან შეგუება შესაძლებელია? გეშინიათ მისი?

- სიკვდილის ჩვევა, მისი გონებრივი და ემოციური გაცნობიერება ჩემთვის გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა. დედაჩემმა, ყოველგვარი ცუდი განზრახვის გარეშე, მამის არყოფნის გრძნობა გამიძლიერა. არასოდეს დაუშალავს, რომ მამა ძალიან ენატრებოდა და ეს ჩვენი ურთიერთობის ფორმა გახდა. თუ ამ გარემოებებს ერთმანეთს დავუმატებთ

- დამთრგუნველ გარემოს, ფრანკოს სასტიკ გენოციდს და დედის მიერ მოწოდებულ ნოტებს ობლობის შესახებ, გასაგები გახდება ჩემი გონების ამგვარი მიდრეკილება სიკვდილისადმი.

- თქვენი პოეზია ცდილობს, ნათელი მოჰფინოს ამ ფიქსირებულ პერიოდს ორ არარსებობას შორის?

- ეს რაღაც გონებით შეუცნობელია. თითქოს სივრცე ამ ფრჩხილებს შორის - არსებობაა. მაგრამ გაფრთხილებთ, მხოლოდ თითქოს. აქედან იღებს სათავეს მთელი ეს გაუგებრობა, რომელსაც ჩვეულებრივ ენაზე ცხოვრებას ვუწოდებთ. ძალიან მალე 88 წელი შემისრულდება, სადაცაა, არარსებობას დავუბრუნდები და ეს წინასწარ ვიცი. მთელი ხათაბალაც ის არის, რომ ჩვენ ვცხოვრობთ, ამ წუთას ვარსებობთ და, ამავდროულად, ვიცით, რომ ეს დამთავრდება. ცხოველებიც ხომ მოკვდავები არიან, მაგრამ მათ წინასწარ არაფერი იციან. ტრაგედია ის არის, რომ ადამიანი ერთადერთია, ვინც, გონებისმიერი ტერმინებით რომ ვთქვათ, საქმის კურსშია, რომ ფინალი გარდაუვლია.

- იმის გამოთქმა, რაც არ გამოითქმის, თქვენთვის ამბოხის ფორმაა? თუკი ასეა, თქვენი აზრით, ეს არის პოეზიის დანიშნულება?

- ერთგვარი წნეხი, რომ როგორღაც გამოითქვას გამოუთქმელი, ყველა პოეტს აწუხებს. ყველას თავის ხარისხით, მაგრამ უკლებლივ ყველას. მათაც კი, ვინც რეალიზმით ზედმეტად არიან გატაცებულნი და, როგორც თავად ამბობენ, "წერენ მხოლოდ იმას, "რაც ცხადია". გამოუთქმელზე, როგორც გათავისუფლებასა და აჯანყებაზე, საუბრობს ფილოსოფოსი ხოსე ლუის პარდო და ამტკიცებს, რომ პოეტური სიტყვა, თუკი ის მართლაც ცნობიერებიდან მოდის, ქმნის ამოუცნობს, რომელიც არ განეკუთვნება კონვენციურ ენას. საუბარია განსხვავებულ ენაზე, რადგან ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგება ჩვეულებრივ ენას, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ძალაუფლების ენა და მას ევალება, თქვას ის, რაც შესაძლებელია. პარდო ერთმანეთს უპირისპირებს პოეზიის ამოუცნობლობას და ძალაუფლების ენას და მიდის დასკვნამდე, რომ ეს ამბოხის ფორმაა. ანუ, პოეზიის ამბოხი არ მდგომარეობს მის თემატიკაში, სწორსა და არასწორში, არამედ თვით ენის ბუნებაში, რომელიც ძალაუფლების ენის ბუნების საპირისპიროა. ის ენები, რომლებიც ბოლომდე გამყარებულნი არ არიან საკუთარ თავში, ამბოხს შეიცავენ.

- ვინ წყვეტს, რა არის ამოუცნობი? თქვენ წერთ: "მხოლოდ ამოუცნობია მუდმივი..."

- პოეზიის შეუცნობელი ბუნების გამოა, რომ არ არსებობს ერთი წიგნი, წიგნი იმდენია, რამდენი მკითხველიც არსებობს. როცა ქარიშხლის ცნებას გადმოვცემ, ეს უშუალოდ ქარიშხალი კი არ არის, რომელიც მე იბერიის ჩრდილო-დასავლეთში წარმოვიდგინე ან მკითხველმა წარმოიდგინა რომელიმე პატაგონიასა თუ ამაზონის სელვაში... ყველა ახალი წაკითხვა ლექსს განუმეორებელ რეალობას ანიჭებს. ღრმა პოლისემანტიკურობის გამო, ლექსში შეუცნობელს ღრმად ეხები, უფრო ღრმად, ვიდრე სხვა ნებისმიერი გამოვლინების დროს. ამ საზღვრებში უნდა გამოვყოთ ორი განსხვავებული მიდგომა: ან მკითხველი ეყრდნობა ამოუცნობს, რომელიც ძალიან ახლოსაა კონვენციურ ენასთან, ან ის ხელმძღვანელობს იმ ლინგვისტურ-პოეტური კომპონენტებით, რასაც მას ავტორი სთავაზობს. როგორ უნდა შეიგრძნო ჰომეროსის ტექსტი ან ბიბლია დღეს არსებული ლინგვისტურ-პოეტური კანონიკით? ეს შეუძლებელია. იგივე ითქმის თანამედროვე ტექსტებზეც.

- ანუ პოეზიის ერთ-ერთ ფუნქციად ამბოხს მოიაზრებთ? სხვა ფუნქციებიც არსებობს?

- მას აქვს კიდევ, სულ ცოტა, ორი სხვა ფუნქციაც: პოეზია გულისხმობს პოეტისთვის თავისუფლების მინიჭებას. ის ისეთივე მექანიზმია, როგორიც აღსარება კათოლიციზმში. საუბრობ შენს დანაშაულზე, აღმოთქვამ და სუფთავდები, თავისუფლდები. და მეორე: პოეზია სიამოვნების გენერირების ფორმაა, მაშინაც კი, როცა მასში ტანჯვაა გადმოცემული. გავიხსენებ ხორხე მანრიკეს "სიმღერებს მამის სიკვდილზე", ეს მტკივნეული ტექსტია, თუმცა მისი კითხვის დროს სიამოვნებას შევიგრძნობთ და თან არც ტანჯვას ვკარგავთ თვალთახედვიდან.

- თქვენი წიგნი "ტყუილის აღწერა" გარდამავალი პერიოდის ერთგვარი ქრონიკებია, იმ დროისა, რომელსაც თქვენ "სიტყვით წამება" უწოდეთ. ხომ არ იყო ეს გაფრთხილება იმ ცუდის შესახებ, რაც დღეს ჩვენს თავს ხდება?

- გარკვეულწილად ასეა. იმ წუთას მივხვდით, რომ ყალბ გარდატეხასთან გვქონდა საქმე. მოვიდოდა დემოკრატია და გახდებოდა მხოლოდ საბურველი, რომლითაც კვლავ უსამართლობებს დფარავდნენ. რა თქმა უნდა, აღარ შევესწრებოდით დაცხრილვას, თავის მოკვეთას ან წამებას, სამაგიეროდ იქნებოდა ეკონომიკური უსამართლობა, სიღარიბე, უსახლკარობა, უმუშევრობა... ყველაფერ ამას სწორედ დემოკრატიის სახელით ეძლევა ლეგიტიმაცია ესპანეთში და მის საზღვრებს გარეთაც. ეს სიყალბისა და ტყუილის ცნობიერებაა. ვინც რეალურ გარდატეხას მოველოდით და თან ვიცოდით, რომ დემოკრატია მხოლოდ გარეგნული და ფიქციურია, ხიფათით ვუცქერდით მომავალს. სამწუხაროდ, ეს ცვლილება მართლაც მოჩვენებითი აღმოჩნდა.

- 2006 წლის სერვანტესის პრემიის ცერემონიაზე თქვენი სიტყვა სიღარიბეს მიუძღვენით. და ეს იმ დროს, როცა დანარჩენები ბრიყვებივით ცრუ სამოთხეში ვცხოვრობდით, სადაც არ არსებობდნენ ღარიბები და ექსპლუატირებულები და მტკიცედ გვჯეროდა, რომ ყველანი საშუალო კლასს მივეკუთვნებოდით.

- ყოველთვის კარგად ვცნობდი რეალობის გრიმს და ვიცი, როგორი ძნელია ამ ნიღბის ჩამოხსნა. მაგრამ ეს ჩვენი ვალია. სერვანტესმა თავის ნაწარმოები სიღარიბეში ცხოვრებისას დაწერა და ფურცელზე საკუთარი ცხოვრებისეული და სოციალური მდგომარეობა გადმოიტანა. სერვანტესის დიადი წიგნები მისი გარემოდან, მისი წარმომავლობიდან, დაჩაგრული კლასიდან იღებს სათავეს. არსებობს და იარსებებს პოეზია, რომელიც ითვალისწინებს სიღარიბეში ცხოვრების ცნობიერებას. სიღარიბესთან დამოკიდებულება, საკუთარი იქნება თუ სხვისი, ჩემს პოეზიაშიც ავსახე. ბოლოს ვიტყოდი, რომ სიღარიბეში ცხოვრება ერთია და მეორეა, იყო მისი სოლიდარული, ვინც ასე ცხოვრობს. შესაბამისად, ეს ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობა სხვადასხვაგვარ პოეზიას შობს.

- წერის დროს სიღარიბე არასოდეს დაგვიწყებიათ.

- იმიტომ, რომ საუბარია მოქმედებაზე სიღარიბიდან და არა უშუალოდ სიღატაკეზე. აქედან ამოვდივარ, რადგან ეს ჩემი ტერიტორიაა. მართალი გითხრათ, ახლა ეს უფრო ასატანია, ვიდრე სამოცი წლის წინ იყო. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თვალი დავხუჭო იმაზე, რასაც ჩემნაირები განიცდიან, იმ ათასგვარ ექსპლუატაციასა და სიმძიმეზე, რაც სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის გამო ხდება.

- მოქმედებისთვის საჭიროა მიზანი, უტოპია. თქვენ კიდევ შეგრჩათ ეს შემართება?

- დიახ, არის ერთი უტოპია, რომ დავუპირისპირდე მოხმარების დიქტატურას. კონსუმერიზმი ტოქსიკური ხრიკია, რომლის მეშვეობითაც ეკონომიკური ძალაუფლება უზრუნველყოფს სამუშაოსთვის გადახდილი ანაზღაურების უკან დაბრუნებას. როცა ხელფასი 100 ევროთი იზრდება, ეკონომიკურმა ძალაუფლებამ უკვე იცის, რომ ამ თანხას ხუთმაგი ოდენობით მიიღებს უკან. ისინი მოხმარებაზე მუდმივ დამოკიდებულებას ქმნიან, რომ გარანტირებული ჰქონდეთ მუდმივი შემოსავალი. ჩვენ ხელახლა უნდა ჩამოვიყალიბოთ სიღარიბის ცნობიერება, რაც არის კიდეც ჩვენი რეალობა, იმისთვის, რომ მშვიდობიანი, მაგრამ შედეგიანი რევოლუცია მოვაწყოთ.

- "სიღარიბე" - ასე ეწოდება თქვენი მოგონებების მეორე ტომს, რომელიც ძალიან მალე გამოვა.

- და, ალბათ, ეს ჩემი ბოლო წიგნიც იქნება. ეს წიგნი მეხსიერებაზეა და დროში სამოგზაუროდაა დაწერილი იქიდან მოყოლებული, როცა თოთხმეტი წელი შემისრულდა და პროლეტარ ახალგაზრდად ვიქეცი. პირველ ტომში "კარადა სავსე ჩრდილებით" თავი მოვუყარე ბავშვობის მოგონებებს ოვიედოზე, სადაც დავიბადე და ლეონზე, სადაც ქვრივ და ასთმიან დედასთან ერთად გავემგზავრე. აქ შეგხვდებათ შეწყვეტილი ფრაგმენტები დღიურების სახით, ასევე ადამიანებთან შეხვედრის შესახებ დაწერილი მოთხრობები და მოგზაურობის ქრონიკებიც კი. სამოცდაოთხმეტი წელიწადი ბევრ მოსაყოლს აგროვებს. აქვეა ჩემი ნააზრევი მწერლობის შესახებ და აკვიატებული ტექსტები სიღარიბეზე, დედაზე, შვილებზე, შვილიშვილებზე, გაუჩინარებულ მეგობრებზე და თავისთავად ცხადია - პოეზიაზე. ერთი სიტყვით, ცხოვრებაზე, რომელიც მე მხვდა წილად.

- ფრანკოს ცენზურამ "კასტილიური ბლუზიდან" მარქსის ციტატის "სირცხვილი რევოლუციური გრძნობაა" ამოღება გთხოვათ, თქვენ კი უარი განაცხადეთ. ეს სიტყვა - "რევოლუცია" დღესაც შეგრჩათ ბაგეზე.

- ის მიზეზები, რამაც მარქსს ეს სიტყვები კვლავ დაანერინა, ისევ ძალაში რჩება და, დიახ, სირცხვილი საკუთარი დანაშაულის აღიარების ფორმაა და მასზე გამარჯვების სურვილიც. ამიტომაც არის ის რევოლუციური. მე სიტყვა რევოლუციაში არ ვგულისხმობ იმავეს, რასაც ყოფილი სანდინისტი დანიელ ორტეგა ან რასაც ესპანური ფაშიზმი გულისხმობდა "მოსალოდნელ რევოლუციაში". ცნება "რევოლუცია" ახლა ძალიანაა აღრეული. საჭიროა, დაიწმინდოს და ახლანდელ რეალობას მოერგოს. კლასიკური რევოლუციები დღეს ვერ გამოდგება, რადგან ეკონომიკური ძალაუფლება გააუქმებს და დაბლოკავს მათ. ან იქნებ იმიტომ, რომ თავად უღალატეს საკუთარ თავს. პირველი სწორი ნაბიჯი იქნებოდა, მოგვეძებნა ფორმულა, რომელიც ძალიან მცირეთი, ძალიან ლოკალურით დაიწყებოდა და შექმნიდა ალტერნატიული რეალობას, სადაც ადამიანთა ბედი საერთაშორისო კორპორაციებსა და გადასახადებზე არ იქნებოდა დამოკიდებული. კომპუსიური კონსუმერიზმის გაქრობასთან ერთად, პირველ რიგში, მანქანებისა და ტექნიკის მოხმარების შემცირების ხარჯზე, ნელ-ნელა შესაძლებელი გახდებოდა დიდი კომერციული ცენტრების ჩანაცვლება მცირე ბიზნესით, გაცვლა-გამოცვლითა და პატარა კოოპერატივებით. მე ამას ვერ მოვესწრები, მაგრამ ახლა ეს არის ის რევოლუცია, რომელსაც ვხედავ და რომლის იმედიც მაქვს.

- ზოგიერთი მოაზროვნისაგან აპოკალიფსურ რიტორიკას ვისმენთ. ისინი ვერ ხედავენ სამომხმარებლო კაპიტალიზმის ალტერნატივას. თქვენი სიტყვები ძალიან მაგონებს "ძმობას იმედის გარეშე".

- მე იმავე აზრზე ვრჩები, რაც დიდი ხნის წინ დავწერე. ვისურვებდი ძმობას იმედით, თუმცა, ალბათ, ეს რთული მისაღწევი იქნება. სანამ ხელახლა არ დავნერგავთ სიღარიბის ცნობიერებას, ამას ვერ შევძლებთ. კიდევ უფრო ნაკლები შანსი დაგვრჩება, თუ ისევ გავაგრძელებთ მანქანების, ტელეფონებისა და ნარკოტიკის მოხმარებას - იმ უამრავი პროდუქტისა, რომელთა შორის უკვე განსხვავებასაც ვეღარ ვხვდები. ყველა მათგანი ეკონომიკური დანაშაულის ფორმაა, რომელიც ტყუილზე, არაჯანსაღ დამოკიდებულებასა და ექსპლუატაციაზე დგას. რა ლაპარაკი უნდა, რომ "ვოთსაფერები" ქმნიან ახალ დაავადებას, რომელიც უფრო მძიმეა, ვიდრე კანაფის მოხმარება. იმედად ისღა რჩება, რომ ჩვენი დამოკიდებულება ემპათიად იქცეს. არსებობენ ცხოველთა სახეობები, მაგალითად ცხვარი, ჭიანჭველები, რომლებიც ყოველგვარი ცნობიერების გარეშე ცხოვრობენ კოლექტიურ თანაგრძნობაში. ჩვენ რა გვიშლის ხელს?

- მაგალითს ხომ ვერ მოგვიყვანდით? მართლა არასოდეს გყოლიათ მანქანა?

- იმას ვაკეთებ, რაც შემიძლია. არასოდეს გვყოლია მანქანა. ახლა, როცა მე და ჩემი მეუღლე ფიზიკურად შეზღუდულები ვართ, ტაქსის ვიძახებთ. ეს გაცილებით იაფი გვიჯდება. აღარაფერს ვიტყვი ავტობუსსა და მატარებელზე. არც ის დაგვავიწყდეს, რომ ასე გამონაბოლქვიც მცირდება და უბედური შემთხვევებიც. თუ მოხმარების წინააღმდეგ უმნიშვნელო და ლოკალურ მოქმედებებს სერიულად გავამრავლებთ, "მშვიდობიან დარტყმას" მივაყენებთ მტაცებლურ ეკონომიკურ ძალაუფლებას, რომელიც დღითიდღე ძლიერდება სოციალური დაავადებების გავრცელების ხარჯზე. მათ პოლიტიკური ძალების მხარდაჭერაც აქვთ, რომლებიც შეიძლება იყოს ან არ იყოს დემოკრატიული. საჭიროა, არ დავიგინყოთ და კარგად გავაანალიზოთ ჩვენი მდგომარეობა. ერთსაც დავამატებდი: პრაქტიკულად სულერთია, ეს პოლიტიკური ძალები მემარჯვენეებად ითვლებიან თუ მემარცხენეებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტონიო გამონედა

* * *

მიყვარდა. ეს ისეთივე უცნაურია, როგორიც ვერხვის შრიალი.
ახლა სინათლემ შთანთქა ჩემი არსება, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ მიყვარდა.
მე მასში ვარსებობდი და მისი სისხლი ჩემს ძარღვებში მიმოდიოდა.
ვიკარგებოდი მუსიკაში. მე თვითონ ვიყავი მუსიკა.
ახლა კი... ვინაა ეს ბრმა ჩემს თვალებში?
ჩემს სახეზე მოალერსე ხელები ტკბილად მაბერებდნენ.
ნეტავ რა იყო ცხოვრება დავიწყებასა და თოკებს შორის?
ვინ იყო დედაჩემის მკლავებში, ვინ იყო ჩემს საკუთარ გულში?
უცნაურია,
მხოლოდ არცოდნა და დავიწყება ვისწავლე.
უცნაურია,
სიყვარული ისევ ცოცხლობს დავიწყებაში.

ვეცემი შენს ხელებში

როცა ჯერ კიდევ არ ვიცოდი,
რომ ხელებში ვცხოვრობ,
ისინი ჩემს სახესა და გულს ეხებოდნენ.
მე ვგრძნობდი, რომ ტკბილია ღამე, როგორც თბილი რძე
და დიდი...
უფრო დიდი, ვიდრე ჩემი ცხოვრება.
დედა:
ეს შენი ხელები იყო ღამესთან ერთად
და სიბნელესაც ამის გამო ვუყვარდი მხოლოდ
აღარაფერი მახსოვს, მაგრამ
იქ, სადაც მეტად ვარსებობ - დავიწყებაში,
შენი ხელები და ღამე
სულ თან მდევენ,
სულ ჩემთან არიან.
და როცა ხანდახან ჩემი თავი დაეკიდება და ზემოდან დასცქერის მიწას,
მეტს ვეღარ ვუძლებ და სამყარო ცარიელდება,
მუხლებზე ვდგები,
რომ ვისუნთქო შენი ხელები,
ვეშვები დაბლა.
შენ ჩემს სახეს ფარავ, მე პატარა ვარ,
შენი ხელები კი დიდია. კვლავ მოდის ღამე,
და მე ვისვენებ ადამიანობისგან.
ვისვენებ ადამიანობისგან.

სიყვარული

ჩემი შენდამი სიყვარული უბრალოა:
ტანზე გიხუტებ, თითქოს სიმართლე აკლდეს ჩემს გულს,
შენს სხეულს კი მისი მოცემა შეეძლოს.
თმას რომ გიწვავ,
რაღაც მშვენიერი იბადება ჩემს თითებს შორის.
სხვა რა ვთქვა. მე მხოლოდ ვცდილობ, შენთან ერთად მშვიდად ვიცხოვრო.
მშვიდად ვიცხოვრო იმ ამოუცნობ მოვალეობასთან,
ხანდახან მძიმე ტვირთად რომ აწვება ჩემს გულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თრობა მელანქოლიით

ვიღაც შემოდის თეთრ მეხსიერებაში, ქვად ქცეულ გულში.
ვხედავ შუქს ნისლში და ამ შეცდომის სიტკბოება მაიძულებს დავხუჭო თვალი.
ეს მელანქოლიით თრობაა; მაგრამ როგორ დავყნოსო სნეული ვარდი,
მოციმციმე - სურნელებასა და სიკვდილს შორის.

ვნახე ჩაძირული ლავანდები

ჯამში დამბალ ლავანდებს მოვკარი თვალი და აენთო ხილვა.

წვიმის მიღმა დავინახე ავადმყოფი გველები, ლამაზი, გამჭვირვალე წყლულებით. ეკლებითა და ჩრდილებით შეწუხებული ხილი, ნამით აღგზნებული ბალახი. დავინახე განწირული ბულბული, მისი შუქით სავსე ყელი.

ვუყურებ ნაწამებ ბაღს და ვფიქრობ ყოფიერებაზე. თავბრუდამხვევი სისწრაფით ჩამიქროლეს თვალწინ ჭაღარა დედებმა.

ჩემი ფიქრი მარადისობაზე ადრინდელია, მაგრამ სად არის მარადისობა. ახალგაზრდობა ცარიელ საფლავს შევალიე. დავუძლურდი შეკითხვებით, რომლებიც დღემდე ჩამესმის, როგორც ცხენის ფლოქვების ხმა, მეხსიერებას სევდიანად რომ ეხეთქებიან.

ახლაც, ისევ საკუთარი თავის ირგვლივ ვტრიალებ, თუმცა ვიცი, რომ საბოლოოდ ჩემი გულის სიცივეში გადავეშვები.

ასეთია სიბერე: სიცხადე შესვენების გარეშე.

ამბოხი

გეფიცებით, სილამაზე არ შობს მშვენიერ სიზმრებს.
უფრო უძილობას, ყინულივით წმინდას
და მეხივით მყიფეს, მოუქნელს.

ვაჟკაცი უნდა იყო, სილამაზე რომ აიტანო:
შიშის გამო ვინ
გაუთხრის ცალ-ცალკე საფლავს
უბრალო პურს და მჭახე მუსიკას.
ოჰ, ეს მხდალები,
საკუთარ ჩრდილსაც რომ გაურბიან.
ერთ დღეს, მართლა რომ ამეტყველდეს ეს მდუმარება,
შეისუნთქავდნენ აჩრდილთა კვამლს?
ან სიმღერით შეხვდებოდნენ ლანდად გარდაქმნას?
და ესენი,
ეს საბრალო შეყვარებულები,
ტკივილით რომ იმართლებენ თავს,
გაფრთხილდით, ასე ყმუილი სჩვევიათ ძაღლებს.

ჩვენ სიყვარულზე უფრო წმინდას უნდა ვუმღეროთ,
ცოცხალ ქანებში, მატერიათა მბორგავ სხეულში,
მწყობრად დინებას აბრკოლებს რაღაც.
ეს სიკვდილი არ არის,
ეს უხილავი წესრიგია თავისუფლება.
მე მოვითხოვ სიმშვიდის ამბოხს, უძრავ ქარიშხალს.
ვნატრობ და ვითხოვ სილამაზე გახდეს ძალა და პური,
ტკივილის საზრდო, მისი სასახლე.
დიახ, ვუხმობ სამართალს და სილამაზეს.
რომ თავის ნებით აირჩიოს კაცმა სინათლე
მოვკვდები კიდეც
ასეთი თავისუფლებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარი ბექაური

ადამიანი, რომელმაც წელებზე ფეხი დაიდგა



უკვე ოცი წელი სრულდებოდა, რაც მარინა ბეგთაბეგიშვილის ყოველი დღე ერთნაირი იყო.

ზუსტად ერთნაირი.

აბსოლუტურად ერთნაირი.

მარინა ბეგთაბეგიშვილი დილის შვიდ საათზე დგებოდა. თურქულ ყავას სვამდა. ოჯახისთვის საუზმეს ამზადებდა და ხან მაგიდაზე, ხან კი გაზქურაზე ტოვებდა (საჭმელს გააჩნია). სააბაზანოს პროცედურებს მოილევდა და ბაზრობაზე მიდიოდა.

ბანაობით ყოველთვის საღამოს ბანაობდა, რადგან მტკიცედ სჯეროდა, რომ თუ დილით ახალდაბანილი გავიდოდა, აუცილებლად ჰაიმორიტი დაემართებოდა, მიუხედავად იმისა, ზამთარი იყო თუ ზაფხული, სიცხე თუ სიცივე.

ბანაობის წესიც თავისი ჰქონდა: ტანს ყოველ საღამოს იბანდა, თავს კი - კვირაში ერთხელ, კონკრეტულად შაბათ დღეს, და აქაც - მიუხედავად იმისა, ზამთარი იყო თუ ზაფხული, სიცხე თუ სიცივე...

ბაზრობაზე მარინა ბეგთაბეგიშვილს პატარა დახლი ედგა და ჯინსის შარვლებს ყიდდა. ეს - ბო-

ლო თორმეტ წელს, თორემ სულ თავიდან კომერციული საქმიანობა ბიუზჰალტერების, იგივე ლიფების გაყიდვით დაიწყო.

ჯერ ლიფები იყო, მერე - საბანკეტო კაბები, ბოლოს კი - ჯინსის შარვლები, რომლებსაც, ფაქტია, ყველაზე მეტი გასავალი ჰქონდა.

მოკლედ, დილის ცხრიდან საღამოს ექვს საათამდე მარინა შარვლებს ყველა პოტენციურ კლიენტს, ყველა ამვლელსა თუ ჩამვლელს სთავაზობდა. რაღაცნაირი ალღო ჰქონდა - ადამიანს სახეზე შეხედავდა და შინაგანი ხმა თუ ინტუიცია კარნახობდა, რამდენის გადამხდელი იყო კლიენტი.

ვაჭრობის წესიც იცოდა და სწორედ ამ ცოდნისა და ალღოს წყალობით ბიზნესი საკმაოდ კარგად მიუდიოდა. იმდენად კარგად, რომ შეძლო და ორივე შვილს უნივერსიტეტში ასნავლა, ერთ-ერთს მანქანის განვადების ფული უხადა, ქმარს კი ოც წელინადს ასვა და აჭამა, ჩააცვა, დაახურა, სიგარეტი უყიდა და ხანდახან ის ავადსახსენებელი ღვინოც, რომელსაც, მისივე სიტყვებით: "ღირივით ისხამდა დამპალ მუცელში" უბნის ძმაკაცებთან ერთად მაშინ, როცა თვითონ ამდენს შრომობდა და წვალობდა.

სამართლიანობისთვის უნდა აღვნიშნოთ, რომ მარინას ვარამი არც მის შვილებს და მითუმეტეს, არც მის ქმარს არ ადარდებდა.

თითქოს ოდითგან ასე იყო: ოჯახში მხოლოდ მარინა მუშაობდა. მერე რა, რომ შვილებს - ოცდაოთხი წლის ვარლამსა და ოცდასამი წლის გენოს - უნივერსიტეტი უკვე დაემთავრებინათ და, წესით, იმ ცოდნის გამოყენებასა და მატერიალურ სარგებლად ქცევას უნდა შესდგომოდნენ, რის მისაღებადაც გადახდილი ფულისთვის დედამ წელებზე ფეხი დაიდგა.

შენც არ მომიკვდე!

უფროსი ეგრეთ წოდებულ "ძველ ბიჭობას" ჯერ კიდევ ვერ ეშვებოდა, მიუხედავად იმისა, რომ გარეთ 2022 წელი იდგა, ხელოვნური ინტელექტი ყვაოდა, მარსის კოლონიზაცია მიმდინარეობდა...

უმცროსი კი პლანის წევაში კვდებოდა და ყოველ საღამოს რაღაც საეჭვო ადგილას დაიარებოდა, სადაც მსგავსი მისნი რეპავდნენ და მინისქვეშეთიდან ბოზებს და ელიტებს, პოლიტიკოსებს და ელჭეპეტეებს აგინებდნენ...

და ჰო, თავვარი:

ბატონი ამირან მჭედლიძე, მთელ ოც წელიწადს "მუქთახორად მჯდარი" (ხან მწოლიარე), ცოლის ფულებით ნაჭამ-ნასვამი, სიგარეტ-ნაწევი და "დამპალ მუცელში ღვინო ჩასხმული", ვისაც ფაღლეს დონეზე შეეძლო, მარინას ნათქვამი ერთ ყურში შეეშვა და მეორიდან გაეშვა.

მოკლედ, სიტუაცია იყო ამგვარი, უცვლელი და სტატიკური, სანამ ერთხელაც ის - ქმარ-შვილისთვის ავადსახსენებელი და თავზარდამცემი დღე არ გათენდა... (სინამდვილეში კი, დღე, რომელიც ოდესმე გარდაუვალად უნდა დამდგარიყო.)

არადა, ისეთი თითქოს არაფერი მომხდარა. მარინამ ჩვეულ დროს, შვიდ საათზე გაიღვიძა. წამოდგა, სამზარეულოს მიაშურა და გაზქურაზე თურქული ყავა შემოდგა. სანამ ყავა ადუღდებოდა, კარადიდან გრეჩიხა გამოიღო და ქვაბში ჩაყარა. წყალში ზუსტად ოთხჯერ გაავლო (ესეც ბანაობასავით ურყევი წესი იყო, რომლის დარღვევაც მარინასთვის მეორედ მოსვლას უდრიდა) და როცა გაზქურაზე მოსახარშად გრეჩიხიანი ქვაბი შემოდგა, თურქული ყავა კი გადმოდგა, მოხდა ის, რასაც დედამიწის ზურგზე ვერავინ, თავად მარინაც კი ვერ წარმოიდგენდა...

მარინა ბეგთაბეგიშვილმა ჯერ თავი ასწია და კედელს თვალი გაუშტერა.

დიდხანს იდგა ასე, თვალგაშტერებული, იმნაირი მზერით, ვერაფრით რომ მიხვდებოდი, მის გულსა და გონებაში რა ხდებოდა.

მერე კი, თვალები მოჭუტა, გაზქურას გახედა და გამორთო. შეტრიალდა, საძინებელში შებრუნდა და ისეთი გემრიელი ძილი გამოაცხო, მართლაც საუკუნე რომ არ ღირსებია...

როცა ტკბილად გამოიძინა, მარინამ საწოლიდან ფეხები გადმოყო, ცოტა ხანს ფანჯარას უცქირა და წამოდგა.

საერთო ოთახში გასვლამდე, სარკეში ჩაიხედა და თვალები კვლავ რაღაცნაირად - ავისმომასწავებლად მოჭუტა.

ოთახში გასულს, ქმარ-შვილი გაღვიძებული დაუხვდა.

ვარლამი ტელეფონზე ვიღაცას გაცხარებით ელაპარაკებოდა, გენოს ყურსასმენები გაერჭო და რეპებს უსმენდა, ბ.-ნი ამირანი კი ფანჯრიდან ეზოს ზვერავდა.

პირველმა მარინა გენომ დაინახა და იმდენად გაუკვირდა, რომ ინსტინქტურად ყურსასმენები მოიხსნა და გაოგნებულს აღმოხდა:

- დედა?!

გენოს ნათქვამზე ვარლამი და ამირანიც გაოცებული სახეებით შემოტრიალდნენ და მარინას წარბებაზიდულებმა შეხედეს. ვარლამმა უნებურად ტელეფონიც კი გათიშა...

ეს იმდენად უცნაური, დაუჯერებელი, წარმოუდგენელი მოვლენა გახლდათ, რომ ცხადია, სამივემ იგრძნო, სულ მალე რაღაც კატასტროფა მოხდებოდა.

ამირან მჭედლიძემ, რომელსაც ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი - საუკეთესო თავდაცვა თავდასხმაოო, იმის ნაცვლად, ცოლისთვის ეკითხა - რა მოხდა, რამე ხომ არ გიჭირს, ჩემი მარინეო, - თვალები მოაწვრილა და თქვა:

- გრეჩიხა დაგრჩენია მოსახარში...

თუმცა, მარინა ბეგთაბეგიშვილის თავში მართლაც რაღაც ძალიან უჩვეულო მომხდარიყო, რადგან მან, ამსიოდონა წესიერმა, პატიოსანმა, ზრდილობიანმა ქალმა, რომელმაც ოც წელინადს წელებზე ფეხი იდგა, ქმარს გახედა და ცივად, აუღელვებლად მიუგო:

- მოგსტყვნიათ პატრონი.

სამივე გაშრა.

რამდენიმე წუთს არათუ მჭედლიძეთა ოჯახი,

არამედ ოთახში ჰაერი და კედელზე - ფაროსანაც კი გაქვავდა.

ეს ნამდვილი ელდა იყო.

იყო ტკვეინის გასროლა და ელვა, რომელიც საზარელ ჭექა-ქუხილს მოასწავებდა.

თუმცა, ქუხილი აგვიანებდა და უძრაობის მდგომარეობა კვლავ გენომ დაარღვია:

- დედა, რა მოხდა?

- რა მოხდა?! - მარინამ უმცროს შვილს გახედა, - აა, რა მოხდა?!

აქ მცირე პაუზა გააკეთა:

- მართლა გინდა, გითხრა, რა მოხდა?!

ცხადი იყო, მარინა ამ კითხვას არამარტო უმცროს შვილს, არამედ ყველას უსვამდა და ამ ყველაში ქმარ-შვილიც კი არა, არამედ მართლა ყველა შედიოდა:

სამყარო, ცხოვრება და, რა თქმა უნდა, თავად. რადგან სწორედ აქ და ახლა დამდგარიყო მომენტი - გამოლვიძებისა, ინსაითისა და გასხივოსნებისა, როცა მარინა ბეგთაბეგიშვილს სრული სიცხადით გაეცნობიერებინა განვლილი და აღმოეჩინა:

არასდროს ეცხოვრა თავისი თავისთვის. მთელი ორმოცდარვა წელი სხვების მსახურებასა და წელებზე ფეხის დგმაში გაეტარებინა.

- უბედური ვარ, - თქვა მოულოდნელად მარინამ და წამოდგა. თითქოს საკუთარ თავს უთხრა, რადგან არავისთვის შეუხედავს. სამზარეულოში გავიდა და ონკანი მოუშვა.

სანამ წყლის გაციებას ელოდა, უცებ გრეჩიხიანი ქვაბი დაინახა, რომელიც ზუსტად ისე იყო, როგორც დატოვა და ასევე უცებ, უსაშველოდ გაბრაზდა. ისე გაბრაზდა, რომ ქვაბს ხელი დასტაცა და პირდაპირ ძირს დაათხლიშა.

არა, ეს არ იყო რისხვა გრეჩიხაზე, რომელიც ცოცხალი თავით არავინ მოხარშა... იატაკზე დაღვრილ წყალში მარინას ნლობით ნაგროვები, საუკუნოვანი ბრაზი ტივტივებდა.

ფაქტია, მასში ის ბომბი აფეთქებულიყო, რომელსაც მანამდე თავად უფრთხოდა. ამიერიდან კი მის ქმარ-შვილს დააფრთხობდა და წყევლად ექცეოდა, რადგან მომენტში, როცა მარინა ბეგთაბეგიშვილი გრეჩიხიან ქვაბს იღებს და იატაკზე ათხლეშს, მჭედლიძეთა ოჯახის ცხოვრება სამუდამოდ იცვლება...

მარინა იტყვის:

"თავადები იყვნენ ბეგთაბეგიშვილები, მე კიდევ მონასავით ვიცხოვრე!"

იტყვის მარინა და დასვრილ იატაკსაც არ მოწმენდს, ფეხებზე დაიკიდებს.

მეორე დღესვე ახალგაზრდა ქალს დაიქირავებს, რომელიც მის ნაცვლად ბაზრობაზე ჯინსის შარვლებს გაყიდის. ნავაჭრს კი საკუთარ თავს მოახმარს.

ცხოვრებაში პირველად მარინა ბეგთაბეგიშვილი:

სალონში შეიღებავს თმას.

სალონში გაიკეთებს პედიკიურს.

იყიდის ძვირიან ტანსაცმელს - არა ბაზრობაზე, არამედ ბრენდულ მაღაზიებში.

წავა დასასვენებლად ბათუმში.

კიდევ - კლასიკური მუსიკის კონცერტზე.

და კიდევ ბევრგან და სხვაგან და უჩვეულო კია, მაგრამ მათ შორის, კაზინოშიც, რადგან მარინას რატომღაც, შეიძლება ფილმების გავლენით, ყოველთვის ჰქონდა ჩუმი ნატვრა, ეთქვა: "შავი" ან "წითელი" და თავდაჯერებული მზერა ეტყორცნა დილერისთვის.

მოკლედ, იმ მოარული ფრაზის არ იყოს, რომელშიც ბაბუაა ნახსენები, მარინა ბეგთაბეგიშვილს გადაეკეტება. მჭედლიძეებს კი დაერხვეთ, რადგან ხდება ზუსტად ის, რაც თქვა მარინამ, როცა ამირან მჭედლიძემ მას გრეჩიხის ამბავი უსაყვედურა. (ანუ: ეტყვნებათ პატრონი.)

გრეჩიხიანი ქვაბის დათხლეშვა სამზარეულოს იატაკზე ერთდროულად კულმინაციური მომენტია და ტვისტიც - სიტუაციის ისეთი რადიკალური შემოტრიალება, რასაც ვერცერთი მჭედლიძე ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც კი ვერ ნახავდა.

ამ ტვისტის მერე მჭედლიძეები - რომლებიც მანამდე მარინას ჩივილებს გულგრილი სიჩუმით პასუხობდნენ ან თუ სიტყვით პასუხობდნენ, ეს იყო ერთადერთი, მარადიული წინადადება: "კაი რა, დედა, ნუ დრამავ!" - თავად ხდებიან დრამაქვიანები.

ისინი მარინა ბეგთაბეგიშვილში მომხდარ რევოლუციას ჯერ აპრობატებენ, მერე წუწუნზე გადადიან, ბოლოს კი, სხვა გზა რომ აღარ რჩებათ, სამუშაოს ძებნას იწყებენ.

სხვათა შორის, უმცროსი შვილი, გენო მართლაც იშოვის, დისტრიბუტორად მოეწყობა ძეხვების კომპანიაში და ოცდასამი წლის განმავლობაში პირველად საკუთარი შემოსავალი გაუჩნდება, რაც, როგორ უცნაურადაც უნდა გამოიყურებოდეს რეპერის კვალობაზე, რაღაცნაირ დამოუკიდებლობას და თავდაჯერებულობას შესძენს.

რაც შეეხება უფროსს, ვარლამ მჭედლიძეს, მართალია, სამსახურს ჯერჯერობით ვერ შოულობს, სამაგიეროდ, კულინარიის ნიჭი აღმოაჩნდება და ვითომ ხომ იმიტომ აკეთებს საჭმელს, რომ მარინა აღარ აკეთებს და აბა, ვინმემ ხომ უნდა გააკეთოს, თუმცა, გულის სიღრმეში და არავითარ შემთხვევაში - ხმამაღლა, ახალი საქმიანობა ძალიანაც მოსწონს და სიამოვნებას ანიჭებს.

და ჰო, კვლავაც მთავარი:

ამირან მჭედლიძე, რომელიც არც სამსახურს ეძებს და არც კულინარიას ეწაფება... პროტესტების, წუწუნების და გინებების მერე - რომელიც მის ცოლს სულ ფეხებზე ჰკიდია; უბადლოდ გადაუღია ქმრის თვისება - ცალ ყურში შეშვების და მეორიდან გაშვებისა, - ამირანი ჩუმდება. ოღონდ საეჭვოდ, ისე, რომ მისი მდუმარება, ყველანაირი ჟანრის კანონით, გარდაუვალად რაღაცას მოასწავებს...

და ერთხელაც, დილით, როცა მარინა ბეგთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეგიშვილი ახალი სარკის წინ ახალ კაბას ჩაიცვამს, ახალ ლაინერს წაისვამს და ახალდაბანილ თმას ლამაზად დაივარცხნის (რევოლუციამ ყველა ძველი თვისება და ადათ-წესი მოშალა, მათ შორის, ტანის მხოლოდ საღამოს და თავის მხოლოდ კვირაში ერთხელ დაბანის შესახებ) და გამოდის განახლებული საძინებლიდან და გადის საერთო ოთახში, ხედავს ამირანს, რომელიც ჩასაფრებული სახითა და მოჭუტული თვალებით ზის და მარინა ეგრევე ხვდება, რომ ეს ჩასაფრება და წუნკალი მზერა მისკენაა მიმართული და მალე აქ რაღაც მოხდება.

მართლაც, ოცი წამიც არაა გასული, რომ ამირანი მოულოდნელად ამბობს:

- მარტო ერთი იყო... გუგლში ვნახე...

მარინა ვერ ხვდება.

- ერთი! - ხმას უწევს ამირანი.

მარინა კი მართლა ვერ ხვდება და გულწრფელად კითხულობს:

- რას ბოდიალობ?

- რას და რასაც მაყვედრი! ვითომ, თავადები რომ იყვნენ შენი წინაპრები!..

აქ ამირანი, აშკარად მიზანმიმართულად, დრამატულ პაუზას აკეთებს და ღრიალებს:

- მარტო ერთი ბეგთაბეგიშვილი იყო თავადი და ისიც - ვაყაში! გაიგე?!

აქ წამოდგება (წამოიმართება, უფრო სწორად.)

- ჯერ მარტო, "ვაყა" რომ ერქმევა სოფელს!

ამირანი ბეჭებში იშლება.

- რას გადამაყოლე! ერთი კინკილა ვაყელი ბეგთაბეგიშვილი! რატომ შემჭამე?! ცოლად რომ მომყვებოდი, ხომ იცოდი, ჩემი გლეხობაც და გლახობაც! რა ჯანდაბა გეტაკა?!

და აქ სრულიად მოულოდნელად, იმდენად მოულოდნელად, რომ თავადაც გამოშტერდება, ამირან მჭედლიძეს ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში პირველად - ცრემლები გადმოსცვივდება და მარინა ბეგთაბეგიშვილი კი ადგილზე გაშეშდება.

და რამდენიმე წამიც და კიდევ უფრო მოულოდნელად, ამირან მჭედლიძეს ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში პირველად - უსაშველო დარდითა და თან რაღაცნაირი ბრაზით აღმოხდება:

- მიყვარხარ, ქალო!

მერე კი ისეთი პაუზაა, რომ კედელზე მიქვავებულ ფაროსანას დაძაბულობისგან უკვე გული უსკდება; გადის "მარტოობის ასი წელინადი" და თითქოს მოდის მომენტი, როცა კავკასიონის ქედზე მიჯაჭვულმა ამირანმა ჯაჭვები უნდა აიხსნას...

მაგრამ ამირანი ჯდება სკამზე (არა - წყლის პირს) სევდიანი და უკვე ჩუმად ამბობს:

- მაპატიე... არც შენი საჭმელები მინდა და არც ფულები... უბრალოდ, მაპატიე.

მარინა ბეგთაბეგიშვილი ქმარს უყურებს და გრძნობს - ბოლოს და ბოლოს, აღიარეს, დააფასეს მისი წელებზე ფეხის დგმა. ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ და მის წლობით ნაგროვებ ბრაზს საზღაური მიეგო.

კიდევ ბევრ რამეს გრძნობს მარინა, თავშიც ათასობით ფიქრი დაურბის და ამ ათასობით ფიქრში კი ერთი ისაა, რომ რა ქნას, მაინც უყვარს ეს თავისი "მუქთახორა გლეხი" და ალბათ, უყვარს ის მსხვერპლიც, რაც ამ გლეხისთვის გაიღო...

და მარინა დედოფლური მზერითა და დინჯი ნაბიჯით უახლოვდება ამირანს, მხარზე ხელს ადებს და გამოკვეთილად ამბობს:

- კარგი.

ერთმანეთს შეხედავენ. დიდხანს უყურებენ, სანამ მარინას ტუჩის მარცხენა კუთხეში ეშმაკური ღიმილი არ გაკრთება.

ორივემ იცის - ეს საუკუნოვანი ომის დასასრულია და შეიძლება იმ ახლის დასაწყისიც, სადაც იომებენ გვერდიგვერდ და აღარასდროს - ერთმანეთის წინააღმდეგ.

ძარცვა ქუთაისურად

დაფუძნებულია რეალურ ისტორიაზე

ჰოლივუდურ ფილმებში ენახა, რომ როცა ნიღბიანი მძარცველი ბანკში შევარდებოდა, ჯერ მოლარე-ოპერატორს მიუშვერდა იარაღს და ეუბნებოდა: *დროზე ფული, თორემ მოგკლავო!* მერე კი შემოტრიალდებოდა და ბანკში მყოფებს დაუყვირებდა: *ახლავე ძირს დაწექით ყველანიო!*

თუმცა, როცა ჰოლივუდური ფილმების ზეგავლენით, თავზე ჩულქჩამოცმული ქუთაისის ერთ-ერთ ბანკში შევარდა, მოლარე-ოპერატორს იარაღი მიუშვირა და უყვირა: *დროზე ფული, თორემ დაგბრიდავო*, მოლარე-ოპერატორს უნებურად წამოსცდა: *შენ შიგ ხომ არა გაქვსო?!*

ასეთ პასუხს არაფრით არ ელოდა და აიჭრა:

როგორ მიბრდავ, მართლა დაგბრიდავო!

და მოლარე-ოპერატორიც გონს მოეგო:

კაი, ჩემო ძმაო, ავღელდი უცებ, მასე სწრაფად რომ შემოქანდი და წამომცდაო.

მომენტალურად აპატია: *კაიო*, და ბანკში მყოფებს მოუტრიალდა: *ძირს დაწექით ახლავეო!*

ჯერ დილის ათი საათი იყო და ბანკში სულ თორმეტი ადამიანი იმყოფებოდა.

ამათგან შვიდი მძარცველის ბრძანებას მაშინვე დამორჩილდა. სამს ხუმრობა ეგონა და გაეცინა. ერთი ასაკოვანი კაცი გაბრაზებული გაქვავდა

ადგილზე. ერთმა მოხუცმა ქალმა კი ძალიან შეწუხებული სახით შეხედა:

რა დავწვე, სად დავწვე, ძლივს ავდექი საწოლიდან, აქ რომ მოვსულიყავიო...

ერთ-ერთმა მწოლიარემ თავი წამოყო და მოხუცს მხარი აუბა:

ჰო, რა დილაუთენიას აგიტყდა ბანკის დაყაჩაღება, გეცლია გამოფხიზლება ხალხისთვისო.

მძარცველს თავში გაუელვა, *მართლა ადრე ხომ არაა*, მაგრამ ამაზე წუხილის დრო არ იყო და ისევ მოლარე-ოპერატორს მიუბრუნდა:

აბა, სადაა ფულიო?

მოლარე-ოპერატორმა: *არ არიო.*

- როგორ თუ არ არი?! - შეიცხადა ამან.

- არ არი! წუხელ წაიღეს და... - ოპერატორმა მხრები აიჩეჩა.

- შენ მე სულელი ხო არ გგონივარ?! - აღშფოთდა მძარცველი და იარაღი ჰაერში შეაქნია, - ლიმონკა არ გამახსნევინო, იცოდე!

- ლიმონკა კი არა, სულ რომ ატომური ბომბი გვხეთქო, მაინც არაა ფული, ჩემო ძმაო! წუხელ წაიღეს-მეთქი, ხომ გითხარი!

- და დღეს?!

- რა დღეს?! დილის ათ საათზე რომ მოგინდა ძარცვა და ტერორიზმი, გეცლია ცოტა! ჯერ ათი წუთის გაღებულიც არაა ბანკი! ყავაც კი არ მქონდა დალეული!..

მძარცველი მიხვდა, რომ მართლა ადრე მოსულოდა და სასწრაფოდ ახალ გეგმას საჭიროებდა. იქვე, სკამზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა. ფიქრი კაი ხანს გაუგრძელდა და, როგორც ჩანს, ერთ-ერთი მძევალი ისე დაღალა ამ უმოქმედობამ, რომ თავი წამოსწია და იკითხა:

- ჩვენ ხომ არ ავდგეთ?

მძარცველმა გახედა და ხელი აუქნია:

- ადექით... დასხედით, თუ გინდა... პროსტო ზედმეტი არაფერი ქნათ, თორე მართლა დაგბრიდავთ, იცოდე.

- კაი, ძამია, - მიუგო მწოლიარემ და წამოდგა.

სხვა მძევლებიც ადგნენ. იმ გაბრაზებულმა კაცმა კი, რომელიც ადგილზე გაქვავებულიყო, ინტერესით იკითხა:

- ახლა რა ვქნათ?

- ჰო, რა ვქნათ? - აჰყვა მოლარე-ოპერატორი.

- მაცადეთ ცოტა, ეფიქრობ! - გაბრაზდა მძარცველი და ყველანი ჩაჩუმდნენ.

უცებ ბანკთან საპატრულო პოლიციის მანქანები მოცვივდნენ და იქიდან ფორმიანები გადმოლაგდნენ.

- რომელმა ქენით?! - ფეხზე წამოიჭრა მძარცველი.

- რა ვქენით? - დაიბნა ერთ-ერთი მძევალი.

- რომელმა დარეკეთ?!

- მე არაფერი მიქნია, ჩემი დედას ვფიცავარ! - ხელები ასწია შუახნის კაცმა.

- რად უნდოდა დარეკვა, გარედან ვერ დაინახავდნენ თუ... - შეიცხადა მოლარე-ოპერატორმა.

- ჰო, აქ ყლე კი არაა ვინმე, სიმონ, - დაუდასტურა ერთმა ბიჭმა.

- აუ, გეგონება, კინოში ვიყოთ! - თქვა რაღაცნაირი აღტაცებით ლამაზმა გოგომ.

- კინოს გაჩვენებთ მე თქვენ! - გაბრაზდა უცებ მძარცველი.

- კაი, კაცო, დამშვიდდი, მართლა რამე არ გადაგიტრიალდეს თავში, - აღელდა ბიჭი, - ჩვენ რა დაგიშავეთ, წესიერი ხალხი ვართ!

მძარცველი დაშოშმინდა და უცებ იდეაც მოუვიდა.

- ფეისბუქი გაქ, ხო? - მიმართა ბიჭს.

- რაფერ არ მაქ! - მხრები აიჩეჩა ბიჭმა.

- ჰოდა, შედი ახლა და გაუშვი ლაივი!

- რა ლაივი?!

- ლაივი, რო, აი, ბანკში ვართო და მძარცველია შემოვარდნილი და მძევლად აგვიყვანაო და ფული მოჯვივთ, თორე დაგვბრიდავსო.

- ისე, ნაღდად არ მოგვკლავ, ხო? - აღელდა შუახნის კაცი.

მძარცველმა მისი შეკითხვა დააიგნორა და ისევ ბიჭს მიუტრიალდა.

- აბა, რა ქენი, შეხვედი?

- დამაცადე.

რამდენიმე წამის შემდეგ ბიჭი წამოდგა და მობილურის კამერაში ლაპარაკი დაიწყო:

- გამარჯობა, სრულიად საქართველო!.. ახლა მე ვარ ქუთაისის ბანკში და, როგორც ხედავთ, ასეთი სიტუაცია შეიქმნა აქ, რომ შემოვარდა მძარცველი და მძევლად აგვიყვანა...

ამ დროს კამერა დანარჩენებისკენ მიატრიალა და განაგრძო:

- ეს კაცი ითხოვს ფულს... გარეთ მობილიზებულია პოლიცია და ზოგიერთი ტელევიზიაც...

- მობილიზებულს მოგცემ მე შენ! - შემოვარდა უცებ ლაივში ჩულქჩამოცმული კაცი და ლაივიც გაწყდა.

თუმცა, ათი წუთიც არ იყო გასული, რომ ჩანაწერი უკვე ათასობით ადამიანს, ტელევიზიებს და პოლიციას ენახა.

ქუთაისის ბანკის დაყაჩაღების ამბავი მართლაც წამებში მოედო ქვეყანას და ხალხი აღელვებული ელოდა მომდევნო ლაივს, რომელმაც არ დააყოვნა...

სულ მალე გამოჩნდნენ შუახნის კაცი და მძარცველი და შუახნის კაცმა თქვა:

- აგერ, ამ კაცს უნდა ორი მილიონი.

- სამ საათში, - დაამატა მძარცველმა.

- სამი საათი რად უნდათ? - დაეჭვდა მძევალი და მძარცველს შეხედა. მძარცველმა მხარი გაკრა:

- მიდი, ბიჭო, უთხარი.

- ორი მილიონი უნდა აგერ, ამ კაცს, სამ საათში... კიდევ...

როგორც ჩანს, მძევალს დაავიწყდა, კიდევ რა უნდა ეთქვა და მძარცველს შეხედა:

- მოდი, შენ თვითონ დაენახე და უთხარი პირობები.

- შენ უთხარი!

- რა ვუთხრა, დამავიწყდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძარცველმა მძევალს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, მძევალმა თავი დაუქნია და ისევ დაიწყო:

- მოკლედ, აგერ, ამ კაცს უნდა ორი მილიონი, ვერტმფრენი, რუსული დროშა და ანკესი.

- სამ საათში! - დაამატა მძარცველმა.

- სამ საათში! - გაიმეორა მძევალმა.

- თორემ ყველას დავხოცავ! - თქვა მძარცველმა.

- დაგვხოცავ არა, ისა! - გაისმა კამერის იქიდან მოხუცი ქალის ხმა.

ლაივი გაწყდა.

- ახლა მევიცადოთ, - თქვა შუახნის კაცმა, რომელმაც ქვეყანას მძარცველის პირობები გააცნო.

- სამი საათი რა ვაკეთოთ? - ნერვები მოეშალა ბრაზიანს.

- მევიფიქრებთ რაცხას, - პირველად ამოიღო ხმა ერთმა ბენდენიანმა კაცმა, რომელიც მანამდე ფეხი ფეხზე გადადებული იჯდა და დასტონად ადევნებდა თვალს მთელ ამ სიტუაციას.

სანამ ბანკში მყოფები ფიქრობდნენ, სამი საათი რა ეკეთებინათ, ხალხი ნამდვილ საგონებელში ჩავარდა...

ვერავინ მიხვდა, მაგრამ უკლებლივ ყველას აინტერესებდა: რატომ მოითხოვა მძარცველმა ანკესი.

ქვეყანაში, სადაც ყოველთვის ყველას ჰქონდა მტკიცე მოსაზრება ნებისმიერ საკითხზე, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად კომპეტენტური იყო ამ საკითხში, ანკესის ამბავზე ერთი ვარაუდიც კი ვერ გამოითქვა.

მძევლები ან ფული ვიღას ახსოვდა, როცა ერის წინაშე ამხელა თავსატეხი წამოჭრილიყო:

ანკესი.

ბანკს რომ დავუბრუნდეთ, დაახლოებით ერთი საათის მერე ერთ-ერთმა მძევალმა გარეთ მინისტრი შენიშნა და წამოსცდა:

- ოჰ, ჩამოსულა ვაუბატონი!

- ვინ, სიმონ? - დაინტერესდა ბიჭი.

- ვინ და მინისტრი. ვერ ხედავ? კამერებთან რომ დგას... ინტერვიუს აძლევს, ალბათ.

- ჩამოსულა, თორე რას ამბობ! - ირონიულად ჩაიცინა ბრაზიანმა კაცმა, - აღშფოთდება, შეშფოთდება და წავა.

- დავიღალე, - თქვა მოულოდნელად მოხუცმა ქალმა.

- აბა, შეამოწმე, რამდენმა ნახა ლაივი? - მიმართა მძარცველმა ახალგაზრდა ბიჭს.

- მაიცა.

ბიჭმა ინტერნეტი ჩართო.

- დავიღალე, - გაიმეორა მოხუცმა ქალმა შეწუხებული ხმით.

- უიმე, დედა! - შესძახა ბიჭმა გულწრფელი გაოცებით.

- რა იყო? - დაიძაბა მძარცველი.

- რამდენია, იცი?

- ბევრი?

- 247 000-მდე! - მიუგო ბიჭმა ამაყად.

- მართლა?! - მძარცველმა ცოტა არ დაუჯერა.

- ნახე! - გაუნოდა მობილური და სანამ მძარცველი მის ნათქვამს ამოწმებდა, გახარებულს წამოსცდა:

- ცნობილი ვარ, ჩემი დედა მოვტყან!

- ჰა, ახლა! - შეუღრინა მძარცველმა.

- მაპატიე, სიმონ, გამიხარდა უცებ, ხომ გესმის.

- დავიღალე, - თქვა ისევ მოხუცმა ქალმა.

- რა ცნობილი, რა მოიგონეთ ეს, საერთოდ?! იციან ჩემებმა, აქ რომ მოვდიოდი და შემიშინეთ ახლა ბაღანე! - გამოხატა ბრაზი ერთმა შუახნის კაცმა.

- ოჰ, დიდი ბოდიში, ჩემო ბატონო, - გახედა კაცს მძარცველმა. მოხუცმა ქალმა კი, ღმერთმა უწყის, უკვე მერამდენედ გაიმეორა:

- დავიღალე.

- ვაიმეეე! - ნერვები მოეშალა მძარცველს და წამოხტა, - წადი! გიშვებ!

- ჰა? - დაიბნა ქალი.

-წადით, ქალბატონო! ტვინი მომეტყნა უკვე!

- მართლა?!

- მართლა, აბა, ტყუილა?!

მძარცველი ქალისკენ დაიძრა.

- ადექით!

ქალი ადგა. მძარცველმა ხელი მკლავში მოკიდა და შესასვლელი კარისკენ წაიყვანა.

- გახვალ ახლა და ეტყვი იმათ, რომ ჩემს პირობებს თუ არ შეასრულებენ, ვაფშე ყველას დედას მოვუტყნავ აქ. გაიგე, ხო?

ქალმა თავი დაუქნია.

- იცოდე, ერთი ზედმეტი მოძრაობა არ გავიგო... და რომ გახვალ, კარი მოკეტე.

ქალმა ისევ თავი დაუქნია და კარისკენ დაიძრა.

- შეხედე, ბიჭო, მართლა გოუშვა, - შეიცხადა შუახნის კაცმა.

ქალმა ბანკის კარი დაკეტა და მძარცველის დანაბარებიც პირწმინდად გადასცა ტელევიზიებს, რომლებიც გამოსვლისთანავე მიესივნენ:

- შიგნით რა ხდება, ქალბატონო?!

- გემუქრებოდათ?! შეიარაღებულია?!

- თქვენ რატომ გამოგიშვათ?!

- ამჟამად რა სიტუაციაა?!

და ა.შ. და ა.შ.

ქალმა შეწუხებული სახით მიიდო ხელი შუბლზე და განაცხადა:

- ძალიან დავიღალე... მოთხოვნების შესრულებას ელოდება. თუ არ შესრულდება, დედას მოუტყნავს ვაფშე ყველას.

- გასაგებია, და ანკესი რისთვის უნდოდა? - ჩაეძია ერთ-ერთი ჟურნალისტი.

- უიმე, მე რა ვიცი. დავიღალე-მეთქი...

- ანუ, თქვენ არ გაქვთ ინფორმაცია ანკესზე?!

ამ დროს ქალს პოლიციამ სტაცა ხელი და გააცუქცუქეს.

სანამ მძევალი ქალბატონის გათავისუფლების ამბავი გავრცელდებოდა, ერს უკვე გამოეთქვა ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაუდები იმაზე, თუ რისთვის მოითხოვა მძარცველმა რუსეთის დროშა. ნაწილი ფიქრობდა, რომ ის რუსეთუმე იყო და ამ დროშის აღმართვას აპირებდა. ნაწილი კი ირწმუნებოდა, რომ იგი თავისი დანაშაულებრივი ქმედებით ქვეყანაში რუსულ პოლიტიკას აპრეტესტებდა და, სავარაუდოდ, დროშას დაწვავდა.

სამაგიეროდ, კვლავ არ იყო არცერთი ვარაუდი ანკესზე და ერიც კვლავ საგონებელში ეგდო...

სამი საათი რომ შესრულდა და არცერთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მძარცველი ანერვიულდა. წამოდგა და ბოლთის ცემა დაიწყო. მძევლები ინტერესით ადევნებდნენ თვალს, სანამ ერთ-ერთმა არ გაბედა და ჰკითხა:

- ახლა რა ვქნათ?

- მაცადე, ბიჭო, ვფიქრობ, - შეუღრინა მძარცველმა და ბოლთის ცემა განაგრძო.

- თქვენც იფიქრეთ, - გადახედა ბენდენიანმა მძევალმა დანარჩენებს, - იქნებ, შევჯერდეთ რაღაცაზე.

ცოტა ხანს ყველანი გაჩუმდნენ. მერე კი ახალგაზრდა ბიჭს უცებ თვალები გაუნათდა.

- ლაივი გავუშვათ ისევ, სიმონ!

- და რა ვთქვა? - ჰკითხა მძარცველმა.

- რა თქვა და თქვი, რო კიდევ ერთ საათს გაძლევთ და თუ არ შეასრულებთ ჩემს პირობებს, იცოდეთ, მართლა დავბრიდავ მძევლებსო.

- შენ, ბიჭო, სულელი ხომ არა ხარ?! - აღშფოთდა ბრაზიანი კაცი, - და რომ არ შეასრულონ ერთ საათში, რა ქნას, დაგვბრიდოს?!

ბიჭი გაჩუმდა.

- თავი კინოში ხომ არ გგონია?! - განაგრძო კაცმა.

- კინოს რას ერჩით? - ჩაერთო ახალგაზრდა ქალი.

- არა, რამეს კი არ ვერჩი, - ხელები გაშალა კაცმა, - აქ სხვა რაღაცაზეა საუბარი, ჩემო დაიკო.

- არა, მე ვერ გავიგე, კინომ რა დააშავა, - როგორც ჩანს, მართლა ვერ გაიგო ქალმა.

- ვაიმე, ქალბატონო! - გაბრაზდა ბრაზიანი კაცი.

- ისე, კინოზე გამახსენდა, ამნაირი ამბავი დაგვემართა და ერთი *სელფი* არ გადავიღოთ? - წამოდგა უცებ ბიჭი.

- აუცილებლად უნდა გადავიღოთ! - მხარი აუბა მოლარე-ოპერატორმა და ისიც წამოდგა.

- გაჩუმდით! - იყვირა უცებ მძარცველმა და ბიჭს მიუტრიალდა:

- ჩართე.

- ლაივი?

- ჰო. ჩართე და მომე.

ბიჭმა ლაივი გაუშვა. კამერაში ჩულქჩამოცმული მძარცველი გამოჩნდა და დაიწყო:

- მომისმინეთ ახლა კარგად... თქვენ მე ვიღაც ბოგანო სირი ხომ არ გგონივართ?! ჩემს სიტყვას პატივს არ სცემთ, თუ რა ხდება?! იცოდეთ, ერთ საათს გაძლევთ კიდევ და მეტი არ მინდა, არ შეასრულოთ, რაც გითხარით! ამას ხომ ხედავთ?

კამერაში ხელყუმბარა გამოაჩინა.

- მიყარეთ მერე კაკალი!

კამერიდან მძარცველის თავი გაქრა და ბანკის ჭერი გამოჩნდა.

- აჰა, გამორთე! - გაისმა მძარცველის ხმა და ლაივიც გაითიშა.

მიუხედავად იმისა, რომ ანკესის თაობაზე მწვავე მსჯელობა არ წყდებოდა, ხალხი ამ ლაივმა ძალიან ააღელვა, რადგან მძარცველი მართლაც გაბრაზებული ჩანდა.

გადაუხადეთ რა, მძევლები არ დახოცოს!

იქნებ აიყვანონ რამენაირად!

რა გაცინებთ, როცა ადამიანების სიცოცხლეზეა საუბარი?!

სოციალურ ქსელში ეს და სხვა ამგვარი პოსტები არ წყდებოდა.

ერთი საათის მერე კი ტელევიზიები პირდაპირ ეთერში ჩაერთნენ.

ერთ-ერთმა ჟურნალისტმა გოგომ თმა შეისწორა და დაიწყო:

- ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით ქუთაისის ბანკთან, სადაც უკვე ოთხ საათზე მეტია, შეიარაღებულ პირს მძევლად ჰყავს აყვანილი თორმეტი ადამიანი. ბანკის ტერიტორიაზე მობილიზებულია პოლიცია და არიან ადგილობრივი მოქალაქეებიც...

მოულოდნელად სროლის ხმა გაისმა და ჟურნალისტი კამერიდან სწრაფად გაქრა.

- ვაიმე! - გაისმა მისი ხმა.

ორიოდე წამის შემდეგ კი კამერა დაიხარა და კვლავ გამოჩნდა ჟურნალისტი, რომელიც ასფალტზე იწვა და განაგრძობდა:

- როგორც ხედავთ, იყო სროლის ხმა! ჯერჯერობით უცნობია, ეკუთვნოდა თუ არა გასროლა მძარცველს და რა სიტუაციაა ბანკში ამჟამად...

კამერაში უკანა ფონიდან ხმაური გაისმა და მათ შორის ხმამაღალი შეძახილი:

- აიყვანეს! აიყვანეს, ხალხო!

- როგორც ჩანს, მძარცველი აიყვანეს და გასროლა ეკუთვნოდათ სამართალდამცავებს! - თქვა ჟურნალისტმა, სწრაფად წამოხტა და გაიქცა. ოპერატორი მისდევდა.

რამდენიმე წამის შემდეგ კამერაში გამოჩნდა მძარცველი, რომელსაც ოთხი პოლიციელი მოათრევდა.

ჟურნალისტი არ დაიბნა და მაშინვე უყვირა:

- ბატონო! ბატონო!.. ანკესი რისთვის გჭირდებოდათ?

- რა?! - ვერ მიხვდა მძარცველი.

- ანკესს ხომ ითხოვდით და რისთვის გინდოდათ?!

პოლიცია მძარცველს მანქანისკენ მიაქანებდა, თუმცა, სანამ ჩატენიდნენ, დაპატიმრებულმა მოასწრო და იყვირა:

- თქვენ სულელები ხო არა ხართ?! რა ანკესი?! *ენ კა ეს* რაცია მოვითხოვე მე!

ერი საგონებლიდან ამოვარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფიო კუბლაშვილი

ნარინჯისფერი ავტობუსი

მზემ მთიდან რომ გადმოიხედა და ხის ქვეშ მდგარ მრგვალ მაგიდაზე ისარივით დასცა ყვითელი სხივი, მძღოლმა ბოლოჯერ გააგორა ნარდის კამათელი, წყვილიო! - შეჰყვირა, უკანასკნელი შავი კენჭებიც გაყარა, გასწორდა, გამარჯვებულის იერით თვალი ჩაუკრა მზეს, დამარცხებულს ბეჭზე ხელი დაჰკრა და ზმორებით წამოიმართა.

- აბა, დავეშვი, ბიჭებო!

- მიდი, მიდი, დაძარი, მეც გადმოვაყენებ მარშრუტს.

- შენც უცებ არ გაივსო, ვერ ხედავ, ცარიელია ავტობუსი. აღარსად დადის ხალხი.

- კვირაა და პირველი რეისია. მეტი რა გინდა?! თან არჩევნებია, ვინ გაბედავს ამ დროს რაიონის დატოვებას. ადე, ადე!

ნარინჯისფერი ავტობუსი ნელი სვლით გასცდა ავტოსადგურს, მთავარ გზაზე გადაუხვია თუ არა, სიჩქარეს უმატა და ქუჩის ხმაური დაახშო მისი ძრავის თუხთუხმა.

ცხრა სოფლის აღმართ-დაღმართი მოხრეშილი გზა უნდა გადაევლო და დიდ ქალაქში ჩაეყვანა მგზავრები.

—-

მისამართი მობილური ტელეფონის ეკრანიდან ფურცელზე გადმოინერა, შარვლის ჯიბეში ჩაიდო. - ასე უფრო სწრაფად დავხედავო. - ჩაითქვა. პიჯაკი შემოიცვა, ჯიბე მოისინჯა, ნამდვილად იქ იყო ქაღალდში გახვეული ლითონის მოცეკვავე კაცის ფიგურა. თითები მოუჭირა. გაეღიმა. შარვლის ტოტებზე ფართო ხელისგული ჩაიკრა, ჩაიფერთხა ოთახის მტვერი. - წავედი! - დაუბარა ცარიელ ოთახს და დაღმართზე დაეშვა. - პირველის ოცი წუთია. ათ წუთში გზამდე კი ჩავალ, ჩავუსწრებ! - თითქმის გარბოდა. - მივალ, თუ მეტყვის, რომ მელოდებოდა... თუ მეტყვის, რომ მელოდებოდა... არა, არ ვიცი, არა, რას ვიზამ. თუ აღარ მელოდებოდა, დავუტოვებ, რისი დაბრუნებაც მთხოვა და გავშორდები იქაურობას. ეს ნამდვილად ვიცი. მაგრამ როგორ მივხვდები? როგორ ვერ მივხვდები?! მივხვდები... იოლი იქნება - მაშინვე უკან გამოვბრუნდები. იოლი იქნება, არ გამიჭირდება. და თუ მელოდებოდა?! რას ვიზამ? რთული იქნება დარწმუნება, რომ ამჯერად მართლა მივედი მასთან, სამუდამოდ... რთული იქნება! იოლი ისევ მისი მიტოვებაა, არა? ჯერ ჩავიდე, იქამდე მივიდე, მივაგნო.

ტრასა გამოჩნდა. შორიდან ძრავის ხმაც მოესმა. ოთხი ნაბიჯიც და დაინახა ნარინჯისფერი ავტობუსი.

—-

ადრე ადგა იმ დილას. გრილოდა. ქმარი არ გაღვიძა. გადაიცვა. სარკეს ჩაუარა. მაინც გადაისვა ხელი ჩამოშლილ თმაზე. თავსაფარი წამოიფარა. საბინძურო ხალათი შემოიცვა. სახლიდან ბოსლამდე ლოგინის სითბო მიჰყვა. იქ საქონლის ნასუნთქი ცხელი ჰაერი ჩაისუნთქა, გააჟრჟოლა. პირუტყვი ზეზე წამოყარა. ბაგა მოხვეტა. ჩანმინდა. მიუჯდა. ნველას შეუდგა. - ყველს ამოვიყვან, სადილს მოვუმზადებ ბავშვებს და წავალ. პირველის-ნახევრიანს გავყვები. თორმეტ კილომდე კი იქნება ის ყველი. ჩავბარებ, ბაზარს მოვივლი და სამიანს კი ამოვყვები უკან. - დაგეგმა დღე. - ფეხი გააჩერე! - მოასწრო სარძევე ვედრის წიხლისთვის არიდება. ლოყამდე

მისწვდა შხეფი. მხრით მოიწმინდა.

სარკესთან დადგა. თავის სილუეტს გაუღიმა. ასე ღიმილითვე გახედა ტელევიზორის წინ მჯდომ ქმარს. მისკენ ზურგით დამჯდარიყო. ეკრანს კი მოჭკრა თვალი: "21 სექტემბერი. საპარლამენტო არჩევნები!" - ეს არჩევნები ვიღას გაახსენდა. საღამოს გავალ საბჭოში. - ჩუმად გაესაუბრა ორეულს. თითებს დახედა, უნებურად მუჭებში გამოისრისა. გამომალა.

- წავედი! სადილი მზადაა. ბავშვებს მიაქციე ყურადღება. ნუ გახვალ გარეთ, გრილა. გახველებს და...

- ადრე არაა ჯერ?

- პირველის ოცი წუთია. ათ წუთში ჩამოივლის.

გზის პირას დადგა. მძიმე ჩანთა გაამყარა ქვებზე. ფრჩხილი ფრჩხილით გამოისუფთავა, ათიე. სუნამოს სუნი ეცა. - ბევრი მომივიდა, უჰ! - გვერდზე გაწია ცხვირი.

ჩამოდგა ნარინჯისფერი ავტობუსი.

—-

დედაქალაქის უნივერსიტეტში უნდოდა სწავლის გაგრძელება. შარშან ძმა რომ არ გარდასცვლოდა, ასეც მოიქცეოდა. ვერ დატოვა ერთმანეთის შემყურე მგლოვიარე მშობლები სოფელში. თვითონაც აღარ შერჩა ხალისი. ხასიათი გაუფუჭდა. წიგნის კითხვაზე უფრო საქონლის მწყემსვა და ოცნება ეიოლა. - ცოლს მოვიყვან. შვილებს გავზრდი. ვიცხოვრებ სხვებივით. რით ვჯობიავრ ვითომ იმ ბიჭებს, სოფელში რომ რჩებიანო...

მერე გაზაფხულმა ძველი სურვილები ამოუქექა.

- სწავლა უნდა გავაგრძელო. - ღვინის ყლუპმა მეორე ცდით ჩაიარა ყელი.

- შეძლებ? - დედამ პირს ააცილა წვნიანი კოვზი, ნიკაპზე ჩამოიღვარა. სალფეტკის მოსანოდებლად ხელი გაუწოდა შვილს.

- მარტო გვტოვებ? - მამას პური ჩაუვარდა თეფშში, კერძის შხეფები სახეზე შეესხა. - ფუ, შენი!

- ხშირად ამოვალ. ყოველ შაბათ-კვირას. ეროვნულ უნივერსიტეტში აღარ ვაბარებ. ჩვენს ქალაქში მოვეწყობი სადმე. სულ ერთია სად... - თავი არ აუწევია, სულს უბერავდა ხარჩოს.

- კი, ბატონო!

გამოცდები ჩააბარა. მიღებული ქულებით რასაც შეწვდა, იმას დასჯერდა. - საქონლის მწყემსვას აჯობებსო.

კვირაობით მიდიოდა ქალაქში.

იმ დღეს იადრა. ბიჭებს უნდა შეხვედროდა. - "არჩევნები" აღვნიშნოთო!

ზურგჩანთა მოიგდო და გზამდე მოკლე ბილიკს ჩაუყვა.

სამ წუთში გამოჩნდა ნარინჯისფერი ავტობუსი.

—-

იმ შაბათს პროვინციაში დედის სანახავად ჩავიდა. ერთ ღამეს გაათევდა და ქალაქში დაბრუნდებოდა. საძინებლის ფანჯრიდან თვალს გადაანდევნდა აჭრელებულ ტყეს, სუსხნარევი ნიავით შეზავებულ ჰაერს ღრმად შეისუნთქავდა და გაგრილებული გულისყურით მოისმენდა დედის საყვედურებსა და წუწუნს.

- ან შემოირიგე, ან სხვა ქალი იპოვე, შვილო. ვერ გაუძლებ მარტოობას, ან გალოთდები, ან უცხოეთში გადაიხვეწები, ან დარდისგან დაავადდები, ან...

- დედა!

- რა დედა? რა დედა?

- შენი ბრალია ყველაფერი.

- მე რა შუაში ვარ? გადაწყვეტილება შენ მიიღე, მე ძალით ვერას გავხდებოდი...

- მე მივიღე. დიახ, მე მივიღე! სხვანაირად ვერ გაგაჩუმე. შენ მოგწონდა, შენ გინდოდა, შენ მირჩიე.

- შენ შეგიყვარდა.

- მერე?

- მერე, რაც მოხდებოდა, მე არ ვიცოდი.

- არაფერიც არ მომხდარა; უბრალოდ, ისეთი არ აღმოჩნდა, შენ რომ წარმოგედგინა. გოგომ თავისი კუთვნილი ადგილი და ხმა მოითხოვა. თავისი ოჯახის შექმნა მოინდომა, არათუ შენს ოჯახში შემოსვლა. სულ ეს იყო. ეს ვერ აიტანე და აწუწუნდი.

- არ გამოგადგებოდა.

- ჩემთვის არ გიკითხავს. თვითონაც მოახერხე, მისთვის აქაურობა შეგეძულებინა. არაფრად აგდებდი, არ უსმენდი...

- შენ რატომ ითმენდი ჩემს საქციელს, თუ არასწორად მიიჩნევდი, რატომ?

- ვერ დავიცავი. მივატოვე. შვილი გავწირე. მივაგდე. სახლიც კი გავუყიდე. ცოდვები გამანადგურებს, დედა!

- ანჩხლი ქალია. ნუ მისტირი! უკეთესი შეგირჩიე.

- გაჩუმდი! ფეხმძიმედაა შენი შერჩეული.

- როგორ?

- მეორე შვილიშვილი გეყოლება, ამჯერად ვაჟი. გილოცავ! ცოლად არ მოვიყვან! გთხოვ, დამტოვე, უნდა დავიძინო. ხვალ დილით ქალაქში ვბრუნდები.

გათენდა.

მშვიდად ისაუბრა. ჩანთა ჩაულაგა, დალოცა, გააცილა. დედა მანამ იდგა ჭიშკართან, სანამ ნარინჯისფერი ავტობუსი წერტილად გადაიქცეოდა.

—-

უნივერსიტეტის სტუდენტი როცა გახდა, მშობლები აღარ მუშაობდნენ. პროფესია სიყვარულით შეარჩია, არც უფიქრია, რამდენად სასარგებლო იქნებოდა მისთვის, თორემ სამშობლოს გამოვადგები და ჩემს ცოდნა-გამოცდილებას თაობებს მოვახმარო, რა თქმა უნდა, არ უფიქრია მაშინ.

წარმატებით გაიარა ყველა სასწავლო წელიწადი და სადიპლომო ნაშრომითაც აღაფრთოვანა საგამოცდო კომისიის აკადემიკოსობა. ის იყო, შესთავაზეს, კათედრაზე მუშაობას თუ მოინდომებ, ჩვენ მხარს დაგიჭერთო და მეტი რა უნდოდა იმედ-იმედ წამოშენებულ ახალკურსდამთავრებულს. აეკვიატა მეცნიერობაზე ფიქრი. უკარნახეს საკვლევი სფერო, ძიების მიმართულება და ნაშრომის სათაურიც კი. ეს ყოფილა მხარდაჭერაო, დაასკვნა და კვლავ დანებდა. არც ამჯერად დაუთვლია მომავალი ფინანსური სარგებელი არც თავისთვის, არც ქვეყნისთვის.

მშობლიურ პატარა ქალაქში რომ მოდიოდა ერთი კვირის წინ, იმედი ჰქონდა, ბავშვობის ადგილები დარდს გადააცლიდა გონებას და ხალისს დაუბრუნებდა. ასეც მოხდა. სუფთა ჟანგბადით სუნთქვამ სასწაული მოახდინა. ენერგიისა და გამარჯვების

ეროვნული ბიბლიოთეკა



განცდის მოჭარბებაც კი იგრძნო. მოხუცი მშობლები დააიმედა, აკადემიური ხარისხის მომატებით ხელფასი გამეზრდება, ცოლსაც შევირთავ და მალე ისევ გესტუმრებითო.

- ეჰ, შვილო, საკუთარ სახლში თუ სტუმრად ბრუნდები ხოლმე, რაღად მინდა სიცოცხლე! - დანანებით უსაყვედურა მამამ.

- კაცო, გამოსულელდი შენ? ბიჭს აქაურობა გინდა, შეაძულო?! - ბუზღუნით უჩურჩულა დედამ და საყრდენ-საბიუგებელი ჯოხი კოჭებთან მიარტყა ქმარს.

- მეცნიერებას დიდი მასშტაბი აქვს. დიდი! - მძიმე ჩანთას წამოავლო ხელი შვილმა.

- მშვიდობით იმგზავრე, მშვიდობით! ეჰ, კიც გამოჩნდა შენი ავტობუსი.

—-

მთელი რაიონი შეძრა წინა ზაფხულს ამ ამბავმა. მდინარემ ჩამოატარა და წყალში ჩაკიდებულ ანკესს წამოედო. მეთევზეს ეუცნაურა, ნაპირ-ნაპირ დაედევნა, თან მოზიდა ძუა თავისკენ, კაუჭმა ფუთას მიმართულება შეუცვალა, ამოაბრუნა, გამოშალა, ქსოვილი ქვებს შორის მოეტნა, თოკი გაიქაჩა და გაწყდა. მამაკაცმა შეტოპა, წელამდე დასველდა, ცალი ხელით გამორიყული ხის ტოტს მოეჭიდა, მეორით გადასწვდა შეხვეულ საგანს, იღლიაში ამოიჩარა. გამოიტანა. დაადგო. ჯერ შიშით ვერ მიეკარა. მერე ინტერესმა იძალა, მოსინჯა, რბილი იყო და ფორმებიანი. გაშალა. რას ხედავს: ახალშობილი. ხელების კანკალით განზე გახტა. დარწმუნდა, რომ არ სუნთქავდა, ფერიც შესცვლოდა. - რა უნდა ექნა?! - ისევ შეახვია, თავისი ნივთები აკრიფა და ჩვილის ცხედარი პოლიციის განყოფილებაში მიიტანა.

გამოძიების დასრულებას სულმოუთქმელად ელოდებოდა. უამრავი დაბარება-დაკითხვის მიუხედავად, მაინც ბუნდოვანი დარჩა დანაშაული. თითქოს ციდან წვიმას ჩამოჰყოლოდა ბავშვი.

მის შემდეგ რაღაც მოხდა მეთევზის თავში. რაღაც შებრუნდა თუ გაცოცხლდა. მდინარეს აღარ გაჰკარებია. დიდ ქალაქში თევზით ვაჭრობა წამოიწყო და ხშირად მგზავრობდა რაიონის ავტობუსით.

იმ დილით ცოლმა წერილი გადასცა. ჭიშკრის რკინაზე ყოფილიყო წამოცმული. ჩუმად წაიკითხა და თოფნაკრავივით აღრიალდა.

- ტყუილია! მოგონილია! მტრები მყავს! მტრები...

აღარ უფიქრია. გამოეწყო და გზას ფეხით დაადგა.

- სად მიდიხარ, კაცო?

- ქალაქში. წამომწევა ავტობუსი.

- რა წერია მაგ წერილში?

- არაფერი. რას მომდევ, რას? დაბრუნდი.

ცოლი რომ ჩამოსცილდა, ნაბიჯი შეანელა, ისევ გაშალა ფურცელი და ხმამაღლა ამოიკითხა, თითქოს ყურითაც გადაამოწმა თვალით ამოკითხული.

"მდინარეში ნაპოვნი ბავშვი ჩვენი ბიჭი იყო. შენ მიმატოვე. სამაგიერო ასე გადაგიხადე. სიკვდილამდე დაიტანჯები. შენი ნიბლია"

ნარინჯისფერი ავტობუსის დანახვისთანავე შეინახა კონვერტი.

—-

შემთხვევით შეხვდა თანაკლასელს ბაზარში. ცნობით მაინც იცნობდა, მაგრამ არ ეამა თვალიდან საფეთქლისკენ გაწოლილი ნაოჭები, არც ყბას ჩამოცილებული ლოყა დაურჩა სასიამოვნოდ. ვაითუ, მეც ასე გამოვიყურებიო. - გაეფიქრა. მოიკითხეს ერთმანეთი, ქალიშვილობის სახუმარო მოგონებებითაც იცინეს. ის იყო, დაემშვიდობა სკოლის მეგობარი, რომ მოულოდნელად შემოუბრუნა საუბარი.

- ვერ გაიგებდი შენ...

- რა უნდა გამეგო?

- ორი თვის წინ გარდაიცვალა, სიმსივნე ჰქონია საწყალს.

- ვინ, გოგო? არ მითხრა ახლა...

- მიხვდი შენ. კი, "ის".

- ეგ არ გეთქვა, და...

- სხვისგან გაიგებდი.

- ბოლოს ნანას ბიჭის ქორწილში ვნახე.

- მახსოვს. თვალს ვერ გაცილებდა. სიკვდილამდე შენ უყვარდი.

- ნუ ლაპარაკობ სისულელეს. შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა ცოლთან და შვილებით ხარობდა კაცი.

- როგორც იტყვი. წავედი, წავედი... მეჩქარება.

მის შემდეგ ფიქრი ჩაუბრუნდა წარსულში ქალს. რამდენჯერ უნატრია მის გვერდით ყოფნა, თავს მის მეუღლედ წარმოიდგენდა, მისი შვილების დედად. დაქვრივებულს აღარაფერი ეხალისებოდა, გარდა წარმოსახული მომავლისა. იმ ქორწილში ყური მოჰკრა, ცოლს გულის შეტევა გადაუტანია და იდუმალი იმედით ელოდა მორიგ შეტევას. იქნებ... არა, არასდროს დაუსრულებია სიტყვით ეს ფიქრი. ახლა რაღა ქნას?!

დილით შვილების მოსანახულებლად წასვლა გადაწყვიტა. ნაუცბადევად გამოაწყო მაცივრიდან, თაროდან, კარადიდან ნამზადი, ფრთხილად ჩაალაგა ქილები ჩანთაში. აზიდა. ემძიმა. არაფერიაო! ამაზე მძიმე გულს დავატარებო!

თხუთმეტ წუთში ჩამოვლიდა ნარინჯისფერი ავტობუსი. მიუსწრებდა.

—-

ახალგაზრდა მძღოლი მართავდა ავტობუსს. გვერდით შუახნის კაცი ეჯდა, აი, იმათგანი, ლაპარაკისთვის რომ ჩამოსხდებიან ხოლმე წინა სკამზე. მათ დიალოგს დიალოგსაც ვერ დაარქმევდით, უფრო რიგრიგობითი მონოლოგი იყო.

- ოცდაათი წელია ლტოლვილი ვარო. რამდენი მთავრობის ხელში გამოვიარე და სახლიდან არავის გამოუუგდივარო. მაინც სად გამოიჩეკა ეს ინვესტორი, სავაჭრო ცენტრი უნდა აშენდესო და დაიყოლია სამინისტრო, თორემ აქამდე თუ არავის ვუშლიდით, ახლა ვინ გავალიზიანეთ, კაცო?!

- მერე?

- მერე და გამობრძანდით მაგ შენობიდან, დემონტაჟი უნდა მოხდესო. რანაირად შევარჩინო ეს წინადადება ახლა იმას. აგერ მაქვს ხელმოწერები, მარტო მე კი არ ვცხოვრობ იქ?! ხალხმა ოჯახები მოიწყო იმ ოთახებში. გადააკეთა, მოაშენა და გაარემონტა. რაღაც ერთოთახიანი ბინით გაგვაჩუმებენ?!

- მართლა იმედი გაქვს, თუ?!

- იმედი თუ არა, ბრაზი და ბოღმა მაქვს. მივალ გუბერნატორთან, ამოვანთხევ, გავთავისუფლდები და წამოვალ სახლში.

- რა გამაცინე, ბიძია.

- ე, ბიჭო, ნელა! სად შემოგიხტა ის მანქანა.

—-

- არ მითხრათ ახლა, ყველა არჩევნებზე მივდივართო. - სარკეში მოავლო თვალი მძღოლმა სალონს.

- არაფერია სახუმარო! რა თქმა უნდა, მივდივარ. მასწავლებელი ვარ და როგორ ავუსწავლო მოსწავლეებს არწასვლის მიზეზი ხვალ? მაგისთვის ავჩქარდი ამ დილას.

- მართლა გგონია, რომ რამე შეიცვლება? ამ მთავრობის ხელში ხუთი ბოლტი ვერ მიყიდია, მეშინია სადმე პაგრიშკა არ მომძვრეს.

- მე შემოვხაზავ და მოვიხდი ვალს. სხვა რა შემიძლია?!

- არაფერი. ის ხომ შეგიძლია, მოსწავლეები დაარწმუნო, თუ რამე არ მოგწონთ, გამოდით და იყვირეთ-თქო?

- და სამსახური დავკარგო?! მე არ გასწავლი მაგ საჭის მართვას და თქვენც ნუ მიმითითებთ, როგორ ვიმუშაო, გენაცვალე!

- მართალია... მაპატიეთ!

—-

ქალაქამდე დაღმართია. წინ გადაიხარა ავტობუსი.

- გამიჩერე თუ ძმა ხარ, წყაროსთან!

- კი, ბიძია. - გადმოხედა მგზავრს. - გამარჯობა, ვერ გიცანი უცებ. აქ რა გინდა, ქალაქში არ მომყვები?

- აქ ახლობელთან უნდა გავიარო, მოსაკითხი გამომატანეს, მეგობარი კაცია, უარს ვერ ვეტყოდი.

- კაი, ბატონო, არაა პრობლემა. ოღონდ მაგ ფული შეინახეთ, არ ავიღებ არავითარ შემოხვევაში.

- რას ქვია, არ აიღებ. შენ კი არ გაძლევ, საქმეს სჭირდება ასე. მამაშენი აღარ მუშაობს?

- დღეს მე დავჯექი, გუშინ ისე დათვრა მამაჩემი, ამ დილას წელი ვეღარ აითრია და რეისს ხომ არ გავაცდენდით.

- რა იცი, ბიჭო, შენ მერე ავტობუსის მართვა?

- ვისწავლე, მეორედ ვზივარ დღეს. ჰო ჩამოვედი მშვიდობით.

- ღმერთმა გატაროს, ბიძია. ე, აქ, ჩამოვალ... აბა, კარგად იყავით!

—-

ჩამოჯდა წყაროსთან. - წნეკა ამიწევდაო, დავისვენებო. საზურგეს მიეყრდნო და თვალები დახუჭა.

- ჯერ პენსიას გამოვიტან, მერე ექიმთან მივალ, მერე აფთიაქში გამოვიელი, მერე საქონლის საჭმელს ვიყიდი, მერე ბაზარში შევივლი, - რა დამაბარეს ბაჟშვებმა? რა ჯანდაბამ დამავიწყა! იქნება კი გამახსენდეს. ფული თუ დამრჩება, იმასაც ვიყიდი, აბა, რას ვიზამ და წამოვალ სახლში. - უი, არჩევნები? მოვასწრებ ვითომ? თუ დამრჩება დრო, კი მივალ, ისევე ეს ძველი ჯობია, ვიცი მაინც რისი გამკეთებლები არიან, ახალი სულ არევს ქვეყანას... რაღა მაინდამაინც დღეს გამომატანა ეს ყველი იმ კაცმა. რაც არის, ეს არის, ერთ წუთში შევივლი და გამოვიქცევი.

წამოდგა.

—-

იმ დაღმართს ფეხით რომ დაუყვა, უბედურებას წამოადგა თავზე.

ხალხი გზის პირას დამდგარიყო და დაბლა იხედებოდა. ყურისწამღები ხმაური იდგა. თვითონაც მათ მიუახლოვდა. გადაიხედა. რაღაცას სახლის სახურავი ჩაემტვრია, კვამლი და ბუღი ერთმანეთში არეულიყო და თვალს ეფარებოდა. გარკვევით ვერაფერი დაინახა.

- რა გადავარდა?

- ნარინჯისფერი ავტობუსი.

- ხალხი? მგზავრები? მძღოლი?

- ამბობენ, ვერავინ გადარჩაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ რემზი კემბელთან: "წერის დროს საკუთარი თავის შეშინებას უნდა ცდილობდე და არა მკითხველის"

ესაუბრა მაია კოშკაძე

შესავალი, რომელიც არავის შეაშინებს...

საშინელება სახელოვნებო ჟანრებს შორის ერთადერთია, რომელიც ბოლომდე ერთგული დარჩა ადამიანის პირველყოფილი და მარადიული შიშების და ინსტინქტებისა. მისი ჟანრული კვანძი დღემდე კათარსისის ტიპის კულმინაციაა, რომელიც, ძველი საბერძნეთიდან მოყოლებული, მიზნად ისახავდა მაყურებლის (თუ მკითხველის) დაზაფრვას გმირის უსამართლო და დაუმსახურებელი სიკვდილით, რასაც მოსდევდა შვება. შვებას იმის გაცნობიერება იწვევდა, რომ შენი ცხოვრება უკეთესია, ვიდრე გმირისა, რომელმაც ღმერთების წყევლა ვერ აიცილა და, ვთქვათ, მამა მოკლა, დედა შეირთო, როგორც ეს წინასწარ იყო დადგენილი. სტივენ კინგი ერთგან წერს, რომ სიკვდილის შიშის უკან იმის ცოდნა დგას, რომ არავინ მოკვდებით საკუთარ საწოლში, ახლობლებისა და ნათესავების აპლოდისმენტების ფონზე.

ლიტერატურულ თუ კინო სცენაზე საშინელებათა ჟანრს წარმოადგენს უამრავი დიდი სახელი, რომელთა ნაწარმოებები ჩვენი ცხოვრების ნაწილიც კი გახდა. მათი ტროპები ან თვალებიდან არ ამოგვდის, ან გვესიზმრება კიდეც. ეს ის ხალხია, ვინც თავის შემოქმედებით უნარებს იმას ახმარს, რომ როგორმე დისკომფორტი შეგვიქმნას. დისკომფორტი მთავარი მდგომარეობაა, რომელიც მთელი კითხვის პროცესში თან უნდა დაგყვებოდეს. ამით ჩვენ, ჟანრის თაყვანისმცემლები, ექსტრემალური სპორტის მოყვარულებს ვგავართ. გვიყვარს ის, რაც ჩვენში განგაშის სიგნალებს ანთებს, გვაშინებს, სიკვდილის გარდაუვალობას გვახსენებს.

რემზი კემბელი რუსული თარგმანებით გავიცანი დიდი ხნის წინ, როგორც იმ მცირერიცხოვან მკითხველთა შორის ერთ-ერთმა, ვისაც ის ჩვენს ქვეყანაში წაუკითხავს. მას მერე მთელი დეკადა გავიდა, თუმცა ის ჯერ კიდევ არ თარგმნილა ქართულად. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ქართულ-

მა საგამომცემლო სივრცემ ერთხელ უკვე სცადა, ეტვირთა საშინელებათა ჟანრის წიგნების თარგმნის საპატიო მისია, თუმცა ეს სერია (იგულისხმება სერია "13", რომელიც სულაკაურის გამომცემლობამ შექმნა) წარუმატებელი აღმოჩნდა და არათუ რემზი, არამედ მისი წინამორბედი კლასიკოსი ავტორებიც კი არ იყოდა მკითხველმა მოსალოდნელი ენთუზიაზმით. და ეს ხდება იმის ფონზე, რომ საშინელებათა ჟანრის ფილმებზე კინოთეატრებში ხშირად ძალიან კარგი დასწრებაა. ვფიქრობ, რომ მოგავალში შესაძლოა სიტუაცია გამოსწორდეს და საშიში ისტორიებით დახუნძლული წიგნები უფრო მოთხოვნადი გახდეს. ერთი მხრივ, იქნებ ეს ინტერვიუც აღმოჩნდეს ვინმესთვის ჰორორისკენ მიბრუნების საბაბი.

რემზი

რემზი კემბპელი ინგლისელი მწერალია, რომელიც მთელი ცხოვრებაა, ჰორორის ჟანრში წერს. დღეისათვის, შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორიც კია, რომელსაც არასდროს გადაუხვევია თავისი ჟანრული მრწამსისთვის და მარტივად უმკლავდებოდა სამეცნიერო ფანტასტიკაში გადაბარგების ცდუნებას - ეს ხომ ბევრი თანამედროვე ავტორის გამოწვევაა. შეიძლება, დიდად არც ებრძვიან ამ ცდუნებას, მაგრამ ფაქტია, რომ ეგრეთ წოდებულ "სპეკულაციურ პროზაში" მომუშავე ავტორების აბსოლუტური უმრავლესობა ხშირად სამივე ჟანრს მიმართავს: ჰორორსაც, ფანტასტიკასაც და ფენტეზისაც. მაგრამ, არა - რემზი. ის კონკრეტულად საშინელებათა მწერალია. მას მოპოვებული აქვს თითქმის ყველა ჯილდო, რაც კი ჟანრულ ლიტერატურაში არსებობს, მათ შორის პრემია ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვისაც. ის ჟანრის ნამდვილი ვარსკვლავია და, რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესო მოსაუბრე.

ჩვენი შეხვედრა

რემზის პირადად 2019 წლის აგვისტოში გადავეყარე, დუბლინში, სადაც სამეცნიერო ფანტასტიკის ყოველწლიური მსოფლიო კონფერენცია იმართებოდა. ამ კონფერენციაზე 2015 წლიდან ვმონაწილეობ და ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როცა დიდ ავტორთან პირისპირ შეხვედრა მიწევდა. მისი სახელი წინასწარ უკვე ამოკითხული მქონდა პროგრამის მონაწილეთა სიაში, ასე რომ, ვიცოდი, სადმე, როგორმე გადავეყრებოდი და ამიტომ მეტ-ნაკლებად მზადაც ვიყავი ამ შეხვედრისთვის. მანამდე კი მის ერთ-ერთ პანელს დავესწარი და მახსოვს, სხვა მონაწილეებისგან განსხვავებით, ფურცელზე კალმით ჰქონდა დაწერილი მოხსენების მთელი ტექსტი და იქიდან კითხულობდა. ასეთი მომზადებული მანამდე არავინ მენახა ამ კონფერენციის პანელებზე. ჰორორისა და სიბეჯითის ეს კორელაცია ძალიან მომხიბვლელი სანახაო იყო.

დუბლინის საკონვენციო ცენტრში, ესკალატორთან მდგარს, უამრავი ხალხი ეხვია, თუმცა გადავწყვიტე, დაველოდებოდი და გამოვლაპარაკებოდი. როცა მის გარშემო ხალხი შეთხელდა, მივუახლოვდი და პირდაპირ ვუთხარი, რომ მასთან ინტერვიუს ჩაწერა მინდოდა. მაშინვე დამთანხმდა, ზედმეტი კითხვების გარეშე. რამდენიმე დღეში იმავე შენობაში შევხვდით და ვისაუბრეთ.

წინასწარვე ვიცოდი, რომ ეს უნდა ყოფილიყო საუბარი ადამიანთან, რომელმაც შიშსა და სიკვდილში ესთეტიკური ტკბობის პოტენციალი ძალიან პატარა ასაკში აღმოაჩინა. თუ რა გამოვიდა ამ საუბრიდან, შეგიძლიათ, თავად შეაფასოთ.

- მწერლები, ძირითადად, არ ჩერდებიან ერთ ჟანრზე და ცდილობენ, წერონ ფანტასტიკაც, ფენტეზიც და ჰორორიც, თქვენ მარტო ჰორორით შემოიფარგლებით, რამ განაპირობა ეს?

- ღრმა ბავშვობიდან მიყვარდა ეს ჟანრი. ექვსი წლის ვიყავი, როცა ი. ეფ. ბენსონისა და ემა ჯეიმსს ვკითხულობდი, წიგნები ლივერპულის საჯარო ბიბლიოთეკაში მოიპოვებოდა. საკმაოდ კარგად გავიცანი ჟანრი და მისი კლასიკოსი წარმომადგენლები. ათი წლისამ უკვე პო წავიკითხე, ასევე დრაკულაც და ფრანკენშტაინიც. მთელი ჩემი მეხსიერება სავსეა წიგნებით, რომლებიც მაშინებდნენ. ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი მაშინებდა, რასაც ვკითხულობდი. უბრალოდ, მხოლოდ ის წიგნები დამამახსოვრდა, რომელთა კითხვამაც შემაშინა. ანდერსენის ისტორიები ძალიან მაფორიაქებდნენ, მაგალითად, როცა 4-5 წლის ვიყავი. ყველაზე მეტად "იმპერატორის ბულბულმა" იმოქმედა.

- მოგწონდათ შიშის შეგრძნება?

- ეს უფრო ჩემი შიშების ტრანსპორტირების მცდელობა იყო - მათი ერთად შეფუთვის და სადღაც ჩემგან მოშორებით გამგზავრების პროცესი. მახსოვს, შუაღამით გამოღვიძებულს, მახსენდებოდა ხოლმე, რაც წავიკითხე და მიჭირდა ძილის შებრუნება. კოშმარები არ მესიზმრებოდა, თუმცა ღამეული შიშები ხშირად მაკითხავდნენ, როცა დასაძინებლად ვწვებოდი და ემა ჯეიმსის ნაწარმოებებიდან ფრაგმენტები მახსენდებოდა. თუმცა მერე უფრო ღრმად შევტოპე ამ ამბებში, სადღაც იქ, სადაც ყველაფერი უკეთ შევაფასე. ჩვენ ყველას გვაქვს მხატვრული პროზით გამოწვეული შიშის გამოცდილება.

საკმაოდ პატარა ასაკიდან დავიწყე საკუთარ სტილზე მუშაობა. მინდოდა, კარგი პროზა გამომსვლოდა. ნელ-ნელა იმის დანახვა დავიწყე, თუ როგორ აღწევდა მხატვრული ტექსტი თავის ეფექტს. ვფიქრობდი სიტყვების სელექციაზე და ენის მუსიკალურობაზე, რომელიც იმ ზებუნებრივი ჰორორ მოთხრობების შემადგენელი ნაწილი იყო, რომელსაც ვკითხულობდი: პოს, ლავკრაფტის და სხვების. როცა პოპულარული საშინელებათა ჟანრის კითხვა დავიწყე, ჩემზე ნაკლებად იმოქმედა. ლავკრაფტი არ წერდა პოპ-ჰორორს, ის სხვა პოპულარულ ტექსტებზე ბევრად მაღლა იდგა მხატვრული თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ ეს უფრო მხატვრულ ტექსტთან ურთიერთობის ექსტატიკური გამოცდილება იყო.

ჩემი პირველი მოთხრობები, რომელთა წერაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან პატარა ასაკში დავიწყე, საშინელი გამოვიდა, არაფრად არ ვარგოდა. თერთმეტი-თორმეტი წლის ასაკში უკვე მთელი კრებული მქონდა ჰორორის ჟანრის მოთხრობების, მოჩვენებებსა და სხვა საშინელებებზე. შეიძლება ისინი არც ისე კარგი იყო, თუმცა ეს უკვე იყო ისტორიები პერსონაჟებით, დიალოგებით, რაღაც სიუჟეტის მაგვარიც კი შეინიშნებოდა. მათ სადმე გაგზავნაზე არ მიფიქრია, ჩემი მხრიდან ეს მხოლოდ ხარკის გადახდა იყო სიამოვნებისთვის, რასაც ამ ჟანრის ტექსტების კითხვა მანიჭებდა.

- თქვენი პირველი პროფესიონალური პუბლიკაცია რომელი მოთხრობით შედგა?

- მოთხრობას ერქვა "ეკლესია ჰაი-სთრითზე". ლავკრაფტიანული მოთხრობა იყო.

- ძალიან გიყვართ ლავკრაფტი?

- კი, შვიდი-რვა წლის ასაკიდან ვკითხულობდი მას და ყოველთვის ახერხებდა ჩემს დაზაფრვას. ის ჩემი ერთ-ერთი დიდი აღმოჩენა იყო, რომელმაც ამ ჟანრის სრულიად ახალ საფეხურზე გამიყვანა. თავიდან ლავკრაფტის წიგნებს ბრიტანეთში ვერ იპოვიდი, არ იშოვებოდა. მხოლოდ მოთხრობების ერთადერთი კრებული იყო გამოცემული. თოთხმეტი წლის ვიყავი, როცა პირველად აღმოვაჩინე წიგნის მაღაზიაში ლავკრაფტის მოთხრობების სრული კრებული. მეორე დღე მის კითხვაში გავატარე და სწორედ მაშინ მივხვდი, რომ მეც იმავეს კეთება მინდოდა ცხოვრებაში. ეს უმაღლესი დონის ზებუნებრივი ჰორორი იყო. ამის შემდეგ ლავკრაფტის სამყაროზე აწყობილ სიუჟეტებს ვიგონებდი და მათ ვწერდი რაღაც პერიოდის განმავლობაში. არკჰემის მაგვარ ადგილებს ვიყენებდი ჩემს მოთხრობებში. შემდეგ სამეცნიერო ფანტასტიკის ერთ-ერთმა ფანმა, რომელთანაც ხშირი მიმოწერა მქონდა, მირჩია, მისთვის გამეგზავნა ჩემი მოთხრობები, ის ლავკრაფტის საუკეთესო მცოდნე იყო და თავად ფლობდა ლავკრაფტის ნაწარმოებების გამოცემაზე საავტორო უფლებებს. ამიტომაც მითხრა, რომ აუცილებლად მეჩვენებინა მისთვის, რასაც ვწერდი. მე მხოლოდ აზრის მოსმენა მაინტერესებდა, მათ გამოქვეყნებაზე არ ვფიქრობდი. ცოტა ხანში მან დიდი წერილი მომწერა. ამ წერილში ბევრი შენიშვნა იყო, თუმცა ასევე მპირდებოდა, რომ თუ რაღაცებს გამოვასწორებდი და ამ ხასიათშივე გავაგრძელებდი წერას, ისინი ჩემი მოთხრობების კრებულის გამოქვეყნებაზე დაფიქრდებოდნენ. მაშინ სულ რაღაც თხუთმეტი წლის ვიყავი. ამ ასაკისთვის ძალიან დიდი განაცხადი იყო.

რამდენიმე თვის შემდეგ მან ახალი ანთოლოგიის კეთება დაიწყო და მთხოვა, მისთვის რამე გამეგზავნა. მე გავუგზავნე "ეკლესია ჰაი-სთრითზე". მან კი მიპასუხა, რომ თუ მოთხრობის რედაქტირების უფლებას მივცემდი, ის მის დაბეჭდვას შეძლებდა. დავთანხმდი. მოთხრობას მართლა ჭირდებოდა ხელის შევლება. ჯერ მხოლოდ თექვსმეტი წლის ვიყავი და უცებ რობერტ ბლოხის, ეიჩ რასელ ვაიტფილდის და ჯონ მეტკალფის გვერდით აღმოვჩნდი. ასეთი? ჩემი პირველი პუბლიკაციის ისტორია.

- საშინელებათა ჟანრის ბევრი მწერალი ფიქრობს, რომ ნებისმიერი შიშის უკან სინამდვილეში სიკვდილის შიში დგას. თქვენ ეთანხმებით ამ აზრს?

- კი, ის ერთ-ერთია ბაზისური შიშებიდან. ასევე უცნობისა და სიგიჟის შიშებიც საკმაოდ ბაზისური შიშებია. ლავკრაფტი უფრო კოსმოსურისა და უცნობის შიშებზე ლაპარაკობდა. რაღაც ისეთზე, რაც ჩვენგან შორს არსებობს და ჩვენ საერთოდ არ გვგავს.

- თქვენი აზრით, ჰორორის ჟანრს დღეს კრიზისი აქვს? ადვილი შესამჩნევია, რომ ის ერთფეროვანი გახდა, უმეტესად, დემონებსა და ზომბებზე გადაღებული ფილმები გამოდის.

- არა მგონია, საკმაოდ კარგი ფილმებია "Midsomer" და "Hereditory". ასევე საკმაოდ საინტერესო საავტორო ფილმებიც იქმნება.

- არაჟანრული ლიტერატურის მწერალი თუ არსებობს, რომელმაც თქვენს შემოქმედებაზე მოახდინა გავლენა?

- კი, ორი იყო ასეთი: გრემ გრინი და ვლადიმერ ნაბოკოვი. უფრო მეტად ნაბოკოვმა იმოქმედა ჩემზე. 17 წლის ვიყავი, ჩემი პირველი წიგნი ახალი გამოცემული იყო და მოულოდნელად წავაწყდი "ლოლიტას". ის აკრძალულ წიგნად მიიჩნეოდა. მეც ამიტომ მიმიზიდა და წავიკითხე. ამ წიგნის მაღალმა მხატვრულობამ, ლირიზმმა და, თქვენ წარმოიდგინეთ, კომედიურობამაც, ჩემს მოლოდინებს გადააჭარბა. ამის შემდეგ ნაბოკოვის ყველა წიგნი ვიყიდე, რაც კი არსებობდა. გრემ გრინი უფრო კრიმინალურ დრამებს წერდა, თუმცა მის ისტორიებს უმეტესობას რელიგიური ელემენტები ედო ხოლმე საფუძვლად, რის გამოც მე, როგორც კათოლიკე, მის ტექსტებს პერსონალურად ჩემთვის დაწერილად აღვიქვამდი.

- თქვენ, პირადად, რისი გეშინიათ?

- ბევრი რამის. მაგალითად ადამიანთა გულუბრყვილობის და ბავშვების დაუცველობის.

- რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ტექსტში საშინელებათა ჟანრისთვის დამახასიათებელი განწყობის შესაქმნელად?

- წარმოსახვა და ავთენტურობა. წერის დროს საკუთარი თავის შეშინებას უნდა ცდილობდე და არა მკითხველის.

- სტივენ კინგის აზრით, ჰორორი საუკეთესოდ ასახავს პოლიტიკურ პერიპეტიებს. ყოველ ახალ პოლიტიკურ რეალობას მოაქვს ახალი შიშები და საშინელებათა ჟანრის ლიტერატურაც ვითარდება. თქვენ თუ მიყვებით ხოლმე საზოგადოების შიშებს და აღწერთ მათ?

- ჩემს წიგნებში ყოველთვის აისახება პროცესები. ასეთი ცვლილებები იყო 50-ანი წლებში, შემდეგ 80-ანებში და დღესაც იგივე ხდება. ყველგან ქაოსია, საითაც არ უნდა გაიხედო. თუმცა, შესაძლოა, ამ ქაოსმა პოზიტიური ცვლილებები მოიტანოს, ვინ იცის?!

დუბლინი,
2019

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლარს სობი ქრისტიანსენი

მკვლელები

ნორვეგიულიდან თარგმნა გიორგი ბერიძემ



თორმეტი წლის რომ ვიყავი, ჩემს საუკეთესო მეგობარს რობერტი ერქვა. სულ ერთი შემოდგომა ვმეგობრობდით. იგი აგვისტოში, ახალი სასწავლო წლის დაწყებისას გადმოვიდა ჩვენს კლასში, ნოემბრის ბოლოს კი სხვაგან გადაცხოვრდა.

გამხდარი და მაღალი იყო. კლასში ყველაზე მაღალი. ერთი გაცრეცილი, ლურჯი პერანგი და ნაკეცებიანი, კლასიკური შარვალი ეცვა ხოლმე. ყავისფერი თმა კი ძალიან ქვემოთ, თითქმის მარცხენა ყურთან ჰქონდა გადაყოფილი. სკოლის პირველ დღეს, 1965 წელი იყო, თუ სწორად მახსოვს (და, რა თქმა უნდა, სწორად მახსოვს, რობერტის გამო), ის საკლასო ოთახში იდგა და აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს ცდილობდა დარწმუნებულიყო, რომ ნამდვილად სწორ ადგილას მოვიდა. მალევე თავი დახარა და რიგის შუაში მდგარი ერთადერთი ცარიელ მერხისკენ გაეშურა. მერხი მეტისმეტად პატარა აღმოჩნდა. რობერტის მუხლები ჩანთის ჩასადების ქვეშ ვერ თავსდებოდნენ, რის გამოც ძალიან საწყლად გამოიყურებოდა. საწყლად, ესე იგი სასაცილოდაც.

და ვიღაცამ სიცილი დაიწყო, ხმამაღლა.

მე არ გამცინებია.

მასწავლებელმა ერთი ამოიხვნეშა და დაფისკენ შეტრიალდა.

რობერტი აღმოსავლეთ ნორვეგიაში, შვედეთის საზღვართან საკმაოდ ახლოს მდებარე პატარა ქალაქიდან იყო ჩამოსული და მესამე კლასს ხელმეორედ გადიოდა. ამიტომაც იყო ჩემზე ერთი წლით უფროსი და ერთი თავით მაღალი. კლასში ჩარჩენის მიზეზს ერთადერთხელ შევეკითხე. მაჩანჩალა არ ყოფილა, პირიქით, საზრიანი იყო, მეოთხე კლასში გადასვლა არ უნდა გასჭირვებოდა, არაფერი მიპასუხა, აიჩეჩა თავისი ვიწრო მხრები და სხვა მხარეს გაიხედა.

სხვა დროს აღარ მიკითხავს, თუ არაფრის თქმა არ უნდოდა, მისი საქმე იყო. ყოველ შემთხვევაში, არ მინდოდა, ჩავცივებოდი.

ზარი დაირეკა, სკოლის ეზო ნათლად ასახავდა ზაფხულის არდადეგებისას განვითარებულ პროცესებს. ვიღაცები ჯგუფებად იდგნენ, საიდუმლოებებს მიმოცვლიდნენ, ხარხარებდნენ და როცა ვინმე ეულად მდგომი მათთან დაახლოებას შეეცდებოდა, განზე რიყავდნენ, მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენჯერ ცდიდნენ ან რამდენად მოინდომებდნენ, მათთან დაახლოება შეუძლებელი იყო. მეც, რასაკვირველია, ერთ-ერთი ეულთაგანი ვიყავი. ერთხელაც არ მიცდია.

რობერტი პორტის კიდესთან იდგა, მარტო, ყველასკენ ზურგით.

მეც იქით გავეშურე. როგორც ჩანს, იგრძნო, რომ მივდიოდი, რადგან სწორედ მაშინ, როცა მის ზურგს გავუსწორდი, უეცრად შემობრუნდა და მომაშტერდა. გავშეშდი, ხელი გავუწოდე და ჩემი სახელი წარმოვთქვი.

ყოყმანობდა, გაკვირვებული და დაეჭვებული მომეჩვენა, მაგრამ მერე, როგორც იქნა, გამიღიმა და ხელი ჩამომართვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მე რობერტი მქვია.

ბოლო გაკვეთილის შემდეგ ერთად წავედით შინ. ის მუნკედამის ქუჩაზე ცხოვრობდა, რკინიგზის ლიანდაგების გასწვრივ მდგარი ავარიული ქირის ბინებიდან ერთ-ერთში. ჩემი სახლი შილებეკის უბანში იყო, უსურვაზებიან შენობაში, ტრამვაის გაჩერებიდან არც ისე შორს.

ხიდზე ჩვენი გზები იყოფოდა.

- აბა, ხვალამდე!

- ხვალამდე - მიპასუხა რობერტმა.

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და შემოვბრუნდი.

რობერტი იმავე ადგილას იდგა, კაშკაშა სხივებისგან თვალებს იჩრდილავდა და დამშვიდობების ნიშნად ხელი მაღლა ჰქონდა შემართული.

- კარგად იყავი! - შევძახე მე.

- კარგად! - შემომძახა რობერტმაც.

დედა აღელვებული მელოდა.

- აბა, კარგი იყო მეგობრებთან შეხვედრა?

როგორც სადილობისას გაირკვა, მამასაც იგივე აინტერესებდა.

- კი.

- ახალი მასწავლებელი ხომ არ გყავთ?

საჭმელს ნელა ვღეჭავდი, არ მშიოდა.

- არა, მაგრამ ერთი ახალი ბიჭია კლასში.

დედამ წყალი დამისხა.

- და რა ჰქვია იმ ბიჭს?

- რობერტი.

- რობერტი? საიდანაა?

- ჰალდენიდან, მგონი. შეიძლება ჩვენთან ისადილოს?

დედამ მამას გადახედა.

- სავსებით შესაძლებელია - თქვა დედამ - თუკი თავადაც აქვს სურვილი.

დარჩენილი საღამო ცხრილის შედგენას მოვანდომე. კვირაში ორჯერ - ხვალ და პარასკევს - დილით დამატებითი გაკვეთილი გვიტარდებოდა. ამის შემდეგ ყველა წიგნსა და რვეულს შევუცვალე გადასაკრავი, ვიფიქრე, უბრალო ნაცრისფერი აჯობებდა იმ ფერადსა და პრიალას, რომელიც შარშან გადავაკარი; ერთ-ერთი შავად სამუშაო რვეულის ბოლო გვერდზე კი ჩემი მეგობრების სია გავაკეთე. სიის სათავეში დავწერე რობერტი. ცოტა ხანს მდუმარედ ვიჯექი, კალამს დავცქეროდი. სია აღარ გაგრძელებულა.

კარზე კაკუნი გაისმა. რვეული ჩანთაში დავმალე. დედამ ვახშამი შემოიტანა.

- რა ერქვა იმ ბიჭს?

- ვის?

- იმ ახალ ბიჭს, სკოლაში.

- რობერტი.

- გვარი მაინტერესებდა.

დაფიქრება დამჭირდა.

- კარგად არ მახსოვს. ჰელვიკი, მგონი. რობერტ ჰელვიკი.

დედამ პურის ნაჭრებიანი თეფში და რძიანი ჭიქა საწერ მაგიდაზე დააწყო.

- რობერტ ჰელვიკი, ხომ. უკვე დაპატიჟებული გყავს?

- ჯერ არა.

დედამ უცნაურად, ირიბად გაიღიმა და ჩუმად ჩაიცინა.

- ჯერ? მას ხომ დღევანდლამდე არც კი შეხვედრიხარ.

ამ წამიდან მოყოლებული ხშირად მიფიქრია, რა გვქონდა ჩვენ ორს საერთო, რამ გაგვხადა ასე დაუცილებელნი იმ მცირე დროში, რომელიც ერთად გავატარეთ. ალბათ, შეუძლებელია ამის სიტყვებით ახსნა. რადგან შეუძლებელია იცოდე, რომ ადამიანი შენი საუკეთესო მეგობარია, როცა ჯერ წესიერადაც არ გაგიცნიათ ერთმანეთი. ასე იყო თუ ისე, მე და რობერტი საუკეთესო მეგობრები ვიყავით. სხვაგვარად ვერ ავხსნი. ჩვენ ერთმანეთის გამოხედვაში ვიპოვეთ რაღაც, იმ აგვისტოს, სკოლის პირველ დღეს, როცა ხელახლა შევეჩეხეთ ჩვენს უცნაურ მარტოსულობას და ორივეს ძალიან მოგვინდა გაზიარება.

მომდევნო დილას იმავე ხიდზე შევხვდით და ერთად გავეშურეთ სკოლისაკენ. წინასწარ არაფერი შეგვითანხმებია. მიუხედავად ამისა, მაინც ისე გამოვიდა, თითქოს ორივემ ვიცოდით, რომ ზუსტად აქ, ამ ადგილას, დილის შვიდ საათსა და ორმოცე წუთზე ერთმანეთს შევხვდებოდით. დღეს დამატებითი, ნულოვანი გაკვეთილი გვქონდა, ჯერ ისევ დილის სუსხი იკბინებოდა. ჩვენ ქვემოთ მატარებლები დაქრიდნენ, ლოკომოტივები, საბარგო ვაგონები. ცოტა ხანს უსიტყვოდ ვიარეთ. მეტისმეტი სიმაღლის გამო, რობერტი ცდილობდა, რაც შეიძლება დაპატარავებულიყო, ნელში ლამის ტროტუარამდე იხრებოდა, რის გამოც მის მოხრილ ზურგზე მოკიდებული ზურგჩანთა კუზს წააგავდა.

- ვინ იყო პირველი? - იკითხა რობერტმა მოულოდნელად.

- სად? ამერიკაში?

- არა, ხიდთან, დღეს დილით. რომელი ჩვენგანი მოვიდა პირველი?

- შენ არ მოხვედი?

- მგონი, შენ იყავი.

ჩავფიქრდი.

- მგონი, ერთდროულად მოვედით.

რობერტი ნელში გაიმართა და გაიღიმა.

- მეც ასე ვფიქრობ.

საუბარი აღარ გაგრძელებულა, გზის დარჩენილი ნაწილი სირბილით გავიარეთ, რადგანაც უკვე ზარის ხმას გვესმოდა.

პირველ ხანებში კლასელები ბევრს დაგვცინოდნენ, მაგრამ შემდეგ თანდათან უკან დაიხიეს, გვერდებოდნენ, თითქოს რაღაც გადამდები დაავადებით ვიყავით დასნებოვნებულნი. ეს არ მადარდებდა, პირიქით, შეჩვეული ვიყავი მარტოობას. რობერტიც ასე იყო, ახლა კი ორივე ერთად აღარც მარტოები ვიყავით. მშვიდად ცხოვრების საშუალებად მოგვეცა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მეშვიდეკლასელი ბიჭები რობერტს აქლემს ეძახდნენ ხოლმე. დასვენებებზე, სასმელი წყლის შადრევანთან დაყუდებულნი, თავიანთი ჭკუით, ძალზე გონებამახვილურად გადმოსძახებდნენ, აქლემო, წყალი არ გინდა? და ჩვენს გაწუწვას იწყებდნენ. შადრევნის ონკანს ცერა თითით დააწვებოდნენ, წყლის წნევა იმატებდა და საუკეთესო მცდელობებისას ზხეფები გაფრენილ ბელურასაც კი შეიძლება მოხვედროდა, მიწიდან თვრამეტი მეტრის დაშორებით. რობერტს სრულებითაც არ ანაღვლებდა ეს ამბავი (გარეგნულად ასე ჩანდა), უბრალოდ ბიჭებისკენ ზურგით შეტრიალდებოდა და წყალი მისი ქურთუკიდან იწყებდა ჩამოყოფვას, ხელის შეშლას არც კი ფიქრობდა და, იმხანად, არც მე არაფრად მანაღვლებდა ეს ყოველივე. ბოლოს, მათაც მობეზრდათ და შეგვეშვნენ.

უფრო უარესი ის იყო, რომ მისთვის ჯერ კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მოეტანათ მოზრდილი მერხი. ისევ ისე მუხლებ-მოგრეხილი იჯდა პატარა სკამზე და ფეხები ჩანთის ჩასადებზე ჰქონდა მიბჯენილი. დამრიგებელი ჯერ კიდევ სნავლის პირველ დღეს დაჰპირდა ახალ მერხს, ეს საქმე დაცვის უფროსს ჰქონდა ჩაბარებული, თუმცა არაფერი გაკეთებულა.

რობერტი არ ნუწუნებდა.

არასოდეს გამიგონია, რომ რობერტს რამეზე დაეჩივლოს.

ალბათ, ყველაფერს გულში იკლავდა, მერე კი მის შიგნით იზრდებოდა და იზრდებოდა დაუსრულებლად, სანამ მთელს ადგილს არ დაიკავებდა.

არ ვიცი.

არ ვიცი, რა დაემართა რობერტს.

საღამოობით ხიდზე შეხვედრა დავიწყეთ. ზოგჯერ ღობეზე ვძვრებოდით, რათა სარკინიგზო ხაზის გასწვრივ გვერბინა და შეგვეგროვებინა ცარიელი ბოთლები, რომლებსაც მერე ჩავაბარებდით, მაგრამ, უმეტესად, გატეხილები გვხვდებოდა - მწვანე შუშის ნამსხვრევები თითქმის წითელ კენჭების შორის. ხანაც უბრალოდ დავეხეტებოდით ქუჩებში, რომლებიც უფრო და უფრო უდაბურნი ხდებოდნენ, ბოლოს გზად აღარავინ გვხვდებოდა ხოლმე. მაინცდამაინც ბევრს არცერთი არ ვლაპარაკობდით, რობერტი ნამდვილად არ იყო ლაქლაქა, მოსწონდა ასე და, იმხანად, მეც ასე მომწონდა.

- ხვალ შევხვდებით. - თქვა რობერტმა, როცა ისევ ხიდზე დავბრუნდით.

მე გავულიმე.

- აუცილებლად.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ შემოვბრუნდი. საკმაოდ დაღამებულიყო, რობერტს ვეღარ ვხედავდი, მაგრამ ვიცოდი, რომ ისევ იქ იდგა.

- აბა, კარგად! - გავძახე შორიდან.

სიბნელიდან ხიდზე მდგომმა მიპასუხა:

- გმადლობ დღევანდელი საღამოსთვის!

- მეც გმადლობ, რობერტ!

დედა ყოველთვის მეკითხებოდა, სად ვიყავი.

- რობერტთან ერთად.

- კი, მაგას მივხვდი, მაგრამ მე ვიკითხე, სად იყავით?

- არსად. უბრალოდ ცოტა გავიარეთ.

- ჰოდა, სად?!

- ქუჩებში. აბა, სხვაგან სად?

დედამ ამოიხვნეშა.

- სხვა ვერაფერი მოიფიქრეთ? მხოლოდ ქუჩა-ქუჩა ხეტიალი?

იყო დრო, როცა ერთად არ ვიყავით - კვირას ან დაძინების წინ, ამ დროს უცბად ეჭვი მომეძალებოდა, ეჭვი და შიში. ვფიქრობდი, რომ შეიძლება სხვა მეგობრებიც ჰყოლოდა, ჩემზე უკეთესები და ერთი წლით უფროსები, იქ, ჰალდენში, საიდანაც ჩამოვიდა, უეჭველად ეყოლებოდა, მათ, ალბათ, ისეთი რაღაცების კეთება ეცოდინებოდათ, რასაც მე ვერ ვახერხებდი, ამატომაც ლაპარაკობდა ცოტას. მოწყენილი იყო ჩემთან.

ასეთ დღეებში ვერ ვიძინებდი ხოლმე.

მაგრამ მომდევნო დილით ის ისევ ხიდზე იდგა, მოკუნტულ ზურგზე მოკიდებულ ზურგჩანთაზე ზემოდან შემოცმული გრძელი საწვიმარი ფრაკით. ჯერ არ ნვიმდა, მხოლოდ მოღრუბლული იყო, დარჩენილი მანძილი სირბილით გავიარე. რობერტიც შემომეგება.

ხელსნობის გაკვეთილზე რობერტმა ჭადრაკის დაფა გააკეთა. მე პურის საჭრელზე შევაჩერე არჩევანი.

ერთ დღესაც, ბოლო გაკვეთილის შემდეგ სახლის გზაზე მოვდიოდით, უკვე გვიანი სექტემბერი იყო, ფოთლები მთელი ქუჩის გასნვრივ ეყარა. ასე რომ, თავზე მზე დაგვნათოდა, ფეხქვეშ კი ოქროსფერი ფოთლები ჭრაჭუნობდნენ. მამა ამას "Indiand Summers"-ს უწოდებდა, მაგრამ ფიორდიდან უკვე ცივი ჰაერი ამოდიოდა, რაც სხივებს კიდევ უფრო ბასრსა და მწველს ხდიდა. უცბად რობერტმა მკითხა:

- აქლემი თუ დრომადერი?

- რა?

- აქლემი თუ დრომადერი - გაიმეორა - უნდა მიპასუხო.

ვერ გავიგე, რას გულისხმობდა, მაგრამ არ მინდოდა აქლემის თქმა.

- დრომადერი.

ცოტა ხანს ფოთლებს ვაშრიალებდით.

რობერტს მოუთმენლობა შეეტყო.

- ახლა შენი ჯერია!

- რისი ჯერი?

- უნდა შემეკითხო.

ჩავფიქრდი.

- პურის საჭრელი თუ ჭადრაკის დაფა?

- ჭადრაკის დაფა. მატარებელი თუ თვითმფრინავი?

არასდროს მიფრენია, მატარებლით კი მხოლოდ ერთხელ ვიმგზავრე დრამენამდე.

- თვითმფრინავი - ვუპასუხე - ღამე თუ დღე?

- ღამე.

ცოტა დავიძაბე. დროის ის მონაკვეთი მოსწონდა, რომელსაც ერთად არ ვატარებდით? ხელები ჯიბეებში ჩავიწყე.

- ღამე?

- კი. ზაფხული თუ შემოდგომა?

- ზამთარი.

- არ ითვლება. შეკითხვას უნდა უპასუხო.

- შემოდგომა.

თითქმის ხიდის ბოლომდე ჩამოვედით და ტრამვაის ხაზებთან ქუჩა გადავკვეთეთ. ამდენი არასდროს გვილაპარაკია. ძალზე ჭკვიანური ხერხი იყო ერთმანეთის უკეთ გასაცნობად. რაღაც ახალი ვისწავლე.

- ეს შენ მოიგონე? - შევეკითხე.

რობერტმა თავი გააქნია.

- არა, მამაჩემმა.

- რას საქმიანობს მამაშენი?

- დედა მატარებლებს რეცხავს ვესტბანენზე.

მკლავზე შევეხე და გავიცინე.

- არ ითვლება. შეკითხვას უნდა უპასუხო.

მაგრამ რობერტი თამაშიდან გავიდა და მთელი დარჩენილი გზა ჩუმად იყო და კიდევ უფრო მოიხარა წელში. ვინანე, ნეტავ არასდროს დამესვა ეს შეკითხვა. თვითონ ხომ არასდროს მეკითხებოდა ჩემს მშობლებზე ან რატომ უნდა ეკითხა? შეიძლება, მეც იგივე რეაქცია მქონოდა.

რობერტი ხიდზე გაშეშდა, მომიწია გავქცეულიყავი, რათა ისევ შემომერიგებინა, უცებ პირი მძიმე, მწარე გემოთი ამევსო.

შემომხედა, რაღაც იყო მის თვალებში, რაღაც ჩრდილის მაგვარი.

- მამაჩემი ზღვაშია.

- სად?



- აფრიკაში, აფრიკის შემოგარენში, რა განსხვავებაა.

ისევ შემეშინდა. ზურგჩანთის ღვედი კისერში მიჭერდა.

- გინდა, ჩვენთან ისადილო? შევეკითხე ნაჩქარევად.

რობერტი ისევ ისე მიყურებდა, შემდეგ თვალებიდან ჩრდილი გადაშორდა და გაიღიმა.

- დარწმუნებული ხარ, რომ ნებას დამრთავენ?

- ნებას დაგრთავენ? რასაკვირველია. გინდა?

- კი.

ერთმანეთს დავემშვიდობეთ და ჩვენ-ჩვენ უბნებში წავედით, მე ტრამვაის ხაზის გაყოლებაზე, ის ხიდის მეორე მხარეს, მერე შემოვბრუნდით, ისევ ისე, როგორც ყოველთვის.

- დღეს თუ ხვალ? - დავუძახე.

ნელში გასნორდა და კიდევ უფრო ფართოდ გაიბადრა.

- დღეს!

- ახლავე ან ხუთზე!

რობერტი ცოტა შეყოყმანდა და ნაბიჯი უკან გადადგა.

- ხუთზე!

თან მიხაროდა და თან ვღელავდი.

მაგრამ უფრო მეტად მიხაროდა, ღელვის მიზეზს კი ვერ ვხვდებოდი.

შილბეკამდე მთელი გზა სირბილით გავიარე და დედას იაკობსენის კოლონიური საქონლის მაღაზიასთან შევხვდი. გორგოლაჭებიანი ჩემოდნით იდგა და სავაჭრო სიას ჩასცქეროდა.

- რობერტს ვუთხარი, რომ შეუძლია ჩვენთან ისადილოს.

დედამ შუბლზე თმა გადაიწია.

- ძალიან კარგი, როდისთვის უთხარი?

სხვა მხარეს გავიხედე.

- დღეს.

- დღეს?

- ჰო, ყველაზე კარგად დღეს გვიხერხდებოდა.

- ბარემ გუშინ გეთქვა, მეტი დრო მექნებოდა მოსამზადებლად.

საათს დავხედე.

- ორი საათი და სამი წუთია დარჩენილი.

დედამ ამოიხვნეშა.

- მაშინ მოუწევს, თევზის გრატენს დასჯერდეს. ამაზე მეტს ვერ მოვასწრებ.

რობერტი ზუსტად ხუთზე მოვიდა, არცერთი წამით გვიან, არცერთი წამით ადრე. მისი ქურთუკი შემოსასვლელის კარადაში შევკიდე. დადგა და აქეთ-იქით ყურება დაიწყო, ზუსტად ისე, როგორც სკოლის პირველ დღეს. თმა კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ჰქონდა გადავარცხნილი, განსაკუთრებით გაყოფის ზოლთან, ტანზე ისევ ის პერანგი და პრიალა ღილებიანი ლურჯი პიჯაკი ეცვა. ბოლოს მომინია, ფაქტობრივად, ძალით შემეთრია მისაღებ ოთახში. მშობლებს ხელი ჩამოართვა, თავი მდაბლად დაუკრა და გაეცინო.

- რობერტ ჰელვიკი.

დავსხედით, ყველამ ჩვენი კუთვნილი მხარე დავიკავეთ მაგიდასთან, რომელიც, დროის სიმცირის მიუხედავად, ქათქათა გადასაფარებლითა და შანდლების შუქით გაეფორმებინა დედას. მამამ ხელსახოცი პერანგის ზედა ღილებს შორის დაიმაგრა, ვერაფრით ვხვდებოდი, უბრალოდ მუხლებზე რატომ არ იდებდა. ალბათ, ჰალსტუხის დასვრის ეშინოდა და მხოლოდ კარტოფილის ჭამით კმაყოფილდებოდა. დედამ სტუმარს შემწვარი ხორცი გადაანოდა, ესე იგი დრო ხორცისთვისაც გამოუნახავს. რობერტი სულ მე მიყურებდა, თითქოს უნდოდა, გადაემოწმებინა, ხომ ნამდვილად შესაფერისად იქცეოდა.

დედამ მხარზე დაადო ხელი.

- წვენი თუ ლიმონათი?

გაგვეცინა. უფრო სწორად ჯერ მე გამეცინა და მერე რობერტიც ამყვა, ვეღარ ვჩერდებოდით, დედა დაბნეული გვიყურებდა, სახეზე გაუბედავი ღიმილით.

- რაზე სისულელე ვთქვი?

ცოტა ხანს ვერაფერი ვუპასუხეთ, მხოლოდ ვიცინოდით. ეს ის სიცილი იყო, რომელიც ზოგ ადამიანს ერთმანეთთან ძალიან აახლოებს, დანარჩენებს კი აშორებს.

- აბა, გეყოფათ ახლა! - თქვა მამამ.

გავჩუმდით, რობერტმა თავი დახარა, გაწითლდა, ცოტა ხანს ყველაფერი დუმდა, დედა კი პასუხს უცდიდა.

წვენი თუ ლიმონათი.

- ლიმონათი. - ამოიჩურჩულა რობერტმა.

- ლიმონათი. - ვთქვი მეც.

- და ერთი ლაგერის ლუდიც ჩემთვის. - თქვა მამამ.

დედა სამზარეულოდან გავიდა და მალევე ბოთლებით ხელში შემობრუნდა.

ჭამა დავიწყეთ, ცოტა ხნით შეწყდა ლაპარაკი.

მამამ ჩანგალი გადადო, ხელსახოცი მოიხსნა და რობერტისკენ მიტრიალდა.

- რას საქმიანობს მამაშენი, რობერტ?

რობერტი ერთხანს ისევ მე მიყურებდა.

- მამაჩემი ზღვაშია.

- ზღვაში? და რას აკეთებს ზღვაში?

მამამ გადაიხარხარა.

დედამ თავი უკმაყოფილოდ გააქნია და ამოიხვნეშა. რა ლუდი დაალევინა ამისთანა?

ხორცის ბოლო ნაჭრებიანი თასი გვერდით გადავაწოდე.

- შტურმანია. - თქვა რობერტმა.

ზუსტად არ ვიცოდი, რას საქმიანობდა მამაჩემი, მაგრამ ვიცოდი, რომ სადაზღვევო კომპანიაში მუშაობდა, რომ ჰქონდა პირადი კაბინეტი, საბეჭდი მანქანა და რომ ყოველ შობას ჩუქნიდნენ კალენდარს და გასაღებების საკიდს მანათობელი ემბლემითა და ნარწერით - დრო მიდის, ურთიერთობები რჩება. მამას მთელი ერთი უჯრა ჰქონდა ასეთებით სავსე. სახლში ბევრად მეტი გასაღებების საკიდი გვქონდა, ვიდრე გასაღები.

- და რომელ შორეულ წყლებში დაცურავს ახლა მამაშენი?

რობერტს შევხედე. ის ჩუმად იჯდა და მიშტერებოდა თეფშს, რომელზეც ხორცისგან დარჩენილი ცხიმები ხმებოდნენ. მის მაგივრად უნდა მეპასუხა, აკი ვიცოდი კიდეც პასუხი, მაგრამ მაინც დამასწრო.

- არგენტინაში. არგენტინის შემოგარენში.

- იქ, ალბათ, ვეშაპებზე სანადაროდ იქნება, არა?

რობერტმა სწრაფად დაუქნია თავი.

- კი, ვეშაპებზე სანადაროდ.

- რომელ თევზსაჭერ კომპანიაშია?

რობერტმა ლიმონათი მოსვა.

- ვილჰელმსენში.

- ვილჰელმსენი? ალბათ, იაპრეს გულისხმობ, რადგან ვეშაპებზე ნადირობას ეხება საქმე.

- ჰო. იაპრე. ვილჰელმსენისთვის ადრე მუშაობდა. აფრიკაში.

- ეს ნამდვილად დასაფასებელია, თქვა მამამ. ვეშაპებზე ნადირობა რომ არა, დედას ამ ხორცის შეწვა მარგარინის გარეშე მოუწევდა!

დედას, სხვა ყველაფერთან ერთად, დესერტად ვაშლის მუსის მომზადებაც მოესწრო. რობერტმა სასიამოვნოდ თბილი და ჟელესავით მკვრივი მუსის სულ მცირე სამი ულუფა მოასუფთავა, დედა სიამოვნებისგან იღიმოდა.

- მაშ, ესე იგი ჰალდენიდან ხარ წარმოშობით? - იკითხა დედამ.

რობერტმა სწრაფად ამოიხედა.

- დიახ.

- ეს ხომ თითქმის საზღვარგარეთაა.

- საზღვარგარეთ?

- შვედეთში, მინდოდა მეთქვა. მოგწონს ჩვენი ქალაქი?

არ მსიამოვნებდა, რომ ამდენ კითხვას უსვამდნენ. რაში აინტერესებდათ? ისინი უფრო მეტს ეკითხებოდნენ, ვიდრე მე.

რობერტმა გამომხედა.

- დიახ.

მე კარგა ხნის გამოცლილი მქონდა ვაშლის მუსიანი ჭიქა, დედა და მამაც მორჩენილიყვნენ, მაგრამ რობერტი კიდევ და კიდევ იმატებდა, ულუფები მცირე არ ყოფილა, მთლიანობაში დაახლოებით 60 ვაშლი დაიხარჯა ამ მუსის მომზადებაზე, დედა ხელის უკან მალავდა ღიმილს. ბოლოს რობერტმა ისე წმინდად მოასუფთავა თეფში, რომ გარეცხვა აღარც იყო საჭირო. სადღაც თავის სამყაროში დაფრინავდა, მერე უცბად მიხედა, რომ მას ველოდებოდით, კოვზს ხელი გაუშვა და მყისიერად წამოდგა, სკამი ლამის გადაყირავდა. მაგიდისაგან მოშორებით დადგა. მაღალი, მაძღარი და დარცხვენილი.

- დიდი მადლობა სადილისთვის, - თქვა მან. - საუკეთესოა, რაც ოდესმე გამისინჯავს.

დედამ მთელი გულით გაუღიმა.

- ჭეშმარიტად თავაზიანი ნათქვამია.

რობერტმა მცირე პაუზა აიღო.

- და ასევე დედაჩემისგანაც უნდა გადმოგცეთ უღრმესი მადლობა ჩემი აქ მოპატიჟებისა და გულითადი მასპინძლობისთვის.

- ბრავო! - წამოიძახა მამამ.

მეც წამოვდექი და სანთლები სულის შებერვით ჩავაქრე.

სიბნელეს ამით არაფერი მომატებია.

მერე ჩემს ოთახში გადავინაცვლეთ და რობერტმა ისევ აქეთ-იქით მიმოიხედა, როგორც ჩანს, ჩვევა ჰქონდა ასეთი. ამჯერად თავს უფლება მისცა, ნელა მოეტარებინა თვალი წიგნების თაროდან ფირსაკრავამდე, ფანჯრიდან სავარძლის თავზე დაკიდებულ კალენდრამდე, 11 ოქტომბერი, რადიოდან კედელზე ჩამოკიდებულ ფოტომდე, დედა, მამა და მე ზაფხულის ბაღში, ნათელი შუქჩრდილებით, რომლებიც გვაუწყებენ, რომ იმ დღეს მცხუნვარე მზე ათობობდა დედამიწას. რობერტი გაოცებას ვერ მალავდა, თვალებგაფართოებული, თითქმის პირდაღებული იჯდა. მივხვდი, რომ იმ მომენტში არ ვიცოდი, სიამაყე უნდა მეგრძნო თუ უხერხულობა.

- სიმართლე თუ ტყუილი? - შევეკითხე.

რობერტმა პირი მოკუმა და ჩემკენ შემობრუნდა.

- ტყუილი. ყურება თუ მოსმენა?

- მოსმენა. ბიტლზი თუ სტოუნზი?

გაეღიმა.

- ბიტლზი.

მაგრამ, მგონი, ამ დროს უკვე შემჩნეული ჰქონდა, რომ სტოუნზის არცერთი ფირფიტა არ მედო თაროზე, ეს მახარებდა, ალბათ, სწორედ ჩემ გამო აირ-

ჩია ბიტლზი. არ ვგრძნობდი უხერხულობას, სიამაყით ვიყავი აღვსილი და ბოლო სინგლი ორჯერ დავაკვრევინეთ.

სიჩუმე ჩამოწვა.

- შინ როდის ბრუნდება მამაშენი? - ვკითხე მე.

რობერტმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა და სწრაფად წამოდგა.

- უნდა წავიდე უკვე.

მისაღების ფანჯრიდან ვუყურებდი. ქუჩა ნაჩქარევად გადაკვეთა, უკან არ მოუხედავს.

დედამ მხარზე დამადო ხელი.

- ზრდილობიანი ბიჭია.

- კი.

- კარგი იქნება, თუ კიდევ დაპატიჟებ.

- ჰო.

- მაგრამ ჯერ თვითონ უნდა დაგპატიჟოს.

- და რატომ?

- უბრალოდ ასეთი წესია.

ერთხელაც შეათვალიერა დედამ და ცოტა ჩაიცინა.

- ბედნიერი უნდა იყო, რომ ამ სიმაღლე არა ხარ!

- მესამე კლასშია ჩარჩენილი.

მაშინვე ვინანე ჩემი ნათქვამი. ეს რობერტის ღალატი იყო, მან სწორედ ამ წამს შეუხვია ქუჩის კუთხეში, ტრამვაის მოსაცდელთან, სადაც არავინ იცდიდა.

მამამაც გაიგონა, გაზეთი დაკეცა და ჩვენკენ შემოტრიალდა.

- ოჰ, რატომ დაემართა? საკმაოდ განათლებული ყმაწვილი ჩანს.

- ნარმოდგენა არა მაქვს!

დიდხანს ვერ დავიძინე. ფხიზლად ვიწექი და ვფიქრობდი, ვინ იყო რობერტი სინამდვილეში. სიბნელეში ვიმეორებდი მის პასუხებს, რომლებიც ისევე კარგად მახსოვდა, როგორც საკუთარი: ჭადრაკის დაფა, ღამე, ლიმონათი, ბიტლზი, ტყუილი. ბოლო პასუხი თავგზას მირევდა, თუ ყველაფერი ტყუილი იყო, იქნებ ყველა პასუხში საპირისპირო იგულისხმებოდა? იქნებ ტყუილის არჩევაც ტყუილი იყო.

ახლა უკვე არც ის იყო სარწმუნო, რომ ნამდვილად ჰალდენიდან ჩამოვიდა.

და ვინ ვიყავი მე? მე ვიყავი დრომადერი, ფრენა, შემოდგომა, ლიმონათი და მოსმენა.

გადავწყვიტე, ყოველი შემთხვევისთვის როლინგ სტოუნზის ერთი ფირფიტა მეყიდა.

იმ ღამეს, ძილში, უკვე ვიცოდი, თუ ვინ იყო რობერტი.

ის ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო.

შემდეგ დილას, ჩვეულებისამებრ, ხიდზე მელოდა.

სკოლისაკენ რომ მივდიოდით, გაწვიმდა.

ფიზკულტურა გარეთ აღარ ჩაგვტარებია.

სამი კვირა წვიმდა. ქუჩები მდინარეებად გადაიქცა, ტრამვაი აღარ დადიოდა, აღარც ფოსტა მოდიოდა, მამაჩემს ზეგანაკვეთური საქმე გაუჩნდა სადაზღვევო კომპანიაში. მერე უეცრად გადაიღო. ერთ შაბათ დღეს, მე და რობერტი ბოტებითა და საწვიმრებით აღჭურვილები ვბრუნდებოდით შინ, მოულოდნელად ღრუბლები გვერდზე გაიყარნენ და, ყველა მხრიდან კაშკაშა შუქმა გამოანათა, ცა გახდა ღრმა და ლურჯი, და ყველანაირი ხმაური ერთ წამში სრულიად ჩაწყნარდა.

რობერტი გახევდა, შემდეგ შემომხედა.

- ამ საღამოს რამე გაქვს გასაკეთებელი?

როგორც იქნა, კითხვას აპირებდა.

თავი რამდენჯერმე გავაქნიე.

- არა, ნამდვილად არაფერი.

- დედამ მითხრა, თუ სურვილი აქვს, დღეს ჩვენთან ისადილოსო.

გამიხარდა, მაგრამ თან დავითრგუნე. მაინცდამაინც ასე რატომ თქვა? რა, თავად არ უნდოდა, რომ მათთან მესადილა?

- სიამოვნებით, გმადლობ.

- ხუთ საათზე. გაწყობს?

- შესანიშნავია.

რობერტმა გაიღიმა.

- შესანიშნავია, გაიმეორა მან.

განათებული, კრიალა ქუჩები სწრაფად ჩავირბინე სახლამდე.

იქ მისასვლელად ოთხი საათი და სამი წუთი მქონდა, რადგან შაბათობით ადრე გვიშვებდნენ ხოლმე. საათის ისრები ნელა მოძრაობდნენ, თვით წამების ისარიც კი ჩემს წყალგაუმტარ მაჯის საათზე, ისევე ნელა მოძრაობდა, როგორც კალენდარი საწოლის თავზე, რომელზეც ხანძარში გახვეული სახლის სურათის ქვეშ ნოემბერი პირველ კვირას ამთავრებდა.

ზუსტად ხუთზე, არცერთი წამით ადრე და არცერთი წამით გვიან, რობერტის სახლის კარზე ზარი დავრეკე. კარი ისე სწრაფად გაიღო, ღილაკიდან თითის აღებაც ვერ მოვასწარი, ალბათ, რობერტი კარს უკან იდგა და ჩემს ზარს ელოდა.

პირველ სართულზე ცხოვრობდნენ.

კორიდორში რამდენიმე კერძის სუნი იდგა.

რობერტი შიგნით შემიძღვა.

შესასვლელში საკიდის მსგავსი არაფერი იყო, იატაკზე იდგა ერთი დიდი ტანსაცმლის ზვინი. ჩემი ქურთუკიც ამ ზვინზე დავაფინე, რობერტის საწვიმარი ლაბადის ზემოდან.

პარკში აურლანდის ფეხსაცმელები და ექვსღილიანი ბლუზი მელაგა.

რობერტი მელოდებოდა.

შემდეგ სამზარეულოსკენ გამიძღვა.

რობერტის დედა გაზთან იდგა და ჩემი მისვლისთანავე შემობრუნდა. საკმაოდ პატარა ქალი იყო, ცოცხალი, სიფრიფანა. ლურჯ წინსაფარზე სწრაფად შეიმშრალა ნერილი ხელები, ამ დროს უცბად წარმოვიდგინე, რომ ეს ის ადამიანი იყო, ვინც ვესტაბნენზე მატარებლებს რეცხავდა, ლოკომოტივებსაც, საბარგო ვაგონებსაც, პირველ კლასსაც და მეორე კლასსაც. ხელის ჩამორთმევისას ვიგრძენი, რომ სუნიც რაღაც მატარებლური ჰქონდა, ალბათ, ქაფურის სუნი იყო. ნერვიულად და სწრაფად მოძრაობდა. რობერტს მისგან გამოჰყოლოდა დიდი თვალები, რომლებიც ბოლოს ჩემს თვალებსაც შეხვდნენ.

თავი დავუკარი და გავეცანი.

მისი ხელი სველი იყო და ჩემს თითებსაც ქაფურის სურნელი აჰყვა.

მაგრამ ეს არ იყო ყველაფერი, რამაც იქ ჩემი ყურადღება მიიქცია.

ყურადღებას იპყრობდა სამზარეულოს მაგიდის ცენტრში მდგარი დაბადების დღის ტორტი. კრემში ჩაფლული ცამეტი სანთლის მოკანკალე ალი ფანჯრიდან გარეთ გადიოდა, სადაც მატარებლის ხაზების პეიზაჟი იყო გადაშლილი. მაგიდა სამი ადამიანისთვის გაეწყოთ, თეფშები, პატარა ჩანგლები, ჭიქები და ქაღალდის თეთრი ხელსახოცები.

დავსხედით.

რობერტმა ღრმად შეისუნთქა და ყველა სანთელი ერთიანად ჩააქრო.

რატომ არ მითხრა, რომ დაბადების დღე ჰქონდა? რაღაც უნდა მეჩუქებინა, მაგალითად, როლინგ სტოუნზის ფირფიტა ან რამე სხვა, რაღაც შთამბეჭდავი, რაღაც ისეთი, რაც ჩემს ვინაობას გამოხატავდა, ანუ იმას, რომ მე მისი საუკეთესო მეგობარი ვიყავი.

რობერტის დედამ წინასფარი მოიხსნა და ჭიქებში კაკაო დაასხა.

რობერტმა სტეარინის სანთლები კრემიდან ამოიღო და ყველა თეფშზე ტორტის თითო ნაჭერი დადო.

- შეგიძლია, ცოტა კრემი კაკაოშიც ჩააგდო.

ჩვენ ქვეშ მატარებელმა გაიარა, ერთი წუთის განმავლობაში მთელი სახლი ეზოიანად ირყეოდა.

ყველანი ჩუმად ვისხედით.

ხელი ჯიბეში ჩავიყავი და გასაღებები ფრთხილად გამოვხსენი საკიდიდან. შემდეგ ხელები ზურგს უკან დავმალე.

- ჩრდილოეთი თუ სამხრეთი?

მაგრამ რობერტმა არაფერი მიპასუხა, პასუხის ნაცვლად დედას გადახედა, რომელმაც ჭიქა მძიმედ დადგა მაგიდაზე. მიეხვდი, რომ რაღაც არასწორი ვთქვი, უბრალოდ ვერ ვხვდებოდი, რა.

ცვილის პრიალა გადასაფარებელზე გასაღების საკიდი დავდე.

- დაბადების დღეს გილოცავ!

- გმადლობ.

- შეფუთვა ვეღარ მოვასწარი.

- ეგ არაფერი.

რობერტმა საკიდი ხელებს შორის მოიქცია, ჩახედა და დაინახა, რომ სიბნელეშიც ანათებდა.

- ეს სად იშოვე? - იკითხა დედამ.

- მამაჩემი სადაზღვევო კომპანიაში მუშაობს.

- მართლა?

- დიახ, ის ადამიანებს აზღვევს, როცა უბედური შემთხვევები ხდება.

რობერტმა გასაღები რგოლზე შეაბა.

დედამ კიდევ დაგვიმატა კაკაო.

- გინდოდა გეთქვა, რომ წინასწარ აზღვევს, სანამ უბედური შემთხვევა მოხდება.

- ჰო, სანამ მოხდება.

რობერტმა შემომხედა.

- რა არის ყველაზე დიდი უბედურება, რომელიც შეიძლება შეგემთხვეს?

ამ დროს სამზარეულოს კარზე ზარი გაისმა.

დედა გაუნძრევლად იჯდა, მისი ყოველი მოძრაობა თითქოს ცვილსა და ლინოლეუმში ჩაყინულიყო.

რობერტმა გასაღები ჯიბეში ჩაიგდო.

ზარმა კიდევ ერთხელ დარეკა.

ბოლოს და ბოლოს დედა ადგა, სამზარეულოს კარისკენ წავიდა, უსაფრთხოების საბელი გადასწია და კარი გააღო.

დავინახე როგორ გააკეთა ერთდროულად ორი სრულიად სანინააღმდეგო მოძრაობა. როგორ გაიმართა წელში და იმავე წამს როგორ ჩაიკეცა. ჩაბნელებულ კიბეზე ვიღაც მამაკაცი იდგა.

დედამ მხოლოდ ერთი ამოთქვა:

- შენ?

და შიგნით შემოუძღვა.

ის კაცი რობერტის მამა იყო.

არ ვიცი, რას ველოდებოდი. შეიძლება გარუჯულ, დაკუნთულ მეზღვაურს, მოკლემკლავებიან, ყელმოღეღილ მაისურში, რადგან იქ, საიდანაც ის მოდიოდა, ჯერ კიდევ ზაფხული უნდა ყოფილიყო; მაგრამ ეს კაცი ისეთივე ნაცრისფერი იყო, როგორიც რძით სავსე ბოთლი. თხელი თმა მთლიანად უკან ჰქონდა გადავარცხნილი. გაცრეცილი ფრაკი არ გაუხდია, მხოლოდ ხელთათმანები გაიძრო.

საჩვენებელი თითი რობერტისაკენ გაიშვირა.

- შენ რა, გეგონა, შენი დაბადების დღე დამავიწყდებოდა?

რობერტი ადგა. მამამისზე მაღალი იყო. მამამ თავი უკან გადანია და ზეცას ახედა:

- ღმერთო ძლიერო!

რამდენიმე წამს მდუმარედ იდგნენ. თითქოს საერთოდ აღარ ვიყავი იქ, უხილავი გავხდი. მხოლოდ ისინი იყვნენ. რომელი ჩაეხუტებოდა პირველი?

ჩახუტების ნაცვლად მამამ ხელები ზურგს უკან წაიღო.

- მარჯვენა თუ მარცხენა? - იკითხა მან.

რობერტი სწრაფად შეტრიალდა დედისაკენ, მის თვალებში რაღაც იკითხებოდა, რაღაც ვედრებასავით, მაგრამ დედა არავისკენ იხედებოდა, მხოლოდ ფანჯარას უყურებდა, საიდანაც ერთადერთი სანახავი იყო - სიბნელე.

- მარჯვენა თუ მარცხენა? - გაიმეორა მამამ.

- მარცხენა.

ხელები კვლავ ზურგზე ჰქონდა შემოწყობილი. უცბად უბედურ კაცს დაემსგავსა.

- დაგავინყდა?

რობერტი კიდევ უფრო აღელდა.

- არა!

მამა კვლავ გამჭოლი მზერით უყურებდა.

- აბა, თქვი მაშინ რამე.

- ტორტი თუ კაკაო?

მამამ ხმამაღლა გაიცინა.

- ტორტი! შავი თუ თეთრი?

- შავი. ტაქსი თუ ტრამვაი?

- ტაქსი. ახლა თუ არასდროს?

დედამ მაგიდაზე ახალი თეფში დადო და მომენტალურად მაგნიტივით მიიზიდა მამის ყურადღება.

- ეს რა არის?

- არ შეგიძლია, უბრალოდ საჩუქარი მისცე და მორჩე?! - თქვა დედამ.

რობერტმა ამოიჩურჩულა:

- ახლა.

მამამ გაღიმება სცადა.

- ესე იგი, გამოვიდა - მარცხენა ტორტი შავ ტაქსიში.

და როგორც იქნა, მამამ მისცა საჩუქარი, რომლის შესაფუთი ნაცრისფერი ქაღალდიც რობერტმა ერთ წამში გაანადგურა.

შიგნით ჭადრაკის ფიგურები ეწყო.

- გმადლობ.

- ჩემი ხელითაა გაკეთებული.

მამა დაჯდა. რობერტმა თეფშზე ტორტი დაუდო.

როცა მთლიანი ნაჭერი შეჭამა, პატარა ჩანგლით დარჩენილი ნამცეცებიც აკენკა და თითებიც ხელსახოცზე შეიწმინდა, პირველად მერეღა შემამჩნია.

- ოჰო, აქ წვეულება ყოფილა.

ხელი გავუწოდე და გავეცანი.

არ ჩამომართვა.

ამის მაგივრად თავის შვილისკენ შეტრიალდა.

შავი და თეთრი ფიგურები ცვილის პრიალა გადასაფარებელზე ჭიქებს შორის ელაგა.

- დაამთავრე დაფა?

- ახლავე.

რობერტმა ტორტის კიდევ ერთი ნაჭერი დაუდო.

დედა ისევ ბნელ ფანჯარასთან იდგა მკერდზე ხელებგადაჭდობილი.

მამა კვლავ ჭამას შეუდგა. იჯდა თავისი გრძელი ფრაკით და ტორტს შეექცეოდა, მაგრამ უცებ გაშშდა, ხელები მუცელზე შემოიკრა, შუბლზე ოფლი ასხამდა, ტუჩებზე კრემი, თვალებზე კი ბრაზისა და დარდის ველური ნაზავი ჰქონდა გამოსახული. შემდეგ სამზარეულოს ნიჟარასთან მივიდა და გული აერია, რამდენჯერმე, ბოლოს მუხლებში ჩაიკეცა, იატაკს დაეყრდნო და სლუკუნი და ფურთხება დაიწყო.

რობერტი დედისკენ შეტრიალდა.

ხელზე შევეხე.

- ჩემი წასვლის დროა.

შემოსასვლელამდე გამაცილა, ჩემი მოსაცმელი ავიღე და ფეხსაცმელები გამოვიცვალე.

მაშინ მითხრა, ისე ჩუმად, რომ ძლივს გავიგონე:

- შენ ხომ არაფერს იტყვი?

თავი გავაქნიე, რობერტმა კარი ფრთხილად მოხურა.

შესასვლელთან პოლიციის მანქანა იდგა. ორი პოლიციელი ტრუტუარზე იცდიდა. ერთ-ერთი ძაღლს იჭერდა. ფანჯრებში, ქუჩის ორივე მხარეს, ფარდის უკან მიმალული სახეების დანახვა შემეძლო, ცნობისმოყვარე გამოხედვები, რომლებიც არაფერს მალავდნენ.

სულ სირბილით მივედი სახლამდე.

დედა და მამა მისაღებში ისხდნენ და მიცდიდნენ.

აფორიაქებულნი ჩანდნენ, თითქმის შეშინებულებიც. დედა ნამტირალევი იყო, შეშუპებული ლოყები ჰქონდა. მამამ სიგარეტს მოუკიდა, საფერფლე ნამწვავებით იყო სავსე.

- დაჯექი აქ. - მითხრა მამამ.

შუაში ჩავჯექი.

- რობერტთან იყავი? იკითხა დედამ.

თვითონაც ხომ იცოდა. რა აზრი ჰქონდა ამ შეკითხვას?

თავი დავაქნიე.

- სხვაგან სად ვიქნებოდი.

დედა გაჩუმდა, მამას გადახედა. მამამ ღრმა ნაფაზი დაარტყა.

- ჩვენ გვინდა, რომ მაგ რობერტისგან თავი შორს დაიჭირო.

ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ზურგით ვეცემოდი, ეს სიტყვები კი ქვემოთ და ქვემოთ მექაჩებოდნენ.

- შორს? რატომ?

დედამ ხელი ხელზე დამადო.

- გაიგონე, რაც მამამ გითხრა.

- კი, მაგრამ, რატომ?

დედამ ისევ მამას შეხედა. მამამ სიგარეტი საფერფლეში ჩასრისა, ფერფლი ხელებზე შეეყარა.

- იმიტომ, რომ მამამისი მკვლელია.

- მკვლელი?

- ოთხი წლის წინ ერთი კაცი სიცოცხლეს გამოასალმა.

დედამ სწრაფად დაამატა:

- დაახრჩო, სასიკვდილოდ გაიმეტა ადამიანი.

ხელი ჩემკენ გამოვნიე. თითქმის ვეღარ ვლაპარაკობდი.

- თქვენ საიდან იცით?

მამამ ლურჯი კოლოფიდან ახალი სიგარეტი ამოიღო და ხელის გულზე დაფერთხა.

- ყველამ იცის ეს.

ასანთის ღერის ალზე შევნიშნე, რომ მამას თითები ყვითელი, თითქმის ყავისფერი გამხდარიყვნენ.

წამოვდექი.

- რობერტს არაფერი ჩაუდენია! - დავიყვირე - რობერტს არაფერი ჩაუდენია!

დედაც წამოდგა.

- გვიანია. ამ თემაზე ხვალ დავილაპარაკებთ.

- მე აღარ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი!

მამამ ამოიხვნეშა.

- ისე მოიქეცი, როგორც დედა გეუბნება. წადი და დაიძინე.

წავედი და დავიძინე, კალენდრის ქვეშ, რომელსაც ყოველ თვე ერთი ახალი უბედურება მოჰქონდა.

დილით არ ავმდგარვარ. ვინექი და ველოდებოდი, რაღაც უნდა მომხდარიყო.

არაფერი მომხდარა.

დედამ შემოაღო კარი.

- ავად ხარ?

კედლის მხარეს გადავტრიალდი. დედა მომიახლოვდა, ხმა უკანკალებდა, თითქოს სიტყვები ხელში აყვანილი მოჰყავდა.

- გუშინ არაფერი მომხდარა?

- არა, და რა უნდა მომხდარიყო?

- უბრალოდ გეკითხები.

ფარდების გადაწევა უნდოდა.

ლოგინზე წამოვჯექი.

- ეგ არ ქნა! გესმის?! ეგ არ გააკეთო!

ლამის ვკიოდი.

დედამ ფარდები ჩამოუშვა და ხანჯლის პირზე უფრო ნვრილმა ზოლმა მისი სახე ორად გაკვეთა.

- ჩვენიც უნდა გაიგო. - მითხრა ხმადაბლა.

შემდეგ თავი დამანება და მარტო დამტოვა.

საწოლიდან არ ავმდგარვარ, ვიდრე ის კვირა დღე კალენდრიდან არ ამოიშალა.

ორშაბათ დილით ისევ ხიდზე ვიდექი და ვუცდიდი.

რობერტი არ მოსულა.

ბოლომდე ვუცდიდი, ყველანაირი ლოდინის დრო ამოიწურა, ზარიც დაირეკა. რობერტი არ მოვიდა.

სანამ ხიდზე ველოდებოდი, მოუთმენელი და შეშინებული, თოვა დაიწყო. თოვლი ყველა მხრიდან მოდიოდა, ქარი კი მისგან ღობის გასწვრივ გაყოლებულ კედლებს აშენებდა. თეთრი კედლები მატარებლის გავლისთანავე სკდებოდნენ და იმსხვრეოდნენ, ზუსტად ჩემ ქვეშ, როგორც ერთგვარი, სიჩუმეში მთრთოლარე ბგერა.

თოვა არ წყდებოდა, ხელები გამეთოშა.

მარტო უნდა წავსულიყავი სკოლაში, როგორც ყოველთვის დავდიოდი ხოლმე, რობერტის გადმოსვლამდე.

მისი ახალი მერხი, ყველა სხვა მერხზე უფრო მაღალი, როგორც იქნა, ჩამოვიდა. მაგრამ მთელი დღე ცარიელი იყო. ბოლო გაკვეთილზე დაცვის უფროსმა ისევ უკან გაიტანა.

მახსოვს რობერტის ბოლო სიტყვები, ლოცვასავით რომ ჟღერდნენ:

- შენ ხომ არაფერს იტყვი?

რობერტი აღარასოდეს მინახავს.

ახალ ადგილას გადაცხოვრდნენ, სადაც ვერავინ იცნობდა. როგორც აქ ვერ ცნობდა ვერავინ, როცა ჩამოვიდნენ.

დიანა ანფიმიადი



სიმართლე

ერთხელ ვიღაცამ ლექსი თქვა
და გაქრა მთელი საიდუმლო.
ფოთლები ჩაქრა,
ხურმის ფარნები ჩაიწვა,
გაიფანტა ქინქლების ნაპერწკლები.
დამთავრდა ჯადოქრობა,
ყველაფერი გამარტივდა,
აწი მაგიას ვინ დაუჯერებს,
ლექსმა გამოთქვა შემოდგომის
სწორი ვერსია,
შესაქმისეული კი არა,
ნამდვილი, ნამდვილზე ნამდვილი -
გრამატიკული და სტილისტური შეცდომების გარეშე.
ღმერთს სხვა არაფერი დარჩა,
მოაგროვა ყვითელი და წითელი ფოთლების
ყველაზე ბანალური თაიგული.
ყველაფერი ერთ წამში ამოხსნილი იყო.
როცა ვიღაცამ ლექსი თქვა:
"ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს"...

დაბადების მოწმობა

შეიძლება ჩემი შეყვარებულის ნეკნიდან ვიშვი,
ისეთი მოფერება იცის, არაფერია გამორიცხული.
იქნებ გავჩნდი მამაჩემის თავის ტკივილიდან,
ზუსტად ვერაფერს ვიტყვი,
ღმერთი რომ მოკვდა, ბავშვი ვიყავი.
ზღვის ქაფიდან? აბა, რა ვიცი,
შავ ზღვას, რომლის ნაპირთანაც დგას ჩემი სახლი,
შავი ქაფი და უამრავი ცრემლი მოჰყვება
და დელფინებიც მოცურავენ დროგამოშვებით.
აბა, რა ვიცი, როგორ გავჩნდი,
რომელი ვაშლი გაიყვეს დედაჩემმა და მამაჩემმა,
რომელი ცომის ტიკინა გამოაცხვეს,
რომელი ყვავილის ბუტკოდან ამოვედი,
რომელ ხის ნაფოტს ჩაბერეს სუნთქვა
რომელი სიტყვა ითქვა და რომელ მარცვალს მოვყევი,
არაფერი ვიცი დაზუსტებით,
და ალბათ ამიტომაც ვწერ ლექსებს
და რამე ზუსტად რომ მცოდნოდა,
აღარ დავწერდი.
ყოველ შემთხვევაში,
მე ასე ვფიქრობ.



ეჭვიანობა

მაინც ვინ ჩამყურებს, როცა მძინავს,
თითქოს მოჭედილი სარკე ვიყო,
ჩამყურებს და ირგებს ჩემს საყურეებს,
იპრანჭება, ილიმის,
ჩამყურებს, მკითხულობს,
სიზმრები მანამ მიაქვს, სანამ დავწერდე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისას ეძებს ჩემს ნაკვთებში,
შეშუპებულ ქუთუთოებში,
ახლართულ თმაში,
მოსწონს ჩემი საღამურის ატლასი.
ვინაა ასეთი ნაცნობი თუ უხილავი,
რომ ჩემი ძაღლიც კი არ უყეფს,
საბნის ქვეშ, ჩემს ფეხებთან მოკრული,
თავის ძაღლურ ძილში ჩანთქმული,
ვინც ჩამყურებს დახუჭულ თვალებში,
ეჭვიანად, თითქოს სიზმრების გამოცნობას
ცდილობს,
სიზმრების ხმამაღლა წაკითხვას,
შენი სახელის პოვნას, შენი სუნის აღმოჩენას.
მაინც ვინ არის,
ვინც ჩემამდე გაგაჩინა,
მაგრამ ვერ გაგზარდა,
ვისაც ჩემამდე ეძმე,
მაგრამ დაეკარგე,
ვინც ჩემამდე შეგიყვარა,
მაგრამ ვერ შეგიტკბო.
ვისაც ჩემამდე მოუკვდი,
მაგრამ ვერ დაგიტირა.
ვინც პურისათვის თოვლს გიცრიდა,
ზეწარს და დამდნარ თოვლს გიცვლიდა,

ვინც მანამ გიცნო, სანამ გნახავდა,
ვისაც შენს ძილთან შემოაღამდა,
ვინც შენი დახსნა სცადა ძილიდან,
და სანამ ძილს არ მოიხდიდი,
მანამ გივლიდა,
გასწავლა ყველა ქადაგება, ყველა იგავი,
ვინც ჩემს შეხედვას გამოასწრო ჩემი გულიდან
და ბევრად უფრო ადრე გნახა,
ვიდრე იყავი.

შეხვედრა

მოვდივარ შენთან
ჩემზე უფრო ლამაზი
ჩემზე უფრო კარგი
ჩემზე უფრო მაღალი
ჩემზე უფრო მსუბუქი
ჩემზე უფრო ჭკვიანი
ჩემზე უფრო მაშრიყ-მაღრიბის დედოფალი
ჩემზე უფრო ბედნიერი სამშობლოს შვილი.
მოვდივარ შენთან
ჩემზე უფრო კარგი ლექსებით
ჩემზე უფრო ტკბილი კოცნით
მოვაჩხრიალებ ქვაში ჩაკირული ვარდის
სამაჯურებს
და ვარდის ფურცლების კაბებს მოვაფრიალებ.
მოვდივარ შენთან
ყოველთვის უფრო ადრე, ვიდრე სინამდვილეში,
და წასვლის მერე დიდხანს, დიდხანს ვრჩები,
უფრო დიდხანს, ვიდრე მოვდივარ.

სამშობლო

შენი ხმა მიყვარს
და შენი ხმის ორივე ნაპირი,
ხავსი, ლელიანი, ლელქაში,
ნაპირზე წუწაობენ ბავშვები,
წყალში გაიბრწყინა გველთევზამ,
ნესტმა ჩაიბუდა უთხოვარის მერქანში,
შენი ხმა მიყვარს, ხან ყელზე დოლაბი,
რომელიც შენს თვალებში მძირავს,
ხან კიდევ მსუბუქი სიზმარი,
რომელიც შენს თვალებში მძინავს -
მდინარეს დაყოლილი დუმფარის ფოთოლი -
საკურთხეველი ბაყაყების წირვისთვის.
შენი ხმა მიყვარს,
ამ ხმაში კოლხეთის დაბლობი,
რომელიც ზოგჯერ შრება
და ისევ ივსება ხმებით,
შენი ხმა მიყვარს
ფსკერზე ქალაქები, სოფლები,
საღამოები, განაპირა შეხვედრები,
წყნარ ამინდებში
სამრეკლოების ცასთან შეხებები.
შენი ხმა მიყვარს,
რომელიც გზასავით ვერ დავკეცე,
ბოლო სურვილივით არასდროს დაილია,
გისმენ მატარებლით მგზავრობასავით,
გაჩერებები, სადგურები, მინდვრები,
ადამიანები, ქუჩის ძაღლები,
ფანჯრიდან ჩემი და შენი ქვეყნის
ფანტასმაგორიული გალერეა.

რედაქტირება

წარმოვიდგინე, რომ მშობიარობას გადავყევი,
რას არ წარმოიდგენს ქალი
თუ მოწყენისთვის მოიცლის,
მოკლედ, მშობიარობისას მოვკვდი,
ცოცხალს გამიჭრეს
და მკვდარს გამიკერეს მუცელი.
სადღაც იზრდება ჩემი ბავშვი,
არც წერა-კითხვა ასწავლეს,
არც ცხვირის ცხვირსახოცით მოხოცვა,
პირდაპირ, მაჯაზე იხოცავს
როცა სრუტუნებს ან შიმშილისგან ტირის,
სახელოებზე ლოკოკინას ნაკვალევია,
ნაკვალევია თვალებთანაც
აშაშრული, ჭუჭყიანი.
ფრჩხილები ისეთი შავი აქვს,
თითქოს დედის საფლავი თხარა.
წარმოვიდგინე, რომ მშობიარობისას მოვკვდი,
ექიმები დაფეთდნენ,
ზოგი გულის ამუშავებას ცდილობს,
ზოგი ინიშნავს, გული როდის გავაჩერე
ვიღაც კი ყვირის:
- დაარედაქტირე ტექსტი,
დაარედააქტირე!

ლევან ზარიძე



* * *

ვზივარ და ვსწავლობ ჯდომას,
ვწევარ და ვსწავლობ წოლას,
ვამთავრებ წამის კენკვით
მარადისობის სკოლას.

მოსვლით ვისწავლე მოსვლა,
წასვლის გაკვეთილს ვაცდენ,
რა დროს წასვლაა, როცა
კოვიდზე ორჯერ ამცრეს.

ვაფრენ და ვსწავლობ ფრენას,
მერცხლებს ვიჭერ და ვაფრენ,
უდაბნოსაკენ ვაფრენ,
აფრიკისაკენ ვაფრენ.

გავანახევრე საქმე
და ველოდები ფინალს,
მერცხალს ვუშენებ ბუდეს,
აქეთაც გადმოფრინავს.

ეზივარ და ვსწავლობ ჯდომას,
ვწევარ და ვსწავლობ წოლას,
ვამთავრებ წამის კენკვით
უსასრულობის სკოლას.

* * *

ამდენი ათასი ნერვი,
უჯრედი, ძალიან ბევრი,
უჯრედშორისი წამი
და წამებს შორის მტვერი,
ყველაფრის მცოდნე სისხლი,
ატომი, პირადი ბირთვით.
...და ასეულობით ძვალი
და ძვალთა შორის ხრტილი
და ხრტილის იქით ხორცი
და ხორცის იქით კანი
და კანის იქით თმები
და თმების იქით თმენა
და თმენის იქით ბედი
და ბედის იქით ასო
და ასოს მერე სიტყვა
ქმენი და როგორ ქმენი.

შეგექმნა პატარა მილი,
თავსა და ბოლოში ღია
და მილში ივლიდა წყალი
და წყალში ივლიდნენ თევზნი.

* * *

ჩიტი ვარსკვლავებს იპარავს,
ფოსტალიონი წერილებს,
ძილი სიკვდილის ასლია,
სიზმრებს გიგზავნი მეილზე.
არაფრის იქით ბოლო ცა,
თითები წერილს კენკავენ,
მე ძილი უნდა მენახა,
სიზმრიდან გამოგეპარე.

* * *

წიგნი, ნათურა,
ყვითელი ზოლი,
გინდ დაიჯერეთ,
გზაზე წევს ზებრა.
გაზეთში ორი
ამბავი არის,
კარგი და ცუდი,
ცუდი და ყველა.
ჰაერის ზვავი
მიწიდან მოდის,
არის სიჩუმე
ყოველთვის გვიან,
ვიდრე სინათლე



სინათლე არის
და სინათლესთან
სინათლე მიაქვს.

* * *

ახლა ცხადში უნდა გაიღვიძო,
სიზმარს მიედები, მოედები,
ხედავ, არსებული სახეები,
როგორ იცვლებიან მოედნებზე.

გარეთ ამინდია არჩევაზე,
გზები ერთმანეთზე ლაგდებიან,
მიდის ავტობუსი ხალხის თხოვნით
და დრო, ყველა შხამზე მავნებელი.

ღამე, რომელ ცაზე ჩაიკეცა,
მახსოვს მისამართის გაორებით,
ახლა ცხადში უნდა გაიღვიძო,
სანამ ამინდები აურევენ.

* * *

მიდიოდა ცაზე კაცი,
მიდიოდა სახლში ის
და მიჰქონდა ერთი მთვარე,
ორი პური, ბოთლი - რძის.

სანამ მთვარეს აანთებდნენ,
აანთებდნენ სანამ მზეს,
პირად ჩრდილში იდგა კაცი
და იმ ჩრდილზე იდო გზა.

...და სიბნელე იყო მაინც,
კაცის ტოლი სიბნელე,
სანამ მთვარეს აანთებდნენ,
აანთებდნენ სანამ მზეს.

* * *

ცა - ერთი დიდი ფანჯარა,
იმედის ერთი ნაპირი,
ბავშვმა თვალებით შეჭამა
ნაყინი.

ცივი და თეთრი სიშორე,
მონათესავე ფანჯრიდან,
ვკითხულობ თოვლზე, კედლებზე,
მარცხენა უდრის მარჯვენას.

ყოფნა, თუ გარემოება,
რომელი რომელს აჯობებს,
თუ წამი არის მათ შორის
და ერთი, გიჟი ფანჯარა.

* * *

სიზმარი, სხვისი ღამიდან
და არსაიდან მოსული,
შენი თვალები - ჩასული
და ბედი, ძლევამოსილი.

კარებზე არის წარწერა,
აუცილებლად შეაღეთ,
მოვედი დროის მანქანით,
მაგრამ ხელით ვერ შეგეხე.

არარსებული მანძილი,
სინათლე უკვე დრეკადი,
სიზმარი, სხვისი ნომრიდან
სხვის ფიქრში გადარეკილი.

სიზმარი, სხვისი ღამიდან
და არსაიდან მოსული,
შენი თვალები - ჩასული,
ვით ბედი, ძლევამოსილი.

* * *

სინათლის ათვლის წერტილი,
სინათლე მოდის საიდან,
მე ვიცი, საით მივდივარ,
რომ ამომშლიან სიიდან.

დამახსოვრებულ სიჩუმეს,
კალენდარს, ზოგჯერ ნაკიანს
და სიზმარს - სულის იდეას,
თავისუფლება აკლიათ.

ქალაქში დადის ამბავი,
ამბობენ, უნდა დაღამდეს,
საიდან მოდის სინათლე,
ან საით მიდის,
ნახვამდის.

სინათლის ათვლის წერტილი,
სინათლე მოდის საიდან,
მე ვიცი, საით მივდივარ,
მეც ამომშლიან სიიდან.

* * *

სიზმრის ძეგლი, როგორც ფიფქი,
ფიფქი, თითქმის თეთრი ღამე,
ცხრა სიცოცხლე გქონდეს, მიჯრით,
ბედმა თუ არ გაგიღიმა.

გაზეთების იდგა რიგი,
ჩიტი ცაზე აღესრულა,
გზიდან ცისკენ გასასვლელით
მზე სხვის თვალში გადასული.

კედლის საათს ფიფქი აზის
და ერთ სიზმარს ვხედავთ ყველა,
მომიყევი, რა იგრძენი,
მამალმა რომ დაიყივლა.

* * *

ჩიტები არღვევენ საზღვარს,
სინათლეს სინათლე ადევს,
რაც უფრო შორს არის სახლი,
სახლიდან გადიხარ ადრე.

სიტყვებში ოცნების ტყეა,
ქაღალდზე სიტყვების დეპო,
შენ ხარ არსებულზე ცოტა
და არარსებულზე მეტი.

* * *

ეს ფანჯარა, იმ ფანჯრის,
უკვე მეგობარია,
ერთი ქუჩის და სახლის
ერთ კედელზე არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთს რომ ბავშვის თითები
და ტუჩები ლოკავენ,
ამ მეორეს, ფარდების
ენებს დაუმოკლებენ.

სახლებს შორის ქუჩები,
ჰაერს გაატარებენ
და ჩვენ შორის დრო იდგეს,
იმედივით პატარა.

აწვალებენ ცრემლები
მაგ თვალების საკეტებს,
მოდის მერე სიბნელე
და საკეტებს აკეთებს.

მან, მე, როცა მასწავლა,
თვლა თითებზე, ათამდე,
ზოგი სკოლას (დიდ სკოლას)
და მე სიზმრებს ვამთავრებ.

ეს ფანჯარა, იმ ფანჯრის,
უკვე მეგობარია,
ერთი ქუჩის და სახლის
ერთ კედელზე დადიან.

* * *

ეძებენ გზები ხიდებს,
თვალები - მზეზე ლაქებს,
სიცოცხლის გადამკიდემ
ვეღარაფერი ვნახე.
ნამდვილი სიზმრის ბოლო
სოფლის ბოლოზე გადის,
ხსნიან საიდუმლოებს
ამომხსნელები მათი.

* * *

...და სიზმარში შევიხედე,
საქმე მქონდა არაფერი,
წამის გვერდზე იდგა სკამი,
სკამზე ჩიტი, გადამფრენი.

ბრწყინვალებდა დარდის თოვლი,
სინანული - ქვაზე ჭრელი,
ყველაფერი იყო ლანდი,
გზებიც, გზების გადამჭრელი.

მერე ლანდმა ლანდი შობა,
ყველაფერი გახდა ჩემი,
სიმარტოვეც, სკამზე ჩიტიც,
დანარჩენიც.

* * *

დუმს ღმერთი და ეს დუმილი -
არც ოქრო,
არც ორთქლი,
ან რამე,
არარსებობა არის
არარსებობის ბრალი.
გზაზე ფოთოლი გარბის
და უსწრებს ავტომობილს,
ცაზე - კედელი,
კედელზე - სიზმრების კატალოგი.
ქვით განგმირული ჩიტი,



იმ ქვასთან ერთად გდია,
და ეს დუმილი, მათი,
უცნაურია ფრიად.

* * *

ან რა ძალა ჰქონდა სიტყვას,
რა სინაზე დაჰყვა ლურსმანს,
იმეორებს სარკე იმას,
სიმარტოვე რასაც უსმენს.

განა ცუდი ბიჭი იყო
(რა გაგრძელდეს, რაც არ სუნთქავს)
კიბეები აირბინა,
მზეს მალავდა კედლის უკან.

* * *

ჩათრევას ჩაყოლა ჯობია,
ათრევას - აყოლა, ალბათ,
გზაზე ცხოველების ჯოგია,
ან, ბან.

განდგომილ ცხოველებს სიშტერე
ხიდან ჩამოსვლისას დაჰყვათ,
შენ უსასრულობით ისვენებ,
ყველაზე დაღლილი, ალბათ.

* * *

ხეს ჭრიან,
ჩიტები ტირიან,
მდინარე ამოდის აღმა,
სიჩუმის ლანდები ჩნდებიან,
დგებიან სინათლის ნაღმზე.

დღეები საათებს ითვლიან,
ყველაფერს გავცვლიდი წამზე
მენახა მზედ როგორ იქეცი,
მამალმა იყივლა სამჯერ.

* * *

ფოთლის ფარდა,
ნისლის მინა,
ცას ღრუბელი აბიბინებს,
კალენდარზე სიზმარია,
სადღაც გარბის ლოკოკინა.

სიზმარია,
სიმწვანეა,
სიმრგვალეა მოედნების,
გამოვედი სინათლიდან,
სხვა სინათლეს მოვედები.

გაიხედე,
მზისგან მარჯვნივ,
დევს სიზმრების იმპერია,
ყველაფერი სიჩუმეა,
ყველაფერი გზის მტვერია.

ნისლის ფარდა,
ფოთლის მინა,
ცას ღრუბელი აბიბინებს,
კალენდარზე სიზმარია
ლოკოკინის.

პოეზია
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბელა ჩეკურიშვილი

ჩემი პატარა ინსექტარიუმი

პეპლები

სატრფოს ყურზე მოთამაშე ოქროს საყურემ
პეპლის ფარფატი გაახსენა
ერთ ქართველ პოეტს
და მის ნაცვლად ყოფნა ინატრა.

ოქროს პეპელა
დაჰფრენია სხვა პოეტის საყვარლის საფლავს
გერმანიაში,
როგორც ოცნება -
მიუღწეველის და გარდასულის.

და ამ ოქროს რკალს
ჩანგის სიმის წკრიალით არხევს
ძველი სიმღერა,
ადევნებული
წითელმხრებიან პეპელას და წითელ კაბას,
სადღაც, შორ გზაზე,
რადიოში რომ ვუსმენდით
ერთხელ მე და შენ
და ერთმანეთს მხრებით ვეკვროდით.



კალიები

თითქოს მოთიბული ბალახი გაშალეს
და ახლა სიო აშრიალებდა,
რაღაც ამგვარი გავიფიქრეთ,
საღამოს სახლში რომ ვბრუნდებოდით
და ავტობუსიდან ქუჩას ვუცქერდით.

მერე კი, გავლა დავაპირეთ ამ ბალახში და
ერთხმად ავკივლდით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ფეხის შეხებაზე რომ ამოძრავდნენ
და
ხტუნვა-ხტუნვით წამოიშალნენ.
ჩვენც მეტი გზა აღარ გვქონდა,
უნდა გვეხტუნა, სახლთან როგორმე რომ მიგვეღწია.

ცოცხალ არსებებს ვაბიჯებდით,
სხვა გზა არ გვქონდა,
ისრისებოდნენ, ვხედავდით, ვკლავდით,
სხვა გზა არ გვქონდა,
ირხეოდნენ, ჩვენს გარშემო ბორიალობდნენ, უკან მოგვდევდნენ...

იმ დღეს თბილისმა კალიების შემოსევა იხილა
და არქაული მითი გაცოცხლდა
რაღაც ცოდვაზე, თუ სასჯელზე.
ფრთებდაგლეჯილი კალიები -
როგორც ზიზღი და იქვე, გულში, სინდისის ქენჯნა,
კარგა ხანს გაჰყვა ქალაქს, როგორც ცუდი სიზმარი.
თუმცა ესეც მოინელა,
და დღეს სიცილით იხსენებენ,
ოთახებში შემოფრენილებს როგორ დასდევდნენ
და ცოცხით კლავდნენ.

კოღოები

რა იქნებოდა ჩვენი ბავშვობა
სოფლისა და არდადეგების გარეშე?
რა იქნებოდა არდადეგები იმ ზაფხულების გარეშე?
ის მზით გათანგული დღეები და კოღოს წივილით სავსე ღამეები
ძმრის სუნით რომ გვბანგავდა
და
სინამდვილისა და წარმოსახვის გზაგასაყარზე დაგვატარებდა.

ძილისწინა რიტუალი იწყებოდა ძმრის ჩამოსხმით დოქიდან ჯამში,
სანოლთან სკამი, სკამზე ჯამი,
ჯამში ტილოს დასველება, თავთან დაფენა,
ძმრით გაჟღენთილი თეთრი ზეწრები ფრიალებდნენ ღია ფანჯრებზე.
ძმრის სუნი იყო ერთადერთი,
ფერად სიზმრებს
კოღოების თავდასხმისგან რომ დაიცავდა -
ასე სჯეროდათ ჩვენს ბებიებს
და ლამის მთელი გაზაფხული აძმარებდნენ დოქებში ღვინოს,
სიყვარულის სახელით რომ ებრძოდა მწერებს,
რომლებსაც ჩვენი სიყვარული ასევე სურდათ
და ჟინიანად გვეტანებოდნენ
ყელსა და მხრებზე, მუცლებზე, ზურგზე...
და დავდიოდით ამ სიყვარულით აღბეჭდილები,
ბებიები კი ვიშვიშებდნენ
კოღოს ნაკბენზე,
წითელ-წითელ ყვავილებად რომ გვიღუოდა.

ჭიანჭველები

მთავარი გმირი ჭიანჭველა იყო ყოველთვის.
ეხერხებოდა მამაჩვენს ზუსტი შედარებები,
ჰიპერბოლები,
ერკვეოდა მხატვრულ ხერხებში,
არ უჭირდა, გამოეხმო შთამბეჭდავი მეტაფორები,

პოეზია
ეროვნული
ბიბლიოთეკა

როცა საქმე დიდაქტიკას შეეხებოდა.
ჭიანჭველა იყო ურყევი მაგალითი
სიბეჯითის, შეუპოვრობის,
როცა ცდილობდა სკოლის საგნებში ჩვენს წაქეზებას.

ამ პაწაწინა, მცოცავ არსებას
სიძლიერით ხომ ვერავინ შეედრებოდა,
რომელი ლომი ან ვეშაპი -
ჭიანჭველას
თავის წონაზე ათჯერ უფრო მძიმე ტვირთი დაჰქონდა მხრებით.
და მერე მათი ქალაქები?
მათი ჯარი? მათი წესრიგი?

გაზაფხულობით,
მთელი ლაშქარი ასკდებოდა თბილისური ეზოს აივანს.
აკაციის ტოტებს მოსდევდნენ ყვავილის სუნზე,
დაცოცავდნენ მოაჯირებზე, კედელ-კედელ, ფანჯრის რაფებზე,
შემოდგომამდე ალყაში ვყავდით.
შეუპოვრობით გვაცლიდნენ ძალებს
და ბრძოლაში მუდამ გვიგებდნენ -
ამაო იყო სოდა, ვანილი, ცარცის ხაზები...

აკი ვისწავლეთ სიჯიუტე სამივე და-ძმამ
და მძიმე ტვირთსაც გამრჯედ დავათრევთ.
მაგრამ არ ვიცით, გამარჯვება ვის მხარეს არის,
ან ვის ომში ვართ,
რომელ ლაშქრის წევრად ვითვლებით.

Bombus terrestris

ბზუილის ხმას გავიგონებდით
და იქვე შავად მობუბუნეს მოვკრავდით თვალს,
მაყვლისა და ანწლის ბუჩქებზე,
დამჯდარი რომ არც დაგვინახავს.
უფროსები კი იტყოდნენ: აი, მოვიდა,
გაზაფხული გვახარა და კარგი ამბები.

მე საკუთარსაც ვაგებებდი -
სურვილს ვუთქვამდი,
შევცქეროდი როგორც თილისმას,
განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც
მის ბზუილზე ბიჭი შემომხვდა,
ვის სახელსაც მთელი წელი ვიმეორებდი
და მერეც კიდევ მრავალი წელი
და სულ მეგონა, მახარობელამ მოიყვანა მაშინ ის ჩემთან.

თინეიჯერი გოგოები არ ფიქრობენ, ლათინურად რა ჰქვიათ მწერებს,
არც მათი ნამდვილი სახელები აინტერესებთ,
თუკი ხალხში არსებობს სიტყვა : მახარობელა -
ამბის მომტანი, სურვილების ამსრულებელი.
დღემდე ვინთები მის ზუზუნზე,
ათას ხმაში გამომერჩევა,
თუნდაც ვიცოდე, ერთი ველური ფუტკარია,
უსარგებლო,
არც თაფლს იძლევა,
თუმცა კი, თუ დავუჯერებთ ვიკიპედიას,
მისი ყოველი გამოჩენა ადასტურებს,
რომ ჩვენს მახლობელ ეკოსისტემას ჯერ არც ისე ცუდად აქვს საქმე.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ქეთევან კოკოზაშვილი

ფრანგულის გაკვეთილები

გივი გეგეჭკორის მეხუთე დრო



2023 წლის 24 იანვარს გივი გეგეჭკორის 90 წლის იუბილეა. გივი გეგეჭკორისნაირი ადამიანები ქალაქის სახე-სიმბოლოები არიან თავიანთი ცხოვრების წესით, უბრალოებითა და სისადავით, ზნეობრივი თუ კულტურულ-ინტელექტუალური ღირებულებებით. "ამ ქალაქიდან მე არსად წავალ..." - სულ იქნება და გამუდმებით გვაგრძნობინებს, რომ სიტყვა არის მისთვის ადამიანური ყოფის სულიერი პირველსაწყისი.

ამ წერილის სათაურმა არ შეგაცდინოთ და არ იფიქროთ, რომ მხოლოდ მის თარგმანებზე უნდა ვისაუბრო. ასე არ არის და, ალბათ, ესეც ბედი და ბედისწერაა ადამიანისა, რომ ორი მიმართულებით მოუწიოს შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენა, ერთი მხრივ, საკუთარი ორიგინალური პოეზია და, მეორე მხრივ, თარგმანი. გივი გეგეჭკორი ორივე მიმართულებით ერთნაირ შემოქმედებით სიმაღლეზე იდგა, არც მის პოეზიას დაჰკლებია რამე და მთარგმნელობით სამყაროშიც თავიდანვე დაიმკვიდრა გამორჩეული ადგილი. "ძნელი გამოდგა ერთდროულად ორი ბატონის - ქართული და ფრანგული პოეზიის სამსახური", წერს თავად "ფრანგული პოეზიის" შესავალში, თუმცა მან ეს ბეწვის ხიდი მშვენივრად გაიარა, პირიქითაც კი მოხდა, მისი შემოქმედების ეს ორი შენაკადი ერთმანეთს განაპირობებდა კიდეც. მთარგმნელი უკვე თავის თავში ატარებს სხვა კულტურულ-ენობრივ სისტემას და, როცა ერთი კაცის აზროვნებაში, გულსა და გონებაში ორი სხვადასხვა მხატვრულ-ესთეტიკური გამოცდილება გროვდება და მათი თანხვედრა ხდება, შემოქმედებითი პროცესი უკვე სხვაგვარად წარიმართება. თარგმნა და განსხვავებულ პოეტურ-ირაციონალურ სამყაროსთან ურთიერთობა ორმხრივი პროცესია - ამ დროს ადამიანი გასცემს და თან მიიღებს კიდეც. ცხადია, ევროპულ ლიტერატურასთან ასეთი სიახლოვე გარკვეულ და თავისებურ გავლენას ახდენდა გივი გეგეჭკორის პოეტურ აზროვნებაზეც. რასაკვირველია, აქ არ იგულისხმება გავლენა პირდაპირი მნიშვნელობით. უბრალოდ, როცა ფრანგული ენის სილბო, მისი ნაზალური ბგერების ღუღუნა მუსიკა და ჟღერადობა მშობლიურივით გაგიხდება და სმენასა და მეტყველებაში გაგიჯდება, თავისთავად, ძალდაუტანებლად და ბუნებრივად აისახება რიტმში, რიმაში, სიტყვათწყობასა და ზოგ შემთხვევაში ლამის ბგერწერაშიც კი. სწორედ ამაშია "ფრანგულის გაკვეთილების" არსიცა და ხიბლიც. სიტყვათწყობა ვახსენე და, რა თქმა უნდა, წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით, სრულიად განსხვავდება ქართული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგული ენების ბუნება და სინტაქსი, მე აქ მიდგომა ვიგულისხმე, პოეტური ტექნიკის ფლობა და ფრაზაზე მუშაობისას ფილიგრანული ოსტატობა.

არაერთხელ წამიკითხავს და მომისმენია, თითქოს გივი გეგეჭკორის შემოქმედებას სათანადოდ არ იცნობს მკითხველი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ეს მოსაზრება, ალბათ, მისი ცხოვრების წესიდანაც მომდინარეობს. ის იყო ნამდვილი ინტელიგენტი, ჩუმი, უხმაურო, თავმდაბალი, არაამბიციური ადამიანი, განრიდებული ყოველგვარ სამწერლო ხმაურსა და ორომტრიალს, ცოტა ასკეტივით ჩაფლული მხოლოდ ლიტერატურულ საქმიანობაში. ასეთი ადამიანები ჩემთვის ოთახის სიმყუდროვის ადამიანები არიან, საწერ მაგიდასთან განმარტოებისა და ფუსფუსის, ფიქრის, თავის თავთან დარჩენის, პოეტური მედიტაციის, საკუთარ სულიერ სამყაროში ჩაღრმავების ადამიანები; არ გაერეოდა ზედმეტ სამწერლო ფაციფუცსა და ორომტრიალში, არც ძვირფას დროს დაკარგავდა მსგავს რამეზე. ერთ უმთავრესში კი ნამდვილად გაუმართლა, მისი მკითხველი მხოლოდ დახვეწილი გემოვნების, პოეზიის კარგად მცოდნე, საუკეთესო მკითხველია და, დარწმუნებული ვარ, სხვას არც არაფერს ინატრებდა.

გივი გეგეჭკორის პოეტური სამყარო სრულიად სხვა ლიტერატურული ესთეტიკაა. მისი პოეზია ინტელექტუალური პოეზიაა, სიტყვის, რიტმის, აზრის სრულიად მოუხელთებელი, უფაქიზესი ნიუანსების წვდომა და მოხელთებაა. სნობიზმითა და ზედაპირული ინტელექტით, მედროვეობითა და მერკანტილიზმით გაჯერებულ ჩვენს ყოფიერებასა და ყოველდღიურობაში, "როცა სიტყვას უფფულად ანდა ღიმილს უფასოდ არვინ გაიმეტებს", გამონათებასავით არის მისი დახვეწილი, ნატიფი, რაფინირებული პოეტური სიტყვა.

გივი გეგეჭკორის ესთეტიკაზე როცა ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ ზოგადად მისი პოეტური და ესთეტიკური პრინციპები და შეუდარებელი სალექსო "ტექნიკა", რიტმული სტრუქტურა და სრულიად თავისებური, განსაკუთრებული სინტაქსური კონსტრუქციები, რომლებიც სწორედ რიტმის თავისებურებებს ემორჩილება და მიჰყვება. მას არ ჰქონდა არავითარი მუსიკალური განათლება და ამიტომაც აქ მახსენდება მალარმეს "რიტმის ინსტინქტი". სწორედ ეს თავისთავად არსებული პულსაცია აძლევს შინაარსს სამყაროში არსებულ ფორმებს და გივი გეგეჭკორი თითქმის ზედმიწევნით სწვდება პოეტური შინაარსისა და ფორმის ასეთი ერთიანობის ყოველგვარ გამოვლინებას. "პოეტის სული რიტმიული მთლიანობაა", - ესეც მალარმეს სიტყვებია და ეს მთლიანობა მრავალფეროვნად და, იმავდროულად, გასაოცარი ოსტატობითაა დანაწევრებული მის ლექსებში. მინორული თუ მაჟორული განწყობის, ადგილისა თუ დროის მიხედვით რიტმის ტალღისებური მუდმივი მოძრაობითა და მონაცვლეობით განსაკუთრებული კოსმოსური წესრიგი იქმნება. რიტმი მონაცვლეობს არა მხოლოდ ლექსიდან ლექსში, არამედ ლექსის შიგნით სტროფიდან სტროფში და ზოგჯერ სტრიქონიდან სტრიქონში. სწორედ მისი პოეტური კონცეფციაა ის სიტყვები, ანა კალანდაძის პოეზიაზე რომ დაწერა:

"იგი აღმართულია
რიტმისა და მუსიკის
ვიწრო ხეობაში..."

რითმიანი ლექსების უმრავლესობა ისე ტაქტიდან ტაქტშია აწყობილი, ისეთ მელოდიურ ჰარმონიას ქმნის, შეიძლება ვინმემ, მუსიკის ჩემზე უფრო ღრმად მცოდნემ, რომელიმე კონკრეტულ მუსიკალურ ნაწარმოებსაც კი მიუსადაგოს. ამიტომ აღარ გვიკვირს ლექსი, რომელსაც პირდაპირ ასე ჰქვია - "შოპენი. კონცერტი რე მინორი". მუსიკის აღქმა და სიტყვებით გამოხატვა ერთდროულად ასეთი სინაზითა და სიმძაფრით, ასე ყველა რეგისტრითა და სიცხადით არის მართლაც "იდუმალთან ზიარების" უინტიმურესი აქტი და თითქოს შიშველი ნერვით შეიგრძნობა "ტკბილი ნაღველით შერეული სულის კადანსი". მამის გამოცხადება სიზმრის ხილვებში კი ასეთია - "მოვა, როგორც მსუბუქი მენუეტი მოცარტის". მუსიკა ხშირად იქაც კი იგრძნობა, სადაც არც მისი საყვარელი შტრაუსის "ვალსია" და არც საყვარელი ინსტრუმენტები, როიალი და ფლეიტა, მაგ. როცა ბატისტის თხელი ცხვირსახოცი შუბლთან აშრიალდება ან ქალიშვილის თეთრ მუხლებზე ნელი შარიშურით გადაიშლება კაბის პლისები...

გივი გეგეჭკორი მრავალმხრივი ინტელექტუალი იყო. მან შესანიშნავად იცოდა მხატვრობაც და ხელოვნების ეს სფერო იმდენად სიღრმისეულად ახლობელი იყო მისთვის, რომ არაერთი ესე აქვს დაწერილი ქართველი მხატვრების შემოქმედებაზე. ფერწერის, მუსიკისა და სიტყვის ჰარმონიით, ასე სინთეზურად აღწევს იგი სამყაროს ხედვასა და შემეცნებას, მეტაფიზიკურის წვდომას. მის პოეზიაში ყველა კომპონენტი ერთმანეთს ეხამება, ერთმანეთს ავსებს, ერთმანეთს ერწყმის და ასე იქმნება საბოლოოდ გივი გეგეჭკორის პოეტური სამყარო. მის ლექსებში პოეტური სახეების, სიტყვიერი ქსოვილის, საერთოდ მისი პოეტური აზროვნების სინატიფე ფერწერასთან ასეთი სიახლოვითაც აიხსნება. ამიტომაც აქ ფერს, ფერწერულ ნიუანსებს, ხაზს, საგანს, სურათს, ვიზუალიზაციას მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს. ამ სიფაქიზეს, სინატიფესა და ჰაეროვნებას ზოგჯერ ძალიან ყოფით, პროზაულ და უბრალო საგანსა თუ მოვლენაშიც გვაგრძნობინებს. მაგ. მას შეუძლია ჩვეულებრივი თეთრეული ასე დახატოს: "მერე ღამით გეხება თეთრი ალერსიანი ზედაპირი ზეწრის..." ან წყლის წვეთებით დანამული კარის ფიცარზე თქვას - "დგას და ცრემლად იღვრება ცრემლიანი ქალწულის ჩუმი სინატიფით..." ან "ხელს რომ მოგიითამუნებს ატმის რბილი ხაო..."

მე შევეცადე, წერილი არ გადამეტვირთა ლექსებით, ძალიან ძნელია გამოყო რომელიმე, თუმცა



ამ შემთხვევაში "ფრანგულის გაკვეთილი" აუცილებლად ცალკე უნდა გამოვყო. ფრანგულ-ქართულის ზღვარზე შერჩეული ლექსიკა, ფერწერა, ბგერწერა, რიტმის მონაცვლეობა, გამოუცდელი მოსწავლის ბაგეზე შოკოლადივით დამტვრეული უცხო სიტყვების ულერადობა; აქ ზმნის უღლება ჯადოსნური პროცესია და არა მოსაწყენი პროზა, ქართული და ფრანგული ენების ჰარმონია, მათი ხმოვნებისა და თანხმოვნების ტრემოლო ერთმანეთს ერწყმის და ქალის ხმა "ნაზი ვიოლინოა", აქ აბაჟურისა და მუსლინის ბურუსში დეგას ცისფერი ბალერინები ირეკლებიან და შმაგი რაინდის, როლანის, ლანდი ჩნდება:

ჯადოსნურია, რაც იმ ოთახში
განმეორდება ხვალაც და ზეგაც,
როცა კედლიდან მწუხრში ცისფერი
ბალერინებით გადმოვა დეგა.

შენ თავს დააღწევ მუსლინის ბურუსს,
როცა განდევნის მათ აბაჟური,
ხარ დაბნეული და უსუსური,
შენი ღიმილი არის ბავშვური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ უნდა იჯდე ტანმორჩილ ქალთან,
უნდა უსმინო და დაემონო,
მისი ხმა ნაზი ვიოლინოა
და გეფერება მისი ტრემოლო.

არაფრანგული შენი ბგერები
თითქოს თრთიან და თითქოს გეკვრიან,
დღეს რომ ფარფატებს შენს მაგიდაზე
მისი ღიმილის ანარეკლია.

ამ ერთიან კოსმოსურ სივრცეში იმდენი ფერი, იმდენი გამა, იმდენი სიტყვა, გრძნობა, ტკივილი, სიყვარული, პოეტური სახე, ბგერა, აზრი, დარდი თუ სიხარულია, იმდენი გამჟღავნებული თუ სტრიქონებს მიღმა დაფარულია, შეუძლებელია ყველაფერი ჩატიო ერთ წერილში. ამიტომ ლოგიკური იქნება, ფრანგულის გაკვეთილები გავაგრძელო, მით უმეტეს, რომ გივი გეგეჭკორის თარგმანები მისი შემოქმედების განუყოფელი ნაწილია. მან კარგად შეისწავლა და გაითავისა ფრანგული ალექსანდრიული ლექსის თორმეტმარცვლიანი წყობა, მისი ბუნება და თავისებურებები და უზარმაზარი შრომა გასწია იმისათვის, რომ ფრანგული პოეზიის ანთოლოგია მოემზადებინა და თითქმის ოცი წელი მოანდომა ამ საქმეს. მართლაც ძალიან დიდი ნიჭი, დიდი პოეტური მასშტაბი და დიაპაზონი სჭირდება იმას, რომ ქართულად სრულად გადმოიტანო ასე განსხვავებული ნაწარმოებები, სრულად ჩასწვდე ენის მრავალფეროვან რეგისტრს, უფაქიზეს ნიუანსებს და შექმნა ახალი პოეტური ხელწერა.

გასტონ ბუაჩიძე ამ ანთოლოგიას საინტერესო წერილს უძღვნის ("შუქი სულისა") და წერს: "ფრანგული პოეზია ადამიანის შიდა სამყაროს განზოგადებისკენ ილტვოდა, ქართულ პოეზიას აღმოსავლური სიბრძნის ელფერი გადაჰკრავს, აღმოსავლური თვალისმომჭრელი სამკაულებიც ამშვენებს და ლირიზმითაც უხვია, თუმცა ლირიზმი არც ფრანგულ პოეზიას მოჰკლებია... ორივე პოეტური ტრადიცია ერთიმეორეს ავსებს და ამდიდრებს, მათი შეპირისპირებით სამყაროს შემეცნებაში ახალი ნახნაგები წარმოგვიდგება. საგულისხმოა ახალგაზრდა ტიციან ტაბიძის მიერ ერთხელ გამოთქმული სურვილი, ეხილა რუსთაველისა და მალარმეს თავისებური სინთეზი. ეს ამოცანა, რა თქმა უნდა, მიუღწეველია, მაგრამ ამ ორი პოეტური ტრადიციისათვის დამახასიათებელი ტენდენციების შეხვედრა მაინც დიდი საქმეა".

სანამ "ფრანგული პოეზიის" კრებულზე, გივი გეგეჭკორის მთარგმნელობითი მოღვაწეობის მთავარ წიგნზე, გადავალ, ჯერ მის სხვა თარგმანებს გადავავლოთ თვალი. მან სრულად თარგმნა "როლანის სიმღერა", ურთულესი ფრანგული საგმირო ეპოსი და ცალკე წიგნადაც გამოსცა (მოგვიანებით პოეტური ანთოლოგიის სრულ გამოცემაშიც შევიდა). ამ მშვენიერ თარგმანს რატომღაც იშვიათად ახსენებენ ხოლმე, არადა ეს იყო რამდენიმეწლიანი სერიოზული მუშაობის შედეგი და საბოლოოდ მივიღეთ არაჩვეულებრივი ქართული ვერსია. არანაკლებ მნიშვნელოვანია პროზაული ნაწარმოებებიც. ტარიელ ჭანტურიასთან ერთად არის ნათარგმნი ჰერმან მელვილის "მობი დიკი", თუმცა ჩემთვის უფრო საყურადღებოა ფრანგული პროზის ორი ძალიან საინტერესო წიგნი, რომლებიც შვილთან, ირაკლი გეგეჭკორთან, ერთად ითარგმნა: ჟორჟ ბერნანოსის "მუშეტის ახალი თავგადასავალი" და განსაკუთრებით ალენ ფურნიეს "დიდი მოლნი". ეს დაუვიწყარი რომანია, ერთნაირად მიმზიდველი დიდისთვის თუ პატარისთვის. ოგიუსტენ-მოლნის ყოვლისმომცველი სიყვარული და საიდუმლოებით მოცული უცნაური ციხეკოშკის ტალანები... "დიდი მოლნის" ზღაპარი და სინამდვილე, ეს ჯადოსნური ამბები სულ მუდამ იქნება ქართველი მკითხველის ერთ-ერთი უსაყვარლესი წიგნი. აქ ჩანს გივი გეგეჭკორის დახვეწილი სამწერლო მანერა. პოეზიას მაინც თავისი განსაკუთრებული ენა აქვს და, ასე ვიტყოდი, სხვა ენობრივი განზომილებაა, სულ სხვა ენობრივი ფენომენია. პროზაში მთელი სიცხადით გამოჩნდება ხოლმე, როგორ ფლობს მთარგმნელი ქართული ენის სიღრმეებსა და ხვეულებს, სტილისტურ თავისებურებებს და აქ, მართლაც რომ, გივი გეგეჭკორის უბადლო ცოდნა ჩანს. ეს ის შემთხვევაა, როცა ადამიანს სიტყვის გრძნობა ინსტინქტის დონეზე აქვს განვითარებული და იმთავითვე თან დაჰყვება არა მხოლოდ პოეტის, არამედ ზოგადად სიტყვის გურმანის ალღო. თითოეულ ფრაზაში, თითოეულ სიტყვაში კარგად ჩანს ორი ენის იგივეობისა და განსხვავებულობის ზღვრის შეგრძნება. ეს კი ზუსტად მიანიშნებს, რომ გივი გეგეჭკორი პროზაშიც ისეთივე მოაზროვნე მთარგმნელია, როგორც პოეზიაში.

აი, ასე ბუნებრივად გვიწევს გადასვლა ამ პოეტური წიგნიდან დიდ პოეზიაზე. მთარგმნელის გემოვნება, მისი ესთეტიკური პრინციპები ყოველთვის გამოკვეთილად ჩანს სათარგმნი მასალის შერჩევაში. გივი გეგეჭკორმა ოცდახუთი ფრანგი პოეტის შემოქმედებიდან შეარჩია ლექსები. "ფრანგული პოეზია" თითქმის ოთხ საუკუნეს მოიცავს. ყველაზე მეტი ლექსი გიიომ აპოლინერისაა. ეს ბუნებრივიცაა, მისი კრებული ჯერ კიდევ 1972 წელს გამოიცა. როდესაც აპოლინერის "ზონა" ქართულად პირველად დაიბეჭდა და გამოჩნდა, ეს თარგმანი იქცა მოვლენად მაშინდელ ქართულ მთარგმნელობით სივრცეში. "ძველმა ქვეყანამ მოგაბეზრა მოქანცულს თავი", ამ სიტყვებით დაიწყო ახალი ფრანგული პოეზია და აპოლინერის რიტმის ელვისებური გრადაცია, ხან ვერლიბრისა და ხან რითმიანი სტროფების მისეული მოულოდნელი, უცნაური და ზოგჯერ ცოტა პრეტენზიული მონაცვლეობა და წარმოუდგენელი პოეტური ექსპერიმენტები. ეს ყველაფერი უდიდესი ოსტატობით არის გადმოტანილი ქართულად. სხვაგვარად არც შეიძლება, რადგან გასაგებია ფორმითა და

შინაარსით გამორჩეული ამ ლექსის ადგილი არა მხოლოდ "ალკოჰოლებში", არამედ მთლიანად აპოლინერის შემოქმედებაში და საერთოდ ფრანგულ პოეზიაში.

"ძნელი გამოდგა სხვისი ოთახების ჰაერით სუნთქვა, სხვისი დღესასწაულის საკუთარ დღესასწაულად ქცევა", - წერს გივი გეგეჭკორი. პოეტური თარგმანის სიძნელესაც და სირთულესაც ბევრი სხვადასხვა მიზეზი აქვს, ამიტომ თარგმანის თეორიაში არაერთი მოსაზრება არსებობს და რამდენი თეორეტიკოსი თუ უბრალოდ, ამ საკითხით დაინტერესებული ლიტერატორი თავის აზრს გამოთქვამს და თავის რეფლექსიას გაგვიზიარებს, იმდენი თავისებური და განსხვავებული შეხედულება იბადება. ზოგი მიიჩნევს, რომ პოეზია პოეტმა კი არა, პოეზიის კარგად მცოდნე ლიტერატორმა უნდა თარგმნოს, რადგან პოეტს თავისი ხელწერა, თავისი სტილი გადააქვს თარგმანში და ეს ორიგინალის ტექსტს არ უხდება. არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ პოეზია უთარგმნელია. ზუსტად ვერასდროს გადმოსცემ სხვა ენაზე ორიგინალის განწყობას, რომ აღარაფერი ვთქვათ ენობრივ სამყაროზე, მაგრამ თანამედროვე ფრანგი პოეტის, ფილიპ ჟაკოტეს თქმით, "ამ მოსაზრებას აბათილებს ყოველი ახალი კარგი თარგმანი". რასაკვირველია, პოეზიას თავისი ენა აქვს და აქ დიდ როლს თამაშობს უნივერსალური კოდი, რომელსაც მხოლოდ პოეტი ჩასწვდება განსაკუთრებული პოეტური ალღოთი და შეგრძნებით. ლექსი ჰერმეტული გრძნობიერ-სახეობრივი მთლიანობაა. პოეტი შიგნიდან ხედავს ტექსტს მთელი თავისი პოეტური ანატომიით, ამიტომ უფრო მეტად ესმის ყველაფერი, რაც დაშიფრულია მასში.

რომ არა გივი გეგეჭკორის გამორჩეული პოეტური ალღო, უდიდესი ენერგია და თავდაუზოგავი შრომა, შეუძლებელი იქნებოდა ამდენი განსხვავებული ლიტერატურული მიმდინარეობის, ეპოქის, სალექსო საზომის, განწყობის, რიტმის, ფორმის, შინაარსის ქართულ ენაზე გადმოტანა. დაწყებული ფრანსუა ვიიონიდან, რენე შარით დამთავრებული, აქ არის უამრავი მოტივი და თემა, სიხარული და სევდა, იმედგაცრუება და ტკივილი, გულისა და გონების ჭიდილი; რონსარის ლირიზმი და ვერლენის მუსიკა, რემბოს "მთვრალი ხომალდის" თავისუფლებისკენ სწრაფვა და აპოლინერის "მირაბოს ხიდის" მღელვარე განცდა მიმქრალი სიყვარულისა, ბოდლერის სონეტები და რენე შარის ნათელი სევდა, მალარმეს სრულიად მოუხელთებელი ლექსი და პოლ ელუარის სიცხადე და ბუნდოვანება... ბოლომდე გაიგო, ჩასწვდე ყველა მინიშნებასა და ინტონაციას, მოარგო სათქმელს შესაბამისი ფორმა, ურთულესი პროცესია. გივი გეგეჭკორმა ეს სირთულე დაძლია უდიდესი პოეტური ოსტატობით. ამიტომაც არის, რომ ბევრი ლექსი ან ცალკეული სტრიქონი უკვე ძალიან ნაცნობია ქართველი მკითხველისთვის.

ყველა პოეტი ვერ ჩამოვთვალე, ეს შეუძლებელია, ისედაც კარგად იციან მათ, ვისთვისაც ეს კრებული დღემდე სამაგიდო წიგნია.

გივი გეგეჭკორი თავად აღნიშნავდა, განსაკუთრებით რთულია მუსიკალური ლექსის თარგმნა, ამიტომაც დიდი პასუხისმგებლობაა, ხელი მოჰკიდო ვერლენის პოეზიას. მისი "შემოდგომის სიმღერა" ფრანგული სიმბოლიზმის ამოსავალ ლექსად და ფუნდამენტად მიიჩნევა. გივი გეგეჭკორმა შეუძლებელი შესაძლებლად აქცია, როდესაც ვერლენის სხვა ლექსებთან ერთად თარგმნა "ჩემს სულს აწვიმს":

ჩუმად აწვიმს ქალაქს
არტურ რემბო

რა უსიტყვო ნაღველს მალავს
სული, ჩემი მეუფე.
სულსაც აწვიმს, როგორც ქალაქს
ანდა მის გარეუბნებს.

აწვიმს მიწას და სახურავს
და შრიალით ავივსე,
სევდა სულში ჩასახული
უკრავს წვიმის კლავიშზე.

ცხოვრობს სულით ეს ობლობა
ჩუმი წვიმის მეზობლად,
სულში ჩაჯდა, ვით ობობა
სევდის უმიზეზობა.

და მით უფრო არის მძაფრი
უმიზეზო ნაღველი,
არსაიდან რომ არაფრით
არის ნაკარნახევი.

პირდაპირ ვიტყვი, შეიძლება ზოგჯერ თქვან ხოლმე, რომ ამ შემთხვევაში ის ცოტა დაშორდა ორიგინალს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ორი ენის საფუძვლიანად მცოდნისა და გამოცდილი მთარგმნელის უტყუარი ალღოს წყალობით, ქვეცნობიერისა და ცნობიერის კომპლექსური შეგრძნებით შექმნა ისეთი ახალი ქართული ვერსია, რომელიც დღეს მართლა ბევრმა იცის ზეპირად და ავთენტური ქართული ტექსტი ჰგონია. ეს არის არა შეჯიბრი ვერლენთან, არა უკეთესი ვარიაციის შექმნის მცდელობა, არამედ ორიგინალის ტექსტის მაქსიმალური გაგება და წვდომა, რომ ერთი ენიდან მეორეზე სრულად გადმოიტანოს ლექსის განწყობა, რიტმი და თითქმის ყველა პოეტური ნიუანსი. ასე ხდება, როცა მსგავსი სულები ერთმანეთს ხვდებიან და იკვეთებიან წელიწადის მეხუთე დროში, პოეზიაში. თავადვე წერდა: "მხოლოდ ერთმანეთს დაეძებენ სულები ჩვენი" და პოულობენ შეუცნობელი მისტიკური ერთიანობით, რომელიც დროისა და სივრცის მიღმა არსებობს.

გუგა მგელაძე

"თოვლის ტენორის" სუსხი

ჟურნალ "კრიტიკის" ერთ-ერთ ნომერში, მანანა კვაჭანტირაძის ჩანაწერების კითხვისას, ერთი ასეთი მოსაზრება ამოვიწერე: "პოეზიაში ენა ასრულებს ყოფიერების უცნობ ფენებთან ცნობიერის კავშირის შენარჩუნების ფუნქციას. ესაა მისი განვითარების სტიმულიც. მხატვრული ენა ამ მიზნით ქმნის ახალ სასიცოცხლო ფორმებს, სწორედ ამ ფუნქციის კარნახით ახდენს თვითრეფერენციას." ამ თვალსაზრისის საილუსტრაციოდ ბათუ დანელიას ახალ კრებულში "თოვლის ტენორი" (გამომცემლობა "პეგასი"/ 2020 წ.) შესული ორი ლექსი უნდა დავიმოწმო:

თეთრი

გეტყვი როგორი თეთრი მიყვარს
არა ქალალდივით და არა ბამბასავით
და არც თოვლივით და არც რძესავით,
არამედ მიყვარს ისეთი თეთრი,
როგორიც იყო დედაჩემის თავი,
როცა, ძალიან დამცხაო და,
შავი თავშალი გადაიძრო,
რამდენიმე წუთის წინ - სიკვდილამდე.

ორი დამალობანა

დედასთან ორჯერ ვითამაშე დამალობანა
და ორივეჯერ მე დავიხუჭე -
პირველად სამი წლისა ვიყავი
და მაშინათვე მოვძებნე დედა...
ხოლო მეორედ დედა იყო ოთხმოცდასამის
და ისე მაგრად დაიმალა,
რომ დღემდე ვეძებ...

აქ წარმოდგენილ ლექსებში ასახული ტრაგიზმი (უფრო ზუსტად, ტრაგიზმის განცდის სიღრმე)

"მე ვარ პოეტი - სტროფებისა და
მეტაფორების ფორტეპიანო"
(...)
"მე ვისმენ სხვებისთვის არსმენილ ობერტონებს"
ბათუ დანელია

სწორედ ენის მეშვეობით "მოხელთებული" ყოფიერების უცნობ ფენაში, განზომილებაში შეღწევის შედეგად წარმოქმნილი ვიბრაციის შედეგია. ამდენად, კონკრეტული ლირიკული სუბიექტის პირადი ტრაგედია მასშტაბურ სახეს იძენს და დაზღვეულია ლოკალურობის "სენისგან".

"თოვლის ტენორში" სიმფონიური ორკესტრის პრინციპითაა თავმოყრილი სხვადასხვა სტრუქტურის, სხვადასხვა ემოციის ანდაც ემოციური მდგომარეობის ამსახველი ლექსები. აქ ყოველ ინსტრუმენტს თავისი უნიკალური ულერადობა აქვს, უნიკალური ხასიათი. ერთიანად კი ისინი ბათუ დანელიასეულ უწყვეტ რეკვიემს აყღერებენ.

* * *

"მე შემოდგომის ფოთლებივით ვთოვდი განცდებს
ჩემი დაფარული სიმართლის გასაშიშვლებლად"

- ვკითხულობთ ბათუ დანელიას ერთ ადრინდელ ლექსში "ადამიანი გარემოებებს შორის". მართლაც, მისი ყოველი კრებული სულიერი ტკივილების, ტრაგიზმის, სევდის, მოწყენილობისა და მარტოობის ამსახველი ერთგვარი ალბომია, სადაც სწორედ ენის მეშვეობით "მჟღავნდებიან" შეგრძნებები, მდგომარეობები, სიტუაციები, ფიქრები... თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბათუ დანელია საკუთარ თავში შეკეტილი პოეტია. არა, მას პირადი სამყაროდან (უფრო ზუსტად, პერსონალური პერსპექტივიდან) სწორედ გლობალურ, გამოცდილების უზარმაზარ სივრცეში გაჰყავხარ. ბათუ დანელია "სამყაროს შინაგანი სივრცის" (რაინერ მარია რილკე) მაძიებელი პოეტია. მისი ვრცელი ლექსების ციკლი სწორედ მაძიებლური ჟინითაა დამუხტული.

დავაკვირდეთ:

"შორ მთების აქეთ ვბოლთაობ - ფეთქვადი დავალ,
ჩემი გამსკდარი გულიდან სისხლის დინებით...
და, როცა მინდა, არა მაქვს პური და ყავა,
და, სისხლთან ერთად გულიდან ამომდის ლავად -
ლექსები, როგორც დამშრალი მელნის ჯინები...
და ღრუბლებს, როგორც სიამის დაკიდულ ბაღებს,
შევცქერ და მინდა, არყოფნის დავუგო მახე...
ნუ ჩქარობ-მეთქი, ჩემ ყოფნას ვეჩიჩინები
და წარმოსახვის ხელებით სიშორეს ვაღებ..."

* * *

კრებულის გარეკანზე გამოსახულია თოვლიანი ველი, რომელიც უსასრულობაში იკარგება. აქაიქ გაბნეულ მცენარეებს (რომელიმე ავანგარდისტის დეფორმირებულ ინსტალაციას რომ მოგვაგონებს) აშკარად სუსხიანი ქარი არხევს. ზეცა ბეტო-

07/276

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისფერი ღრუბლებითაა დამძიმებული. განცდა გრჩება, რომ სადაცაა თოვლიან მინას გასრესს.

ყდის ატმოსფერო ერთგვარი კამერტონია ბათუ დანელიას პოეტურ სამყაროში შესაღწევად. თანამედროვე ქართული პოეზიაში (რამდენიმე სახელის გარდა) იშვიათად მახსენდება ასეთი, ვერსიფიკაციული და თემატური თვალსაზრისით, მრავალგვაროვანი პოეტი, რომელიც ისევე ოსტატურად ფლობს კონვენციურ ლირიკას, როგორც ვერლიბრსა და ჰაიკუს.

კრებული რამდენიმე ნაწილადაა დაყოფილი: უგალობელი საგალობლები, სამყურები, ზხეფები, ჯვალოები, გარითმული გამოცანები, ARTეკლები, ზმნარითმიანები, ნახევარჯვალოები, რითმიანი ჰოკუ, ნიბლიები, გადაჯაჭვული რობაიები, უკულექსები, სამორები, ლექსამბები, სტროფები, სხვადასხვა და ზურგისთვალი.

სხვათა შორის, ერთი კრიტიკოსის არ იყოს, "ლექსს შეიძლება პოეზიის პირობა ვუწოდოთ, მისი ხორხი. უდავოა, რომ ეს პირობა სრულყოფილი უნდა იყოს, სწორედ ისევე, როგორც ხორხი, რათა ხმით შეგვძრას". ბათუ დანელიას პოეზია სწორედ თავისი სრულყოფილებითა და სიზუსტით გვაოგნებს. დააკვირდით ლექსებში გაბნეულ სინტაგმებს: "სევდის პური", "ყვითელი ფოთლის კლავიში", "ზეცის სიმელოტე" , "მეტაფორების ფორტეპიანო", "ობლობის ობობები", "სიშორის ტკიპა", "თოვლის მელნისფერი კლავიშები", "დუმილის შავი ტიხარი", "ხსოვნის ვოკალი"...

მისი პოეტიკის ერთ-ერთი თავისებურება სიტყვათა, ერთი შეხედვით, უცნაურ სინთეზში, ბმულობაში მდგომარეობს.

"ნამმა იცის ვისუნამოს.
ნამი არის ცისსუნამო"

ან:

"ლექსი ორთავის ამბებსანაზებს"

კიდევ:

"ძვირფას ქალს კაბას პირველად როხდი
მთელი სამყარო შიშვლდება თითქოს"

გარდა ამისა, "თოვლის ტენორში" გვხვდება ე.წ. უკულექსები, რომელთა სტრიქონიც უკულმა დანერილი სიტყვით ბოლოვდება:

"და რომ მეკუთვნის ათასჯერ იტემ:
სიყვარულიც და შვებაც და ცავჯნატ,
რადგან სამყაროს მე გულში ვიტევ,
გულზე კი ვიცვამ ოცნებას ჯავშნად..."

ან:

"სიცოცხლევ, აღარ იბედრავჟალემ
და ცად ასასვლელ კიბედგაგშალე"

რიგით მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ საქმე მხოლოდ პოეტურ ექსპერიმენტთან გვაქვს. ეს ასეც იქნებოდა რომელიმე დამწყები პოეტის შემთხვევაში, გარკვეული რებუსებით რომ ცდილობენ ყურადღების მიქცევას, თუმცა ბათუ დანელიასეული ლექსის უჩვეულო სინტაქსს პოეზიის სივრცისა და საინტერპრეტაციო ველის განვრცობის ფუნქცია აქვს (ახალი ენობრივი რეალობის აღმოჩენასთან ერთად).

* * *

ბათუ დანელიას პოეზიის შინაგანი სამყარო სუსხიანია. სუსხიანია იმდენად, რამდენადაც თავად პოეტის მსოფლხედვაა ტრაგიკული. ტრაგიზმს კი პოეტის დედის გარდაცვალება, სიმარტოვე, ლირიზმისგან დაცლილი, გამოშიგნული, უსაყრდენო, ფუტურო რეალობა და მიუსაფრობის, დაუცველობის განცდა განაპირობებს. მის ერთადერთ თავშესაფრად კი სწორედ პოეზია და მეხსიერება ქცეულა.

"წნევებიც ცდილობენ - ზარალი მედამრჩეს
და მაღლა მიდიან ინსულტის ლიფტებად
თან ვერცერთ ხსოვნაში ვერ ვატევ დედაჩემს:
დედას რომ ვიხსენებ - ცრემლებიც მტკივდება."

მეტაფორულად რომ ვთქვათ, ბათუ დანელია ყდაზე გამოტანილ სუსხში მოხეტიალე მოგზაურს ჰგავს. იგი სწორედ გზის კაცია, მოძრაობის და არა სტატიკის.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ კრებულში ხშირია ლექსები თოვლზე, ოღონდ ისინი კონკრეტული პეიზაჟის ასახვის მცდელობებად არ უნდა აღვიქვათ. დანელიასეული პეიზაჟი სწორედ დიდ სულიერ გამყინვარებასა და "უბედურების შენელებულ სიმახინჯეს" (ნინო ხარატიშვილის პიესის რემარკაა!) გულისხმობს:

"თოვამ მზერის ნაპრალები გამიწებ,
თოვამ ლამის არემარე ჩაკლას...
თოვს და ათოვს ხსოვნასა და დავიწყებას
და ყველაფერს, როგორც დედის საფლავს."

* * *

"თოვლის ტენორის" ერთი ნაწილი მინიმებს ეთმობა. მათში წამის, მომენტის მაგიასთან ერთად ტრაგიზმის ვარიაციებია მოხელთებული:

დაუღამებელი დღე
დედის
სიკვდილის
დღეა
რომ
არ
ღამდება...

დამცირება
უშუქობით
გაბეზრებულ
ნათურას
ელვის
დროს
გული
გაუსკდა.

"მე ვარ პოეტი - სტროფებისა და მეტაფორების ფორტეპიანო" - ამბობს ერთ ლექსში. ბათუ დანელიას მეტაფორების ფორტეპიანო რთულად ემორჩილება "ასლირებას", რადგან ეს მხოლოდ მისი პოეტიკის ორგანული ნაწილია, მისი პიროვნების, ხასიათის, ერთი სიტყვით, შინაგანი სამყაროს სულიერი ლანდშაფტის გამოხატულებაა. ბათუ დანელიას პოეზია უსაყრდენო სამყაროში სულიერ ლტოლვილებად ქცეული არსებების თავშესაფარია, მეხსიერების ერთგვარი ჰერბარიუმი, სადაც სიცარიელის ტკივილისგან დაზაფრული საგნები და შეგრძნებები იმალებიან.

ლიტერე ინვენტე

ეროვნული ბიბლიოთეკა

2022 წლის შეჯამება
ლიტერე ინვენტე

ნიგნის ეროვნული პილდო
პულიცერის პრემია



ზაზა ჭილაძის თარგმანი

თამარ ჯაფარიძის თარგმანი

ნობელის პრემია
ლიტერატურაში 2022

ლალი უნაფქოშვილის
თარგმანი

დავით ღოლიჯაშვილის
თარგმანი

ეკატერინე მაჩიტიძის
თარგმანი

სერიის წიგნების სანახავად
დაასკანერეთ QR კოდი

კალიბრა L
გამომცემლობა

2022 წლის მნიშვნელოვანი სიახლეები







სულაკაურის
გამომცემლობა